

პრობის წითელი ღრობის ორდენის სეპარტველტის
სასოულ-სეპეურნეო ინსტიტუტი



501
1966

№67

პრობები

LXVII

ТРУДЫ

Грузинского ордена Трудового
Красного Знамени
сельскохозяйственного института

19 თბილისი 66

შრომის ნითელი ღროზის ორდენის საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი



შრომები

LXVII

ТРУДЫ

Грузинского ордена Трудового
Красного Знамени
сельскохозяйственного института

10.260



სარედაქციო კოლეგია

მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ი. ფ. სარიშვილი (მთ. რედაქტორი) მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ი. ლ. ჯაში, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. გ. ი. ყანჩაველი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ლ. ლ. დეკაპრელევიჩი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ლ. პ. კალანდაძე, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ვ. ი. ქანთარია, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ნ. კ. ლაჭყევიანი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ხ. ბ. შალამბერიძე, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ი. ლ. აბაშიძე, პროფ. ნ. ვ. პაიჭაძე, პროფ. ლ. ი. ებანოიძე, დოც. ს. პ. ნიკოლაიშვილი, დოც. პ. ვ. მიქელაძე, დოც. შ. მ. ხატიაშვილი, დოც. პ. ს. გვარამაძე, დ. შ. დგებუაძე, კ. შ. ჩიხლაძე (პ/მგ მდივანი).

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Заслуж. д. н., проф. И. Ф. Сарисвили (гл. редактор), заслуж. д. н., проф. И. Л. Джаши, заслуж. д. н., проф. Г. И. Канчавели, заслуж. д. н., проф. Л. Л. Декапрелевич, заслуж. д. н., проф. Л. П. Каландадзе, заслуж. д. н., проф. В. И. Кантария, заслуж. д. н., проф. Н. К. Лачкениани, заслуж. д. н., проф. Х. Б. Шаламберидзе, заслуж. д. н., проф. Я. Л. Абашидзе, проф. Н. В. Паицадзе, проф. Л. И. Эбаноидзе, доц. С. П. Николашвили, доц. П. В. Микеладзе, доц. Ш. М. Хатиашвили, доц. П. С. Гварамадзе, Д. Ш. Дгебуадзе, К. Ш. Чихладзе (отв. секретарь).

წინასიტყვაობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „შრომათა კრებული“-ს წინამდებარე ტომი დაეთმო ამავე ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის მეცხოველეობის კათედრის ნამუშევარს, საქართველოს სს რესპუბლიკის მეცხოველეობის დარგობრივი და წარმოებითი სპეციალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით.

კრებულში მოთავსებული შრომების ერთი ნაწილი: პროფ. დ. აგლაძის, ასპირანტ ლ. ხომასურდიძის, კათედრის დისერტანტ ი. გიგოშვილის, დისერტანტ დ. დგებუაძის, კათედრასთან თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად მომუშავე სტაჟიორის ა. კლდიაშვილის, საერთო მიზანდასახულებით, საკითხთა ერთ ისეთ რკალს მიეკუთვნება, რომლის დანიშნულებას—მეცხოველეობის კათედრის შეხედულებით—უნდა წარმოადგენდეს „ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი“-ს მეთოდოლოგიური და მეთოდოლოგიური საფუძვლების შემადგენელი უმთავრესი ნაწილების გაშუქება.

კრებულისათვის წამდგარებული საერთო შესავლით განმარტებულია, თუ სახელდობრ რა ადგილი უნდა მიეკუთვნოს „ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი“-ს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგების, სპეციალიზაციისა და სოფლის მეურნეობის დარგების გაძლიერების სისტემათა დადგენისათვის საჭირო სამუშაოთა ერთობლივ პროგრამაში და, მსჯელობას დაქვემდებარებული ამ კომპლექსის მთავარი შინაარსისა და საბოლოო მიზანდასახულების ჯეროვანი გათვალისწინებისას, რასაც ზემოთ დასახელებული ავტორების შრომები ემსახურება, უკვე ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა იყოს ერთიანად ამ კომპლექსის კონკრეტული იერი და მისი შემუშავების დეტალური გერგოლები, აგრეთვე პრაქტიკული გამოყენების ფარგალი თუ ასპარეზი.

ამ უკანასკნელთა ერთგვარი ილუსტრაციისაკენ არის მიმართული, თავის მხრივ, კრებულში მოთავსებული ნაშრომი კათედრასთან სტაჟიორად მომუშავე ი. ხარისჩარიშვილისა (ახალციხის რაიონის მაგალითით). რაც შეეხება ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის მემცენარეობის კათედრის დოც. ა. ჯაფარიძისა და ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტის სოციო-ალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციის კათედრის დოც. რ. კვირკველიასა და დოც. ა. ნარჩომაშვილის შრომებს, ისინი მეცხოველეობის კათედრის ნაშრომებისათვის განკუთვნილ წინამდებარე „შრომათა კრე-



ქართული
ენების ინსტიტუტი

ბულში“ ჩართულია როგორც ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორი კონტექსტით უნდა უკავშირდებოდეს მცოდნეობის შესატყვისი დარგები „ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი“-ს შემუშავება-დასაბუთებას, მით უმეტეს, რომ მოხსენებულ ამხანაგების სისტემატური კონსულტაციით სარგებლობდა მეცხოველეობის კათედრა აქ განხილული კომპლექსის შესატყვისი ელემენტების საფუძველთა დასახვისას იმ ნაწილში, სადაც ვიწრო ზოოტექნიკური ღონისძიებები ფართო დიაპაზონით დასაბუთებას საჭიროებდა თანაური გააზრებებით პირუტყვისათვის აუცილებელი საკვების მყარი ბაზის მოწყობის თვალსაზრისით.



საერთო შესავლისათვის

თანამედროვე პირობებში, დღიდან-დღემდე, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობის რაციონალური გაადგილებისა და სპეციალიზაციის საკითხები, რომლებმაც ამჟამინდელ აგრარულ პრობლემათა შორის წინა ხაზზე წამოიწიეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სოციალისტურ ქვეყნებში. ეს გასაგებიც არის, რადგან ამ ქვეყნების ეკონომიკა სახელმწიფო ერთიანი გეგმით ვითარდება; ხოლო, კერძოდ საბჭოთა კავშირის წილ, ის გარემოებაც არის ვარაუდში ჩასაგდება, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ბუნებრივი და ეკონომიკური პირობებით განსხვავებული, უზარმაზარი ფართობების არსებობა ყოველად აუცილებელს ყოფს რაციონალურ განლაგებას და სპეციალიზაციას.

ამიტომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულ პარტიის პროგრამაში ხაზგასმით აღინიშნა ბუნებრივ-ეკონომიკური ზონებისა და რაიონების მიხედვით სოფლის მეურნეობის გაადგილების მეცნიერული დასაბუთების აუცილებლობა, საჭიროება მისი სპეციალიზაციის უფრო მეტად გაღრმავებისა და გამტკიცებისა იმ ვარაუდით, რომ სასოფლო-სამეურნეო ამა თუ იმ პროდუქტის რეწვას (წარმოებას) უპირატესი მნიშვნელობა მიეცეს იქ, სადაც საამისოდ საჭირო საუკეთესო პირობებია და უზრუნველყოფილი იქნება დანახარჯთა ეკონომიის მაქსიმუმი¹.

მეტად მკაფიოდ და ამომწურავი სისრულით დაყენებული ამ ამოცანის შედეგიანი გახორციელება საჭიროებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის მეცნიერულ დასაბუთებას როგორც ერთობლივ საბჭოთა კავშირის ფარგლით, ისე ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, რაიონისა თუ გარკვეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მიჯნებში. შესატყვისი საკითხების მეცნიერული შესწავლის გარეშე, ახლახანს მოხსენებული მასშტაბებით, ყოველად შეუძლებელია სწორად გაშუქდეს და დადგინდეს მემინდვრობისა თუ მეცხოველეობის სისტემები და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სხვა საკითხები.

ამავე დროს, ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის რაიონებსა და გარკვეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შორის შრომის რაციონალური განაწილება წარმოუდგენელია ყველა იმ ურთიერთკავშირის გაუთვალისწინებლად, რაც არსებობს სოფლის მეურნეობასა და ერთობლივ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას შორის. სავსებით მართებულად აღნიშნავენ, რომ აუცი-

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. „პრავდა“-ს გამომცემლობა, 1961 წ. გვ. 79 (რუსულად).


ლებელია ჯეროვანი ანგარიში გაეწიოს ჩვენს სოფლის მეურნეობაში საკუთრების ორი ფორმის არსებობას, თანაც მათი შემდგომი განვითარებისა და ერთიან კომუნისტურ საკუთრებად გარდაქმნის პერსპექტივებს, ისე როგორც აუცილებელია თვით სოფლის მეურნეობის წიაღში არსებული სხვადასხვა დარგისა და კულტურის ურთიერთკავშირების გათვალისწინება.

თუნდაც ეს მეტად მოკლე ნუსხა საკითხებისა, რომელთა ურთიერთთან შეხამებული განსჯა-გააზრება უნდა ქმნიდეს საფუძველს სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის პროცესში მოქმედი კანონზომიერებების ცხადყოფისა და შეცნობისათვის, უკვე საკმარისია, რათა დავასკვნათ, რომ ყოველივე ამის მეცნიერული შესწავლა აღემატება ერთი ან ორიოდ პიროვნების შესაძლებლობებს, რომ საამისოდ საჭიროა მეცნიერ მუშაკთა მძლავრი კოლექტივები. წინამდებარე კრებულის ავტორებს, ცხადია, ნათლად აქვთ წარმოდგენილი ეს გარემოება და, ამიტომ, არც აცხადებენ იმას აღმატებულ რაიმე პრეტენზიას, რის გაკეთებაც შეეძლოთ და ევალბოდათ კიდევც.

და, აი, უკეთეს ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მეცნიერული შესწავლით ამოხსნილ კანონზომიერებათა ცოდნა ის საფუძველია, რომელსაც უნდა ემყარებოდეს ამა თუ იმ ქვეყნის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ზონებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა წარმოებითი ტიპების მეცნიერული დაგეგმარება და ფაქტობრივი ჩამოყალიბება, მაშინ, წინამდებარე კრებულის ავტორებს მუშაობა იმ მხრივ ჰქონდათ გაადგილებული, რომ საქართველოს სსრესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მითითებით ნაყოფიერად მუშაობდა მეცნიერებისა და წარმოება-დაწესებულებების მუშაკთა მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კოლექტივი, რომელმაც 1960 წელს, სამ ტომად (ქართულსა და რუსულ ენაზე) გამოაქვეყნა „საქართველოს სსრესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილება, სპეციალიზაცია და სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემები“, როგორც გარკვეული სახელმძღვანელო პროექტი.

ეს საინტერესო ნაშრომი ერთობლივი უზარმაზარი პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილის პასუხს მოიცავს, რამდენადაც საჭირო მასალის სათანადო ანალიზისა და განსჯა-გააზრების შედეგად—ზოგადად თუ ვიტყვი—დადგენილია მხოლოდ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმოებითი სპეციალიზაციის ზონები და მოწოდებულია შესატყვისს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სასურველი წარმოებითი ტიპების, ერთგვარად სასურველი, პროტილები.

ყოველივე ამასთან, საყოველთაოდ და კარგად არის ცნობილი, რომ ცალკეული ზონები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა წარმოებითი ტიპები ერთიმეორისაგან განსხვავდება ხოლმე სხვადასხვაგვარი სპეციალიზაციით და თავიანთი წარმოების ინტენსიურობის მეტ-ნაკლები დონით. მართალია, ყველა ამ საწარმოსი და ზონების შემდგომი განვითარება იგეგმება ხოლმე სხვადასხვა პროდუქციის მიმართ სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნიდან გამომდინარეობით და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით; მართალია, ცალკეული დარგისა და კულტურის გაადგილება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოსა და სხვა-



დასხვა რაიონში ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არ მოხდება ხოლმე, არამედ—როგორც წესი—ადგილი აქვს ტექნიკურად და ეკონომიკურად ერთთან დაკავშირებული რამდენიმე დარგის გარკვეულ კომბინირებას სასოფლო-სამეურნეო წარმოებად, რაც საწარმოთა სხვადასხვა წარმოებითი ტიპების სახედ მჟღავნდება;

მაგრამ, მაინც ეუკვირდებით ხოლმე ცალკეული დარგისა თუ კულტურის ურთიერთთან დაკავშირებულობის განსხვავებულ ხასიათსა და დოქს, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ყოველ მცენარეს თუ ცხოველს გააჩნია საკუთარი მოთხოვნილებები და მოთხოვნები გამრავლების, კვების, ზრდისა და განვითარების თვალსაზრისით. ეს იმას ნიშნავს, რომ განსხვავებულია ხოლმე ამ ცოცხალი ორგანიზმების მოთხოვნები ჰაერის, ნიადაგის, აგროტექნიკისა და სოც-ტექნიკისადმი, აგრეთვე იმ მეთოდებისადმი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ყოველი ერთეულისაგან, ვთქვათ, ყოველი ერთი თუ ასი ჰექტარისაგან, შეძლებისამებრ მეტი პროდუქციის რეწვას, ბუნებრივსა და ეკონომიკურ კონკრეტულ პირობებში.


მაშასადამე, სათუოდ არ უნდა მივიჩნიოთ გადაუდებელი აუცილებლობა იმის წინასწარი შესწავლისა, თუ რა თავისებურებანი სჩვევია ყოველი დარგისა თუ სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოებას, გაადგილებას და სპეციალიზაციას, აგრეთვე იმის წინასწარი დახასიათებისა, თუ როგორი უნდა იყოს ამ დარგებისა და კულტურების ურთიერთკავშირები.

სწორედ ეს საკითხებია, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის ირგვლივ, წინამდებარე კრებულში განსჯა-გააზრების მთავარი საგანი.

ახლა, იმისათვის, რომ ზუსტად შემოვფარგლოთ ამ განსჯა-გააზრებათა საერთო კალაპოტი და უფრო სახელდობრივი მიზანდასახულობა, საჭიროა თვალის გადავავლოთ ერთობლივ სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის, მისი დარგების გაძლოის სისტემათა შემუშავების მეთოდებს და საჭირო სამუშაოთა შესრულების სქემას, თანმიმდევრობას და სხვ. სავსებით ბუნებრივია, რომ ეს მიმოხილვა მართლაც „თვალის გადავლება“ უნდა იყოს და არა დაწვრილებითი თხრობა ან კიდევ—მით უმეტეს—კრიტიკული განსჯა-დაპირისპირება.

ჩვენ მხოლოდ ის უნდა გავიხსენოთ და აღვნიშნოთ, რომ ერთობლივ საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილების, სპეციალიზაციისა და სოფლის მეურნეობის დარგების გაძლოის სისტემათა დიდი პრობლემის შემუშავების ერთიანი მეთოდით ნაგულისხმევია, სქესტურად თუ ვიტყვი, საკითხთა შემდეგი უმთავრესი ჯგუფების წინასწარი დაზუსტება და საამისოდ საჭირო ფაქტობრივი მასალის სათანადო სისტემატიზაცია-გადამუშავება:

ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის, მხარის, ოლქისა თუ რაიონის მრეწველობის, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის წინაშე დაყენებული სახალხომეურნეობრივი ამოცანების ერთობლიობიდან გამომდინარეობით, დადგინდება ხოლმე ამ ტერიტორიულ ერთეულთა (რესპუბლიკა, მხარე და სხვ.) სოფლის მეურნეობის კონკრეტული ამოცანები, ერთის მხრივ, თავიანთი მოსახლეობის მთლიანად უზრუნველყოფაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-



ტებით, ხოლო მეორეს მხრივ—სასოფლო-სამეურნეო იმ პროდუქტთა რეწვაში (წარმოებაში), რომლებიც სხვა რესპუბლიკებთან (მხარეებთან, ოლქებთან და სხვ.) გაცვლისათვის უნდა იყოს განკუთვნილი. ამით განისაზღვრება მწერების ტერიტორიული ერთეულის (რესპუბლიკა, მხარე და სხვ.) სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ხასიათი ერთობლივ და ცალკეული დარგების თუ კულტურების მიხედვით.

წინამდებარე კრებულის ავტორებს, ზემოთ უკვე მოხსენებული მდგომარეობის გამო, არ დაჭირვებით ამდაგვარი სამუშაოს შესრულება და არც იმის გაკეთება, რაც—ჩვეულებრივ—დაკავშირებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგთა ფაქტობრივი გაადგილებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეზერვების გამოვლინებასთან. ეს მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგომარეობის ეკონომიკურ-წარმოებით ანალიზს იმ ამოცანათა თვალსაზრისით, რომლებიც დაყენებულია რესპუბლიკის (მხარის, ოლქის და სხვ.) წინაშე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მოხსენებული ეკონომიკურ-წარმოებითი ანალიზის შედეგად გამოვლინდება ხოლმე სხვადასხვა რაიონის და რაიონთა ჯგუფის ეკონომიკური და ბუნებრივი პირობების განსხვავება და დადგინდება კანონზომიერი ურთიერთკავშირი რაიონის ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობათა და სოფლის მეურნეობაში დამყარებულ სპეციალიზაციას შორის, აგრეთვე—სოფლის მეურნეობის ინტენსიურობის დონესა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელთა შორის.

იგივე ანალიზის შედეგად და იმ ამოცანებიდან გამომდინარეობით, რომლებიც დაყენებულია რესპუბლიკის (მხარის, ოლქის და სხვ.) სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, აგრეთვე ცალკეული რაიონის ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობათა გათვალისწინებით, მოიხაზება წარმოებითი ზონები და მიკროზონები. ეს იმას ნიშნავს, რომ რაიონები დაჯგუფდება პირობებისა და იმ ამოცანების მსგავსების მიხედვით, რომლებიც დასაბუთდება ამ რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, ამასთანავე, ყოველი ზონისა თუ მიკროზონისათვის დადგინდება მისი საწარმოო სპეციალიზაცია და აღინიშნება სოფლის მეურნეობის მთავარი დარგები, სასოფლო-სამეურნეო მთავარი კულტურები.

ზონებისა და მიკროზონების მოხაზვის შემდეგ, რესპუბლიკის, მხარის, ოლქისა თუ რაიონის ფარგლებში, უნდა დადგინდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგთა წინასწარი, სანიმუშო გაადგილება წარმოებითი ზონებისა და მიკროზონების მიხედვით, მათი სპეციალიზაციის გათვალისწინებით; თანაც, ყოველი ზონისა თუ მიკროზონის ფარგალში უნდა მოხდეს დარგებისა და კულტურების საბალანსო ურთიერთდაკავშირება და უნდა დასაბუთდეს ყოველ ზონაში დარგების სათანადოდ მიზანშეწონილი შეთანაწყობა (შეხამება¹).

¹ იხ. აგრეთვე დ. აგლაძე „მეცხოველეობის საფუძვლები“, მეორე ნაწილი, გვ. 43—50. თბილისი, 1960 წ. შრომის წითელი დროშის ორდენისანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამოცემლობა.




გფიქრობ, განსაკუთრებულ აღნიშვნას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ წინამდებარე კრებულის ავტორებს, საქართველოს სს რესპუბლიკის მეცხოველეობის დარგობრივი და წარმოებითი სპეციალიზაციისათვის აქ შემოთავაზებული წინადადებების შემუშავებასთან დაკავშირებით, უნდა გამოეყენებინათ (და გამოიყენეს კიდევ) მთელი ის მდიდარი და გულდასმით გააზრებული ფაქტობრივი მასალა, რომელიც თავმოყრილია ზემოთ უკვე მოხსენებულ სამეტომეულში და რომელიც—ამაზე უფრო ადრე—ყოფილა გამოქვეყნებული ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში¹ ან კიდევ—მთლიანად თუ ნაწილობრივ—დაცულია საქართველოს სამეცნიერო-კვლევითსა თუ სასწავლო ინსტიტუტებში. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება, უწინარეს ყოვლისა, ქართველი სპეციალისტების ჯერ 1928—1933 წლების და, შემდეგ, 1945—1948 წლების მანძილზე წარმოებული მუშაობა. ეს, საკმაოდ ვრცლად და შინაარსობრივი მნიშვნელობისა თუ ზოგადი დანიშნულება-შედგენის საკმარისი განმარტებებით, მოთხრობილია პროფ. დ. აგლაძის სახელმძღვანელოში².

ამრიგად, ყოველივე, რაც ასაბუთებს და ასახავს საქართველოს სს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებას, სპეციალიზაციას და სოფლის მეურნეობის დარგთა გაძლიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს, 1955—1965 წლების შემცველი პერიოდისათვის ზემოხსენებული პროექტის მიხედვით და რაც დაუფიქრებულა ამ პრობლემის ირგვლივ საჭირო საქმიანობის, ერთობლივ საბჭოთა კავშირში მიღებულ, მეთოდებზე—წინამდებარე კრებულით გადმოცემულ გააზრებებშიც მიჩნეულია სახელმძღვანელო აზრებად, ჩვენი რესპუბლიკისათვის დადგენილი სოფლის მეურნეობის წარმოებითი სპეციალიზაციის შესატყვისი ზონების მიჯნებში.

გარნა, კრებულის სათაურითაც ჩანს და აქამდე ნათქვამშიც, შიგადაშიგ, მითითებული იყო, რომ აქ საკითხი არა ერთობლივ სოფლის მეურნეობას, არამედ სახელდობრ მეცხოველეობას შეეხება, რის გამო—თუმც იგივედ რჩება საანალიზო მასალის მოპოვების წყაროები, ამ მასალის გადამუშავების მიმართულება, ხერხები და ყაიდა, აგრეთვე მომდევნო ყველა სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობა და სხვ. როგორც ზემოთ მოხსენებული ერთობლივი

¹ ნახე, სხვათა შორის, პროფ. ნ. ლაჭყვიანი: მარცვლელი კულტურების გაადგილება საქართველოში საქართველოს სს. სამ. ინსტიტუტის შრომები ტ. XXVII—1947 წ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები აღმოსავლეთ საქართველოში საქართველოს სს. სამ. ინსტიტუტის შრომები ტ. XXXI 1949 წ. *Размещение культур и отраслей сельского хозяйства в районах Восточной Грузии—труды Грузинского с/х института* т. XXXVII 1952 г. სიმინდის წარმოების ეკონომიკის საკითხებისათვის საქართველოს სსრ-ში საქართველოს სს. სამ. ინსტიტუტის შრომები ტ. XLVI 1957 წ. *К вопросу экономики производства кукурузы в Грузинской ССР. Труды Грузинского с/х института, т. XLIX, 1958 г.* სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და განლაგება აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი 1959 წ. გამოქვეყნდა „საბჭოთა საქართველო“.

² დ. აგლაძე—„მეცხოველეობის საფუძვლები“ მეორე ნაწილი გვ. 44. თბილისი 1960 წ. საქართველოს სს. სამ. ინსტიტუტის გამოცემლობა.



მეთოდით არის გათვალისწინებული, მაგრამ—მაინც აუცილებელი არის ხოლმე რამდენიმე სპეციფიკური მომენტისა და გარემოებისათვის ხაზს უსვამს, რაც თავს იჩენს როგორც მოპოვებული ფაქტობრივი მასალის ანალიზით მიღებულ შედეგთა გაზოგადების პროცესში, ისე—და განსაკუთრებით—მეცხოველეობის შესატყვისი წარმოების ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის სათანადო ელემენტების მეცნიერული დასაბუთებისას. ნათქვამის საილუსტრაციოდ, ვფიქრობ, საკმარისი იქნება ასეთი ფრაგმენტული დაპირისპირება:

ზემოთ უკვე მითითებული სამუშაოების მოთავების შემდეგ, იმ თანმიმდევრობით და მიზანსწრაფვით, რაც ნაჩვენები იყო, ყოველ ზონასა და მიკროზონაში გამოვლინებულ უნდა იქნას სადღეისოდ ჩამოყალიბებული წარმოებითი ტიპები კოლმეურნეობებისა (საბჭოთა მეურნეობებისა) და მათ შორის მთავარი—ე. ი. ის, რომელიც სჭარბობს ამა თუ იმ მიკროზონაში თავისი სპეციალიზაციის ხასიათით, ინტენსიურობის დონით და უმთავრესი დარგების გაძლიერების ხერხებით.

ამასთან ერთად, ამა თუ იმ ტიპის კუთვნილ კოლმეურნეობათა (საბჭოთა მეურნეობებს) შორის გამომხოლოებულ უნდა იქნას რამდენიმე მოწინავე, ტიპობრივი მეურნეობა, რათა ჯეროვანი შესწავლის გზით შემუშავდეს ყოველი მათგანის შემდგომი განვითარების პერსპექტიული გეგმების უმთავრესი საფუძვლები. ეს მიზნად უნდა ისახავდეს ამ ზონისათვის თუ მიკროზონისათვის სპეციალიზაციისა და დარგთა შეხამების (შეთანაწყობის) წინასწარი სქემის გაღრმავებულ შემოწმებას.

ადვილი მისახვედრია, რომ ცალკეული ზონა ან მიკროზონა, რომელიც ამდგავარი მუშაობით მოიხაზება უფრო დეტალური ანალიზისათვის და სათანადო დაპირისპირებათა ერთეულად, შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა წარმოებითი ტიპისა და ინტენსიურობის სხვადასხვა დონის რამდენიმე ან მრავალ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს. ამიტომ, ზონისა თუ მიკროზონის დასახასიათებლად დადგენილი მაჩვენებლები ერთგვარად გასაშუალოებული მაჩვენებლები იქნება და, ცხადია, მათი მეშვეობით ვერ გამოვიტანთ დასკვნას შესატყვისი ზონისა თუ მიკროზონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა წარმოებითი ტიპების შესახებ.

მაშასადამე, საჭიროა სათანადო ანალიზის გაგრძელება და—ზონისა თუ მიკროზონის ფარგალში შემავალი რაიონების გავლით—მისი მიტანა ამ რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობამდე (საბჭოთა მეურნეობამდე). ამავე დროს, ანგარიშგასაწევია, რომ ერთი რომელიმე რაიონის ფარგალში ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოსათვის მოპოვებული მაჩვენებლების დაპირისპირება, ჩვეულებრივ, არასაკმარისი სიმკვეთრით გამოავლენს მათი წარმოების პირობებში არსებულ განსხვავებებს და, ამიტომ, საჭირო გახდება უფრო გულდასმით შესწავლა იმ დიფერენცირებული ფაქტორებისა, რომლებიც გავლენას ახდენს ერთი და იგივე რაიონის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა) განსხვავებულ სპეციალიზაციაზე და ამ მეურნეობაში დარგთა განსხვავებულ შეხამებაზე (შეთანაწყობაზე) და, ბოლოს, ადვილი გასაგებია, რომ—ამა თუ იმ წარმოებითი ტიპის თავისებურებას

ყველაზე უფრო, აშკარად ის სასოფლო-სამეურნეო საწარმო გამოსახავს, რომელსაც საწარმოთა სათანადო ჯგუფში დანარჩენებზე უკეთესად და სრულად გამოუყენებია წარმოების არსებული პირობები და რესურსები; სწორედ ამით არის ხოლმე ის განსხვავებული იმავე ჯგუფის დანარჩენი მეურნეობებისაგან. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით: სათანადო წარმოებითი ტიპის ყველაზე უფრო მკაფიოდ გამასახიერებელია მოწინავე კოლმეურნეობა (საბჭოთა მეურნეობა) ამა თუ იმ წარმოებითი მიმართულების მეურნეობათა ჯგუფში.

მთელი შემდგომი მუშაობა ასეთგვარად ამორჩეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მაგალითით მიმდინარეობს და, აი, სწორედ ამ ადგილს ჩაერთვის ხოლმე ის განსჯა-გააზრებები, რომლებსაც ჩვენ „ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსს“ ვუწოდებთ და ერთობლივ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილების, სპეციალიზაციისა და სოფლის მეურნეობის დარგთა გაძლიერების სისტემების შემუშავების ერთიანი მეთოდის გარკვეულ შემადგენელ ნაწილად წარმოგვიდგენია, როდესაც საკითხი, კერძოდ, მეცხოველეობის დარგობრივსა და წარმოებითს სპეციალიზაციას შეეხება, სოფლის მეურნეობის დანარჩენ დარგებთან ორგანიზაციულად სწორი შეხამების გათვალისწინებით¹.

ამ, ასე ვთქვათ, კერძო მეთოდის განხილვა-დასაბუთებას და მისი შემეგობით წარმოებული პრაქტიკული მუშაობის შედეგთა ზოგიერთი მაგალითის ილუსტრაციას ემსახურება წინამდებარე შრომათა კრებული.

იხ. აგრეთვე დ. აგლაძე „მეცხოველეობის საფუძვლები“, მეორე ნაწილი გვ. 54—56, თბილისი, 1960 წ.



დ. აბლაძე

**სიტყვა ყვერბი, როგორც ეკონომიკური და ზოოტექნიკური
ტერმინი, მისი გამომწვევის ადგილი და ფარგალი
ზოოტექნიკურ-საოჯახანიზაციო ღონისძიებათა
კომპლექსში**


1. ორიოდე წინასწარი, საერთო უზენიზნა

ვინაიდან, ქართული ზოოტექნიკის—და არა მარტო ზოოტექნიკის, არა-
მედ ერთობლივ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების—განვითარების დღევანდელ
საფეხურზე, ქართული ზოოტექნიკური (სასოფლო-სამეურნეო) ტერ-
მინოლოგია ერთ-ერთ ისეთ საკითხად უნდა მიგვაჩნდეს, რომელიც ძლი-
ერ მტკიცედ არის დაკავშირებული სათანადო თეორიასა და პრაქტიკასთან,
თანაც—მიუხედავად ცალკეულ პიროვნებათა თუ დაწესებულების დიდი რუ-
დუნებისა—ჯერ კიდევ მაინც ვერ არის ჯეროვნად დაეარგებული, ამიტომ აქ
განსახილველი საკითხების მეცნიერული განსჯა-განხილვაც მათი შინაარსის
გამომსახველი სათანადო ტერმინებით უნდა დავიწყო.

ეს გასაგებიც არის და გასაგებია სახელდობრ იმის გათვალისწინების გა-
მო, რაც თვით ტერმინის ბუნებას შეადგენს და დაკავშირებულია მისი
დამკვიდრების პირობებსა და დრო-ჟამთან.

ცნობილია, რომ ტერმინი—როგორც ცალკეული ერთი სიტყვა ან რამ-
დენიმე სიტყვისაგან შეკრული ენობრივი ერთეული—ყოველთვის წარმოად-
გენს საგნის, მოვლენისა და თვისების ურთიერთდამოკიდებულებათა, პროცე-
სების და სხვ. ზუსტ აღნიშნვას წარმოების ამა თუ იმ დარგში, ტექნიკაში,
ხელოვნებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვ.

ყოველდღიური ლექსიკის სიტყვებისაგან განსხვავებით, ტერმინი თავისი
მნიშვნელობის სპეციალიზებულობით გამოირჩევა და სემასიოლოგიური მიჯნე-
ბის სიზუსტით ხასიათდება. ტერმინები, ჩვეულებრივ, ჩნდება უკვე არსებული
ლექსიკური ელემენტებისაგან, შესატყვისი ენის გრამატიკული კანონების შე-
საბამისად და, ამდენად, ტერმინების წარმოქმნის ერთ-ერთი უმ-
თავრესი საშუალებაა შესატყვის ენაში არსებული სიტყვე-
ბის გამოყენება; მაგრამ, საერთო ენის სიტყვას, უმეტეს ნაწილად,
რამდენიმე მნიშვნელობა აქვს ხოლმე, ტერმინს კი ყოველთვის ერთი
მნიშვნელობა სჩვევია და ეს მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომელიც
შესატყვისის დარგს ესაჭიროება.




ცნობილია ისიც, რომ მცოდნეობის ესა თუ ის დარგი, ამა თუ იმ ტერმინის დამკვიდრებით, გაამტკიცებს ხოლმე მეცნიერული შემეცნების მონაპოვარს და შემდგომ ვითარდება ამ ტერმინების ზუსტი აზრის თანდათანობით დახვეწის შესაბამისად. ამდენად, მეცნიერების ყოველი დარგის ტერმინოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული თვით ამ დარგის სისტემასთან და შეიცვლება ხოლმე მის განვითარებასთან ერთად. განვითარების ამ პროცესში, არსებულ ტერმინთა ერთი ნაწილი ამოვარდება ხოლმე ხმარებიდან, მეორე—მნიშვნელობას შეიცვლის, ხოლო ახალ ცნებათა გამოსახვისათვის ახალი ტერმინები გაჩნდება.

ეს პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანთა მწარმოებლური ძალების განვითარებასთან, წარმოებითი ურთიერთობის რაობასთან და ამდენად—გარკვეული აზრით და ფარგლით—დროის გარკვეულ მონაკვეთებთან. ამიტომ არის, რომ ტერმინი არ დამკვიდრდება ერთი რომელიმე პიროვნების სურვილისამებრ, რაც უნდა დიდი მწიგნობარი იყოს ეს პიროვნება ანდა დადგენილების ძალით, რაც უნდა ავტორიტეტიანი იყოს დადგენილების მიმდები საკრებულო. ტერმინი ცხოვრებაში ფეხს მოიკიდებს მხოლოდ პრაქტიკის მიერ მისი ათვისების შემდეგ და ამიტომ სათანადო ტერმინოლოგიის დახვეწა-დავარგების პროცესში, ხშირად, საჭირო არის ხოლმე მეცნიერულმა აზრმა მიაწოდოს პრაქტიკას შესატყვისი ტერმინისათვის რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან—პრაქტიკის მიერ ათვისების შემდეგ—იმავე მეცნიერულმა აზრმა უნდა მიიღოს ზომები, რათა—ვთქვათ, ზოგად სალიტერატურო ენისაგან ნასესხები—სიტყვა, სათანადო ტერმინად დავარგების პროცესში, თავისი პირველწყაროს მიმართ ე. წ. ომონიმად გარდაიქმნეს, ე. ი. მთლიანად ან ნაწილობრივ გაწყვიტოს მასთან შინაარსობრივი კავშირი. საამისოდ კი, აუცილებელია რომ მცოდნეობის სათანადო დარგის სპეციალურ სალიტერატურო წყაროებშიც, საგნის სწავლებისა თუ წარმოებითი პროცესების გაშუქებისას საცოდნარი მასალის განმარტების დროს, თხრობის ყაიდა და კავშირი ხმარებულ ტერმინს შეესაბამებოდეს¹.

ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ და ძლიერ კარგად ცნობილი ამ ელემენტური დებულების აქ გადმოცემა ასე—შედარებით—გრცლად და დაწვრილებით იმიტომ მივიჩნევ საჭიროდ, რომ ჩვენი ზოოტექნიკას თანამედროვეობაში საკმაოდ ხშირად აღნიშნულა შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის მუშაკი, ენათმეცნიერებაში თავისი განსწავლულობის ღრმა რწმენას ამოფარებული, თანაც ზოოტექნიკური ქართული ტერმინოლოგიის დახვეწის სურვილის მახვილამოღებული, ღრმა ჭრილობებით სერავს ქართული ზოოტექნიკური ტერმინოლოგიის ჯერ კიდევ ნორჩ სხეულს. ამას ადგილი ჰქონია (და ახლაც აქვს ხოლმე) ისეთი ტერმინების მიმართაც კი, რომლებიც არც არსებითი სისწორისა და არც ხანდაზმულობის მხრივ რაიმე ნაწილად ეჭვმისატანი სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო; რაც შეეხება „ყვერბ“-ს, რომელიც მხოლოდ

¹ იხ. აგრეთვე დ. აგლაძე, „მეცხოველეობის საფუძვლები“, მესამე ნაწილი, გვ. 106—107, თბილისი, 1964 წ. გამომცემლობა „ცოდნა“.



ახლა იწყებს ჩამოყალიბებას როგორც ტერმინი—მის მიმართ მით უფრო მოსალოდნელია შესიტყვებანი და „ხელყოფანი“. ამ გარემოებითაც არის ნაკარნახევი ყოველივე აქამდე თქმული. მაგრამ, მაინც საინტერესოა და საკითხავია, რას გულისხმობს ლექსიკის სიტყვა ყვერბი და რას უნდა ასახავდეს ტერმინი ყვერბი? რა განსაზღვრება აქვს ცნებას, რომელსაც უნდა ესატყვისებოდეს შემოთავაზებული ტერმინი და რა მიუცილებელი საჭიროება გვიკარნახებს ამ ახალი ტერმინის შემოღება-დამკვიდრებას? ასეთ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა მსჯელობა შემდეგგვარად წარვმართოთ.


ა. ტერმინ-ყვერბი-ს ლექსიკოგრაფიული საფუძვლების გაშუქებისათვის

სიტყვა-ყვერბი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის VII ტომის 535-ე გვერდზე, პირველი მნიშვნელობით, მოხსენებულია როგორც „ცეცხლის სანთები ადგილი—კერა, საცეცხლური“, ხოლო ეს უკანასკნელი, იმავე ლექსიკონის VI ტომის 904-ე გვერდზე, სხვა მნიშვნელობათა შორის, განმარტებულია როგორც „ადგილი სახლში, სადაც შუა ცეცხლი ანთია—ყვერბი“; იმავე ლექსიკონის IV ტ. 1144—1145 გვ. „მიწის იატაკის იმ ადგილად, სადაც ცეცხლს ანთებენ“ ან კიდევ „ამ ადგილას დადებულ თლილ ქვად, რომლის წინაც ცეცხლი ანთია“ მოხსენებულია აგრეთვე სიტყვა-კერა ს პირველი მნიშვნელობა.

მაშასადამე, როგორც ამ დაპირისპირებით ჩანს, ყვერბი და კერა— არსებითად თუ ვიტყვი—თავიანთი პირველი მნიშვნელობით, ერთიმეორის სინონიმებია, ხოლო ორივე—სიტყვა საცეცხლური ს ანდა საცეცხლი ს ა, რაც იმ ადგილს ნიშნავს, სადაც ცეცხლი ანთია. ნათქვამს ისიც ადასტურებს, რომ სიტყვა ყვერბი აღნიშნული აქვს სულხან-საბა ორბელიანს („ქართული ლექსიკონი“, 1928 წ. გამომცემლობა „ქართული წიგნი“ გვ. 387; აგრეთვე „ქართული ლექსიკონი“, 1884 წ. „გამოცემული რაფ. ერისთავის რედაქტორობით და ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასითა“. გვ. 341) პირველი მნიშვნელობით, კვლავ როგორც საცეცხლე, კერის ადგილი, ხოლო ნიკო ჩუბინიშვილი („ქართული ლექსიკონი“, 1961 წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, გვ. 413) ყვერბს კვლავ კერად და ცეცხლაპირად მოიხსენიებს.

სიტყვა-ყვერბის სინონიმური მნიშვნელობის ფარგალი, ალბათ, კიდევ უფრო შორს მიდის, რამდენადაც, მაგალითად, ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონ“-ში (1951 წ. თბილისი. სახელგამი გვ. 351 და 190) ნათქვამია: ყვერბი—ნ. მაყალი და მაყალი—მანგალი, მანღალი, მანკალი, ყვერბი, მასმანი.

შემდგომი ჩვენი მსჯელობისათვის, აქ წინა ხაზზე წამოსაწევია ის ფაქტი, რომ ყვერბი და კერა, თავიანთი პირველი მნიშვნელობით, ყველაზე უფრო გავრცელებული სინონიმებია, რაც—სხვათა შორის—იმითაც ჩანს, რომ ახლანდელ რუსულ-ქართულსა თუ ქართულ-რუსულ არც ერთ ლექსიკონში სრულიად არ არის მოხსენებული ყვერბი, სამაგიეროდ ყველგან აღნიშნულია კერა, რომლის რუსულ შესატყვისად მოცემულია Огар. გაზონაკლისს შეადგენს დ. ჩუბინიშვილის რუსულ-ქართული ძველი ლექსიკონი, სადაც—453-ე




გვერდზე—რუსულ სიტყვა Очаг-ს ქართულ შესატყვისად უწერია: კერა, ცეცხ-
 ლაპირა და ყვერბი. კერა (ანუ ყვერბი) Очаг-ად არის მოხსენებული უკვე
 აზვლედინისა და ვ. თოფურიას ქართულ-რუსულ ლექსიკონში (1924 წ. 1925 წ.)
 ხელმწიფო გამომცემლობა გვ. 159), აგრეთვე ქ. დათიკაშვილის ქართულ-რუ-
 სულ ლექსიკონში (1946 წ. II წიგნი. გვ. 7. სახელგამი), სიტყვა ყვერბის მოხ-
 სენების გარეშე და—მეორეს მხრივ—რუსული სიტყვა Очаг-ის ქართულ შე-
 სატყვისად მოხსენებულია მხოლოდ კერა (ყვერბი-ს გარეშე) როგორც
 უნივერსიტეტის გამოცემით 1937 წ. (გვ. 63), ისე საქართველოს სსრ მეცნი-
 ერებათა აკადემიის (ენათმეცნიერების ინსტიტუტი) გამოცემით 1958 წ.
 გამოქვეყნებულ (II ტომი, გვ. 377) რუსულ-ქართულ ლექსიკონებში.

ამრიგად, სიტყვა-ყვერბი იგივეა, რაც სიტყვა-კერა, ხოლო ეს უკანასკნე-
 ლი შესატყვისება რუსულ სიტყვა Очаг-ს, რომელიც რუსული ენის განმარ-
 ტებითი ლექსიკონის მიხედვით (დ. უშაკოვის რედაქციით II ტ. გვ. 1030), თა-
 ვისი პირველი მნიშვნელობით არის устройство для разведения и поддержи-
 вания огня, печь II у примитивных народов—углубление в полу или воз-
 вишенное место на полу для разведения и поддержания огня.

ვფიქრობ, არ წარმოადგენს აუცილებლობას სათანადო დაპირისპირებას
 იმის საჩვენებლად, რომ ზედმიწევნით მსგავსია სიტყვა კერას-ს და სიტყვა—
 Очаг-ის პირველი მნიშვნელობის განსაზღვრება როგორც ქართულად, ისე
 რუსულად. ამის ცხადყოფა ადვილია საკმაოდ ბევრი შედარებით, რომელსაც
 გვაწვდის სულხან-საბასეული ლექსიკონიც და დანარჩენი სათანადო წყაროე-
 ბიც. ამ გეზით მსჯელობას აღარ გავყვები, რადგან ის ჩვენი ინტერესებს
 ფარგალს აცილებულია. სამაგიეროდ, წინამდებარე წერილით გამიზნულ კით-
 ხვაზე პასუხის გასაცემად, ყურადღება უნდა გავამახვილო ერთ გარემოებაზე,
 რომელიც სიტყვა კერა-ს მნიშვნელობის განსაზღვრებაში, ქართულადაც და
 რუსულადაც, ერთნაირად მიმართავს გააზრებათა გეზს ჩვენთვის საჭირო დას-
 კვნისაკენ.

საქმე იმაშია, სახელდობრ, რომ ქართული სიტყვა-კერას ერთ-ერთ გა-
 დატანითს მნიშვნელობად ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მითი-
 თებულია; „... ის ადგილი, სადაც რაიმე მოვლენა, მოძრაობა
 მიმდინარეობს, ღვივის, თავს იყრის, განსაკუთრებით განვი-
 თარებულთა; ადგილი, საიდანაც რაიმე შეიძლება განვი-
 თარდეს“ (IV ტომი, გვ. 1144—1145). ამავე დროს, რუსული ენის განმარ-
 ტებითს ლექსიკონში (დ. უშაკოვის რედაქციით) წერია: „2... Источник,
 место, откуда что-н. распространяется, центр, средоточие чего-н. книжн“
 (II ტ. გვ. 1030) სწორედ ამ გარემოებას დავუდებ საფუძვლად იმ გააზრება-
 დასაბუთებას, რომელიც გვანტერესებს სიტყვა-ყვერბის, როგორც ეკონომი-
 კური და ზოოტექნიკური ტერმინის, მიმართ, მომდევნო მსჯელობისას. იქამ-
 დე კი, ვფიქრობ, აუცილებელია კიდევ რამდენიმე შედარება-დაპირისპირება
 სხვა ენის ლექსიკონიდან და ტერმინოლოგიიდან.

გერმანულ ლექსიკონში არსებული სიტყვა-კერა (რომლის სინონიმია ქარ-
 თულში აგრეთვე ყვერბი და რომელსაც შესატყვისება რუსული Очаг), ყველა



ლექსიკონით¹ გადმოცემულია როგორც der Herd, თანაც გადატანითი მნიშვნელობით მითითებულია აგრეთვე, როგორც ადგილი, სადაც გარკვეულ ლენები აღიძვრება, ვითარდება, მიმდინარეობს. როგორც ვხედავთ ზემოთხსენებით დიდი მსგავსებაა კერა—Огар—Herd სიტყვების მნიშვნელობის ისეთ განსაზღვრებებში, რაც ჩვენთვის, ამ ადგილას, უპირატესი ფასისაა. ამავე დროს, ჩვენი ყურადღება უნდა მიიპყროს იმ გარემოებამ, რომ გერმანულ ლექსიკაში ცნობილია კიდევ სიტყვა die Scholle (დი შოლე), რომელიც რუსულად гряд-ად (ქართულად კი ქვის ლოდად, ყინულის თოშად და მიწის ბელტად) ითარგმნება ხოლმე.

ხშირია, როდესაც დი შოლეს აღნიშნავენ ხოლმე აგრეთვე როგორც ключек земли, ანუ ქართულად, „ერთი მტკაველი მიწა“ (გერმანულ-რუსული ლექსიკონი გ. პოლაკ და ე. ლინდნერისა. მოსკოვი, 1937 წ. გვ. 443; გერმანულ-რუსული ლექსიკონი, ი. რახმანოვის რედაქციით. მოსკოვი, 1947 წ. გვ. 441 და სხვ).


ეს გარემოება იმიტომ უნდა იპყრობდეს ჩვენს ყურადღებას, რომ—ერთის მხრივ—აღძრავს გარკვეულ ანალოგიას ქართულ ლექსიკაში სიტყვა—ყვერბის კიდევ ერთ მნიშვნელობასთან, რომელიც აზრობრივად ახლო მიუდგება ამ სიტყვის სათანადო ტერმინად დამკვიდრებისათვის საჭირო განსჯა-გააზრებებს და, მეორეს მხრივ, დაგვეხმარება იმავე მიზანსწრაფვის დასაბუთებაში ენობრივი ფართო განზომილებით. უნდა გავისხენოთ, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პირველი ტომის 951-ე გვერდზე მოსხენებულია სიტყვა-ბაზო, როგორც „ბოსტნის კვლის ირგვლივ მოსაზღუდავად აბეჭებული მიწა“ და კიდევ სიტყვა-მარგი (მესუთე ტომი, გვ. 55) როგორც „ბოსტნის კვალი“. ეს უკანასკნელი სულხან-საბას ლექსიკონშიც არის როგორც სიტყვა-ყვერბის სინონიმი: „ყვერბი—ესე არის საცეცხლე კერის ადგილი, გინა ბოსტნისა მარგი“ (ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი 1884 წ. გვ. 341), ხოლო „მარგი—ბოსტნის დაკვალული“ (იქვე გვ. 169) და გვხვდება აგრეთვე ნიკო ჩუბინიშვილის ლექსიკონში (გვ. 413) როგორც „ბოსტნის რიგის კვალი სათესად (гряда)“.

ახლა, უკეთუ ჩვენი საბოლოო მიზნისათვის შევაჯამებთ ქართული, რუსული და გერმანული ენის ლექსიკური მასალიდან ამოკრეფილსა და ზემონაჩვენები ყაიდით დაპირისპირებულ ამ მაგალითებს, ვფიქრობ, ასეთი წინასწარი გაზოგადება შეგვეძლება:

10.260

1 ი. პავლოვსკი—გერმანულ-რუსული ლექსიკონი. 1902 წ. მესამე გამოცემა; რივა-ლაიბციგი. გვ. 680.
 გ. პოლაკ და ე. ლინდნერ—გერმანულ-რუსული ლექსიკონი, 1937 წ. მოსკოვი. გვ. 261.
 ა. ლოხოვიცი და ვ. რუდაშ—გერმანულ-რუსული ლექსიკონი 1943 წ. მოსკოვი, გვ. 429.
 ვ. რუდაშ-ის რედაქციით—გერმანულ-რუსული ლექსიკონი, 1947 წ. მოსკოვი, გვ. 271.
 პროფ. ი. სინიაგინი, დოქ. ე. ნიკონოვი და ნ. პასხინი—გერმანულ-რუსული სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონი, 1952 მოსკოვი—ლენინგრადი. გვ. 207.
 პროფ. დ. სინიაგინი და ნ. პასხინი—გერმანულ-რუსული სას. სამ. ლექსიკონი. 1955. მოსკოვი. გვ. 204.
 ი. რახმანოვის რედაქციით—გერმანულ-რუსული ლექსიკონი. 1947 წ. მოსკოვი. გვ. 271.
 2. შრომები, ტ. LXVII, 1965.






სიტყვა ყვერბი იგივეს ნიშნავს (სინონიმია), რასაც ქართული სიტყვა-კერა, რუსული—Очаг და გერმანული—ჰერდ, ე. ი. მოწყობილობა გილი, სადაც ცეცხლს დაანთებენ ხოლმე (საცეცხლე, საცეცხლური, პირა). ეს არის ამ სიტყვათა პირველი მნიშვნელობა ყველა ამ ენაზე.

გადატანითს სხვა რამდენიმე მნიშვნელობასთან ერთად, ამ სამივე სიტყვას (კერა—ოჩაგ—ჰერდ) მოხსენებულ სამივე ენაში ერთი ისეთი მნიშვნელობა აქვს, რომელიც—როგორც უკვე ითქვა—ურთიერთის მეტად მსგავსია: ადგილი, სადაც გარკვეული მოვლენები აღიძვრება, ვითარდება, მიმდინარეობს, ვრცელდება.

ამის საფუძველზე, მაგალითისათვის აღებულ ამ სამივე ენაში, საკმაოდ მსგავსია აგრეთვე კერა—ოჩაგ—ჰერდ-სიტყვებთან დაკავშირებით—ან მათთან შერწყმით—შესატყვისი ცნებების გამოსახვა, ასე, მაგალითად, მშობლიური კერა, კულტურის კერა, ინდუსტრიული კერა, დაავადების კერა, საბავშვო კერა (საბავშვო ბაგა), სადედაქაჯო კერა და სხვ. ასევე—Очаг просвещения, очаг заразы, детский очаг და სხვ. ან კიდევ—der vaterliche Herd, მამისეული კერა, Herd der Bildung, განათლების კერა, Herd der Krankheit, დაავადების კერა, Herd des Aufstandes, აჯანყების კერა და სხვ.

ჩვენს მთავარ მიზანთან დაკავშირებით, აქვე გასახსენებელია ისიც, რომ—მაგალითად—გერმანულ ლექსიკონში ცნობილი სიტყვა დი შოლე (die Scholle), რომელიც ჩვენ ზემოთ რამდენჯერმე მოვისხენით და რომელსაც თავის მხრივ, რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს (ქვის ლოდი—глыба; ყინულის თოში—льдина; ერთი მტკაველი მიწა—кочек земли) გერმანულ ტერმინოლოგიაში უფრო ნაკლებად არის გამოყენებული სათანადო სიტყვათა წარმოქმნაში ამა თუ იმ გზით, ვიდრე გერმანულ ფრაზეოლოგიაში. ასე, მაგალითად, გერმანულად იტყვიან ხოლმე: die heimische Scholle—სამშობლო, მშობლიური კუთხე, an die Scholle gebunden sein—თავის მტკაველ მიწას არის მიტმანსილი; an die Scholle kleben—მტკაველ მიწას ებლაუჭება; auf eigener Scholle sitzen—საკუთარ მტკაველ მიწაზე ზის და ა. შ. (გერმანულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, შედგენილი ლ. ვინოვიჩის მიერ. მოსკოვი, 1956 წ. გვ. 673).

ყველა ეს ფრაზეოლოგიური გამოთქმა ასახავს იდამიანის საქმიანობას და დამოკიდებულებას მიწის ერთ გარკვეულ ერთეულთან (ერთ მტკაველ მიწასთან), ადგილის გარკვეულ უბანთან, გარკვეულ ადგილმდებარეობასთან. გერმანულმა ზოოტექნიკამ კიდევ უფრო მეტად დახვეწა და უფრო ნაშანდობლივი მნიშვნელობა მიაკუთვნა თავის პრაქტიკაში სიტყვა-Scholle-ს გამოყენებას იმ მხრივ, რომ სასოფლო-სამეურნეო ჯიშების დევიარგებისა და გამორგების ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმძღვანელო თვალსაზრისად და დებულებად ასეთი გამოთქმა დანკვიდრდა: „ყოველი ჯიში თავისი შოლეს (ადგილსამყოფელოს, სამშობლო უბნის) პირშია“-ო. გერმანული სასოფლო-სამეურნეო ჯიშთამცოდნეობა მრავლად დაითვლის მაგალითებს, რომლებიც ცხადყოფს, თუ რაოდენ ნაყოფიერი აღმოჩენილა ამ თვალსაზრისით წარმოებული პრაქტიკული საქმიანო-



ბა და მეც, ჩვენი ამ მსჯელობის ილუსტრაციისათვის, რამდენიმე მაგალითს მივუთითებ.

გასახსენებელია, უწინარეს ყოვლისა, რომ ჰოლანდიიდან გერმანიისკენ გადაყვანილი ჰოლანდიური მერძეული ძროხეულის შემდგომი მომშენებლობა იქ ისეთ უმთავრესს ჯილაგებად წარიმართა, რომელთაგან თითოეული, მისი გავრცელების კონკრეტული უბნის (შოლღე-ს) პირობებს შეესაბამებოდა: აღმოსავლეთ-ფრიზეთული, იევერლანდური, ვეზერმარშული, აღმოსავლეთ-პრუსიული, ბრაიტენბურგული, ანგელნური. ხსენებული ჯილაგების გავრცელების, შედარებით ვრცელი, უბნების მიჯნებში, პროფ. ე. რამი გერმანიაში დაბლობის ძროხეულის ჯიშ-ჯილაგთა წარმოშობისა და გავრცელების კიდევ თექვსმეტ ადგილმდებარეობას, უბანს (დი შოლღე-ს) ასახელებს და ასახათებს¹. პროფ. ე. რამი-ს ამ საფუძვლიან ნაშრომში განხილული ფაქტობრივი მასალა და შეჯამებული დასკვნები ფართო მხარდაჭერას ჰპოვებდა ისეთი ავტორების მხრივ, როგორც იყვნენ პროფ. ჰანზენი, პ. გუტბროდი (გერმანიაში), ხოლო საბჭოურ მეცნიერ-ზოოტექნიკოსთა შორის არიან პროფ. ს. ახაროვი და პროფ. ნ. გერჩიკოვი.

დი შოლღე-ს შინაარსობრივი არსის პრაქტიკაში სწორად გამოყენებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა იმავე გერმანიაში ძროხეულის ჯიშთა მთიანეთის ისეთი ჯილაგების დავარგებაში, როგორცაა შვეიცარიულის მონათესავე ჯილაგები, სამხრეთ გერმანიის ადგილობრივი ჯილაგები, შუაგერმანიის ადგილობრივი ჯილაგები; ხოლო ავსტრიაში—ავსტრიული ალპების ზანგელა ჯილაგები, ავსტრიული ალპების ხალიანი ჯილაგები და სხვ.².

ცოტა ქვემოთ დამჭირდება რამდენადმე უფრო დაწვრილებით განხილვა იმ ფაქტორთა წყებისა, რომელთა ერთობლიობა წარმოქმნის სწორედ ჩვენთვის საჭირო ცნების გამომსახველ ტერმინს. როგორც უკვე ვნახეთ, გერმანულ ზოოტექნიკაში ასეთი ტერმინის საფუძვლად მიკვლეულია ლექსიკის სიტყვა დი შოლღე, რომელმაც საკმარისად გაიდგა ფესვი როგორც ფრაზეოლოგიაში, ისე მეცხოველეობის თეორიასა და პრაქტიკაში. ამ ადგილას, ჩვენი ამოცანა უნდა აყოს ასეთივე სიტყვის მოძებნა აგრეთვე ქართული ენის ლექსიკაში და, მე მგონია, ზემოთ უკვე წარმოებულ შედარება-დაპირისპირება საკმარისს საფუძველს გვაძლევს ჩვენი არჩევანი სიტყვა ყვერბ-ზე შევაჩეროთ.

ამრიგად, ყვერბი კერას სინონიმა, ხოლო ეს უკანასკნელი, თავისი მეორე მნიშვნელობით, ის ადგილია, სადაც რაიმე მოვლენა, მოძრაობა მიმდინარეობს, დვივის. თავს იყრის, განსაკუთრებით გამოვლინებულია.

თავის მხრივ, „ყვერბი“-ს სინონიმებია ბაზო „ბოსტნის კვლის ირგვლივ მოსაზღუდავად აბეჭებული მიწა“ და აგრეთვე „კარის გულფიცრის ჩარჩო, შეადარე—კარის ჩარჩო“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი-

¹ იხ. აგრეთვე დ. აგლაძე, „მეცხოველეობის საფუძვლები,“ II ნაწ. გვ. 203—224.
² დ. აგლაძე — „მეცხოველეობის საფუძვლები,“ II ნაწ. გვ. 225—274.



პირველი ტომი გვ. 931). სიტყვა-ყვერბ-ის კიდევ ერთი სინონიმი სიტყვა მარგი ანუ „ბოსტნის დაკვალული“ (სულხან-საბა ორბელიანი), „ბოსტნის კვალი“ (ნიკო ჩუბინიშვილი), „ბოსტნის კვალი“ (ნიკოლოზ მარტოშვილი) ენის განმარტებითი ლექსიკონი).

ეჭვი არ არის, რომ მებოსტნეობის ქართული ტერმინოლოგია, სულ მოკლე ხანში, კიდევ უფრო მეტად დააზუსტებს და დახვეწს სიტყვა ბაზოს და სიტყვა-მარგის ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას და მაშინ, უამრავი სხვა მაგალითისათვის კიდევ ამ ორი მაგალითის მიმატებით, ამ დარგშიც უფრო თვალსაჩინო შეიქმნება ქართული ენის განსაცვიფრებელი სიმდიდრე როგორც ლექსიკის, ისე სემასიოლოგიის თვალსაზრისით. ცხადია, ყოველივე ეს, წინამდებარე წერილის მთავარი მიზნისათვის, მხოლოდ სასხვათაშორისოა, თუმცა კი ფრიად საინტერესოა . . .

მთავარი მაინც ის არის, რომ სიტყვა ყვერბი-ს მეშვეობით შეგვიძლია მივაკვლიოთ ენობრივად სავსებით დასაბუთებულ ტერმინს, რომლის ჯეროვანი დამკვიდრება და გონივრული გამოყენება დიდად შეგვიწყობს ხელს; თანამედროვე მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობილ მოსახრებათა დახმარებით, მოვხაზოთ საჭირო ლონისციებანი ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის პრაქტიკისათვის ესოდენ აუცილებელი შემდგომი პროგრესის უზრუნველსაყოფად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილებათა შესრულებისათვის.


ბ. ტერმინ-ყვერბის ზოობიოლოგიური საფუძვლების გაშუქების და მისი მნიშვნელობის ხაზგანმავალი, ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსში

საკითხის ამ მხარის გაშუქებისას მე იმ შეხედულებიდან ამოვდივარ, რომ ზოოტექნიკა, როგორც მეცნიერული მკოდნეობის დარგი, შეცნობილ უნდა იქნას ტექნიკურ დისციპლინად, რომელიც შეისწავლის წარმოების საშუალებების—ამ შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო ცხოველის—ბიოლოგიურ ბუნებას, მისი მონაწილეობის შესაძლებლობას სასოფლო-სამეურნეო პროცესში და მისი მეშვეობით—გარკვეული საწყისი მასალის გარკვეულ საბოლოო პროდუქტად გარდაქმნის ტექნოლოგიურ ხერხებს¹.

მსჯელობისათვის საწყის წერტილად აღებული დებულების ასეთგვარი განსაზღვრებისას, ბუნებრივია, ყურადღების მახვილი და აზრთა დაკავშირება—დაპირისპირებათა რკალი ორი მთავარი ცენტრის ირგვლივ უნდა შეიკრას; ერთი—სასოფლო-სამეურნეო ცხოველი, როგორც შესატყვისი წარმოების საშუალება (მაგრამ; ცოცხალი ორგანიზმი) და მეორე—რადგან წარმოების ეს საშუალება სწორედ ცოცხალი ორგანიზმი—მისი საარსებო გარემო.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველის ცნების განსაზღვრებაში ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ის ისეთი შინაური ცხოველია, რომელ-

¹ იხ. აგრეთვე დ. აგლაძე, „მეცხოველეობის საფუძვლები“, მეორე ნაწილი, გვ. 4. თბილისი, 1960 წ. საქართველოს სსრ. ინსტიტუტის გამოცემლობა.



სადაც ადამიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოიყენებებს და მაშინ, სრულიად ბუნებრივად წამოიწევს წინა ხაზზე, რომ სასოფლო-სამეურნეო ცხოველის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, საარსებო გარემოს წარმოადგენს იმ კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის (რაიონი, მხარე, ოლქი, რესპუბლიკა) სოფლის მეურნეობა, სადაც მიმდინარეობს ამ ცხოველის მოშენება და გამორკება, შემდგომი გარდაქმნა თუ დამახასიათებელი ნიშანთვისებების დავარგება-გამტკიცება.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველის (როგორც ცოცხალი ორგანიზმის) ევოლუციის ისტორია — მისი გარეული წინაპრების ადამიანის მიერ ჯერ მოშინაურებით და შემდეგ გაშინაურებით დაწყებული და თანამედროვე დიდადპროდუქტიული ინდივიდების ისეთი ჯგუფებით დამთავრებული, რასაც ჩვენ ახლა, ჩვეულებრივ, ჯიშებს ვუწოდებთ ხოლმე — საქმარისად გვაწვდის ფაქტობრივ მასალას, რომელიც თანამედროვე მატერიალისტურმა ბიოლოგიამ — ხოლო ამის საფუძველზე — ზოობიოლოგიამ და აგრეთვე თანამედროვე ზოოტექნიკამ პრაქტიკისათვის სახელმძღვანელო სათანადო თეორიულ პრინციპებად შეიმუშავეს.

ადვილად მისახვედრია, რომ აქ უადგილო იქნებოდა და ჩვენს მთავარ მიზანს აცდენილი, ყველა ამ დებულების თუნდაც ძლიერ მოკლე მიმოხილვა. მაგრამ, ჩვენი სამსჯელობო ფუძისეული საკითხის სრულად გაშუქების ინტერესი კი მოითხოვს ორიოდეთ მათგანი მაინც გავიხსენოთ.

პირველყოფილი ადამიანის მიერ თავისი ადგილსამყოფელის ფაუნიდან შესატყვისი ამა თუ იმ წარმომადგენლის თავისი სახლოსნობის პირობებში ამა თუ იმ გზით გადმოყვანის მომენტი დაიწყო ის პროცესი, რასაც ჩვენ ახლა დომესტიკაცია-ს („გასახლოსნება“-ს) ვუწოდებთ. ჯერ მხოლოდ მოშინაურებული (თავის სახლოსნობის პირობებს მიჩვეული) ამ პირველი ცხოველების მიმართ დაგროვილი დაკვირვებებისა და მათი მოვლას შენახვის საფუძველზე დაგროვილი გამოცდილება საფუძვლად დაედო იმ ხერხებსა თუ ილეთებს, რომლებიც გამოუმუშავებია პირველყოფილ ადამიანს მოშინაურებული გარეული ცხოველების შემდგომი გაშინაურებისათვის, ე. ი. გარეული ცხოველისათვის ჩვეული ბუნების, მისი მემკვიდრულობის გარდასაქმნელად იმ ბუნებად, იმ მემკვიდრულობად, რაც, შემდგომში, შინაური ცხოველისათვის (უკვე გაშინაურებული სათვის) დამახასიათებელი გამხდარა.

დასახსოვრებელია, რომ უკვე მოპოვებული შინაური ცხოველების მოვლას შენახვის, კვება-პატრონობის და აგრეთვე მეურნეობრივი გამორგების წესები, ხერხები თუ ილეთები, რომლებსაც ადამიანი ამ ისტორიული პროცესის მეტად დიდ მანძილზე გამოიყენებდა, ყალიბდებოდა, შეივსებოდა, შეიცვლებოდა და სრულქმნას განიცდიდა იმის შესაბამისად, თუ როგორ მიმდინარეობდა და როგორ ვითარდებოდა ადამიანთა საზოგადოება, მწარმოებლური ძალები ამ საზოგადოებაში და წარმოებითი ურთიერთობანი, ჩვენს მსჯელობაში, ყოველივე ეს საჭირო გააზრებათა რკალიდან გამოსათიში არავითარად არ არის, მაგრამ ამ ხანგრძლივი და რთული პროცესის ყოველი სტადია და ყოველი დეტალი ვერ იქნება უშუალო მნიშვნელობისა ჩვენთვის საჭირო დას-



კენებისათვის. ფართო განზომილებისა და შეჯამებული რამდენიმე ასეთე კენის სახედ, ჩვენ მხოლოდ ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ:


თხრობას დაქვემდებარებული ისტორიის მანძილზე, გარეული ცხოველიდან უკვე შინაურ ცხოველებად დავარგებული ორგანიზმებისათვის არსებითად დამახასიათებელი, ე. ი. მათი ბუნებისეული, მათი მემკვიდრულობის ამსახველი გახდა ადამიანის სახელოსნობის პირობებთან შეგუებულობა, ამ პირობებში უსაზღვრო გამრავლების უნარი და ადამიანისათვის საჭირო გარკვეული მარგებლობის თვისებები (ანუ პროდუქტიულობა);

ყოველგვარი შინაური ცხოველისათვის დამახასიათებელი—და ყოველგვარი გარეული ცხოველისაგან მისი განმასხვავებელი—ეს ფუნქციური ბიოლოგიური რაობა, პრაქტიკულად, დღესაც დიდი მნიშვნელობისაა იმ ამოცანათა თვალსაზრისით, რომლებსაც ვუყენებთ ხოლმე მეცხოველეობას ჩვენს სახალხო მეურნეობაში. ამასთანავე, ამ ბიოლოგიური რაობის მეურნეობრივი გამოარგების ყაიდა, ფარვალი და სახე, ისტორიის მანძილზე, ყოველთვის ისევე ყალიბდებოდა, შეიცვლებოდა, სრულქმნას განიცდიდა იმის შესაბამისად, თუ როგორ მიმდინარეობდა და როგორ ვითარდებოდა ადამიანთა სოციალური ცხოველები, მწარმოებლური ძალები ამ საზოგადოებაში და წარმოებითი ურთიერთობანი; მსგავსად შინაური ცხოველების დავარგების ზემოთ უკვე მოხსენებული პროცესისა.

ჩვენთვის, ახლა და ამ ადგილას, შორეულ წარსულში დაწყებული ამ პროცესის სადღეისო შედეგებიდან მნიშვნელოვანი ის არის, რომ დომესტიკაციის მთელ მანძილზე სისტემატიურად და შეუწყვეტლად მიმდინარეობდა გაშინაურებული ცხოველების ორგანიზმისათვის ჩვეული მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და სხვა რამ ნიშანთვისებების გარდაქმნა ისეთ კომპლექსად, რომელიც არსებულ ბუნებრივ პირობებში ყველაზე უფრო მეტად შესაბამებოდა მეურნე-ადამიანის ეკონომიკურ ინტერესებს. ამ მეურნე-ადამიანის მიერ, დასაწყისში, ინტუიციურად მიმართული ამ გარდაქმნების პროცესი, დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტი მიზანდასახულებით და უფრო მეტად სრულქმნილი ხერხებით იყო ხოლმე წარმოებული, თანაც ჯეროვნად შეხამებული პირუტყვის მოვლა-კვებისა და შენახვა პატრონობის იმ სისტემებს, რომელთაც განსაზღვრავდა მეურნე-ადამიანის სახელოსნობის განვითარებულობის დონე (როგორც უკვე ითქვა, მწარმოებლური ძალების განვითარების დონისა და წარმოებითი ურთიერთობის ხასიათისაგან დამოკიდებული) და ამ სახელოსნობის საერთო პირობები¹.

ასე წამოიწყა და განვითარდა შინაური ცხოველების მოვლა-შენახვაში, როგორც ადამიანთა მეურნეობრივი საქმიანობის გარკვეულ დარგში, საძოვრული (ქოჩადმავლური, მომთაბარეობითი, სტაციონარული) და ბაგური (მისი შესატყვისი სახენაირობებით: საძოვრულ-ბაგური, ბაგურ-საძოვრული,

¹ შინაურ ცხოველთა წარმოშობისა და მეცხოველეობის, როგორც დარგის, ისტორიისთან დაკავშირებით იხ. ავრთევე. დ. ავლადის „მეცხოველეობის საფუძვლები“, I ნაწილისი. 1955 წ., საქართველოს სას. სამ. ინსტ. გამომცემლობა.




საბოლოო-ბანაკური, ბანაკურ-ბაგური და სხვ.) შენახვის სისტემათა პერიოდები, რომლებიც ჯერ კიდევ პირველყოფილ თემურ წყობილებას ესაწყისება და ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ფორმაციების გავლენით თუ ნაკლები ფარგლით, ამჟამინდელი მდგომარეობის სწავლება.

პირუტყვის მოვლა-შენახვის ამ სისტემების თანმიმდევრულად განვითარება დაიწყო და თანდათანობით ფეხი მოიკიდა, ჩვენთვის აქ პირველი რიგად საინტერესო, სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობაში, რომელსაც ის ვაგონობა განსაზღვრავდა, რომ მატერიალური კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის განვითარების—როგორც ერთობლივ მწარმოებლური ძალების განვითარების შედეგს—საფუძველზე აღამიანთა საზოგადოება სულ უფრო და უფრო უმორჩილებდა თავის ინტერესებს ირგვლივ აბსტრუქტულ ბუნებას და სულ უფრო და უფრო აფართოებდა და აწვებდა სასოფლის მეურნეობას.

გინაიდან სოფლის მეურნეობის ამ განვითარებას პაროქსიზმი, მისი შემადგენელი ორი მთავარი დარგის—მემცენარეობისა და მეცხოველეობის—შეიძრო კავშირი ისეთგვარად წარმართა, რომ მეცხოველეობისათვის საჭირო საკვების ბაზას მემცენარეობის შესატყვისი ანარჩენები წარმოქმნიდა (და ეს მით უმეტეს, რაც უფრო ინტენსიური იყო სოფლის მეურნეობა, რაც უფრო მეტად იყო ფესმუქიდებული პირუტყვის ბაგური შენახვა), ანტიომ მოხდა, რომ შინაური ცხოველებს, შენახვა-გამორგების მეურნეობრივი საქმიანობაც თანდათანობით გარდაიქმნა ერთობლივ სახალხო მეურნეობის შემადგენელი იმ ნაწილის, რასაც სოფლის მეურნეობა ეწოდა, ერთ-ერთ ისეთ დარგად, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობა უნდა მისცემოდა.

სახელწოდებას „სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობა“ — სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვაგებით—ბევრი რამ ამართლებდა და დღესაც ამართლებს. დასაწყისში, კაპიტალიზმის აღმავლობისას, როდესაც თავი იჩინა ვარკვეულმა დიფერენციაციამ როგორც მეცნიერების შესატყვისის დარგებში, ისე მეურნეობრივ საქმიანობასა და ტექნიკაში, „მეცხოველეობა“—როგორც შინაური ცხოველთა მოვლა-კვება-შენახვა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საქმიანობა აღამიანისა—სხვადასხვა ინტერესთა სფეროს მოიცავდა, სპორტით დაწყებული (მსგავსად ინგლისურ მეცხოველეობაში მეცხენეობისა) და, უპირატესად, კომერციული ინტერესებით დამთავრებული (მსგავსად დანიური, პოლანდიური, გერმანიის ჩრდილოეთი უბნებისა, ხოლო ევროპის შუაგულში—შვეიცარიული, ავსტრიული, გერმანიის სამხრეთი უბნების მეცხოველეობაში მელიორეობის და მერობეობისა). ასეთგვარი, ე. წ. „კომერციული მეცხოველეობა“ თავისი განვითარების უმაღლესს საფეხურამდე ავიდა, უწინარეს ყოვლისა, ინგლისში, რომელიც—იმ ხანად უცლიერესი კაპიტალისტური და კოლონიური სახელმწიფო—მძლავრი სავაჭრო ფლოტის და ფართო სავაჭრო ქსელის მეშვეობით დიდაც მარჯვედ ახერხებდა ვრცელი კოლონიების უსაზღვრო ექსპლუატაციას¹.

¹ რაჰდენიმე მაგალითი აქ გადმოცემული მსჯელობის მთავარი შინაარსისათვის. იხ. აგრეთვე წიგნში დ. აგლაძე, „მეცხოველეობის საფუძვლები“, მესამე ნაწ. თბილისი, 1964 წ. გამოცემილია „ცოდნა“.



არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ამ ე. წ. „კომერციული მეცხოველეობის“ აღმავლობას არ მოაპყლიყოს შესატყვისი მიღწევები ზოოტექნიკისა (როგორც მეცნიერული მცოდნეობის დარგისა) და მისი პრაქტიკის ასპარეზზე. სწორედ ამ ხანას ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობაში ისეთ ჯიშთა წარმოქმნის სიმრავლე, როგორიცაა ინგლისური მეხორცული ძროხეულის ჯიშები, პოლანდიური (და შემდგომში აგრეთვე სხვა ქვეყნების) მერძეული ძროხეულის ჯიშები, მერძეულ-მეხორცული ძროხეულის ჯიშები (შვეიცარია), მეხორცული და მეხორცულ-საკონო ღორის ჯიშები (უწინარეს ყოვლისა ინგლისში), ფრანგული, გერმანული, ინგლისური მეხორცულ-სამატყლო და სამატყლო მეხორცული ცხვრის ჯიშები და სხვ.


სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის განვითარების ამ პირველი საწყისებისას, რომელთა მიმართველი ერთ-ერთი ფაქტორი „კომერციული მეცხოველეობა“ იყო (აღამიანთა საზოგადოებაში მწარმოებლური ძალების განვითარების იმ საფეხურზე და წარმოებითი ურთიერთობების იმჟამინდელი ყაიდით ნაკარანახევი) ჯიშთა წარმოქმნის ზემოთ მითითებული პრაქტიკული მიღწევები იმ გარემოებამაც განსაზღვრა, რომ ბიოლოგიურ მეცნიერებაში უკვე მტკიცედ დამკვიდრებულმა დარგინიზმმა და, ამის ნიადაგზე აღმოცენებულმა გენეტიკამ თეორიული საფუძველი ჩაუყარა ჯიშთამცოდნეობას, რომლის ტექნიკური ილეთებისა და გერგილების პირველი მონახაზები ინგლისური მეცხენეების („შტუტბუკ“-ები ინგლისური თავანკარა ცხენის მომშენებლობაში), გერმანელი და სხვა ქვეყნების მეძროხეების საწარმოო საქმიანობაში („რძეს საკონტროლო ფერაინ“-ები, გერმანული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი განყოფილებების საინსტრუქციო დადგენილებები და სხვ.) გამოიძერწა.

მაგრამ, ყოველივე ეს მაინც სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის ჩასახვისა და განვითარების მხოლოდ წინაპირობები და წინამორბედებია. პირველმა იმპერიალისტურმა მსოფლიო ომმა (1914—1918 წ. წ.), კაპიტალიზმისათვის ჩვეული შინაგანი წინააღმდეგობების გამო, ძირფესვიანად შეარყია იმ ხანად, თითქოს, გამტკიცებული ეს მდგომარეობა¹. ხოლო მეორე მსოფლიო ომმა (1941—1945 წ. წ.), რომელიც ჩვენთვის დიდი სამამულო ომი იყო, სწორედ ის ვითარება წარმოქმნა, სადაც მსოფლიო მნიშვნელობის სხვა ისტორიულ შედეგებთან ერთად — უწინარეს ყოვლისა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო, სახელდობრ კი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო, მეცხოველეობის ფართოდ და ღრმად განვითარების სიტუაცია.

ყოველივე ზემოთქმული ძლიერ შორეულ, ამავე დროს, უახლოესი წარსულის ამბებია და, მიუხედავად ამისა, აქ სამსჯელობოდ დაყენებული საკითხის სრულად გაშუქებისათვის საკოდნარად ფრიად საჭირო.

ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის მთავარი არსის გაშუქებისა და დასაბუთების ზოგადთეორიული დი-

¹ რამდენიმე მაგალითი აქ გადმოცემული მსჯელობის მთავარი შინაარსისათვის, იხ. აგრეთვე წიგნში დ. აგლაძე — „მეცხოველეობის საფუძველები“ — მესამე ნაწ. თბილისი. 1964 წ. განომცემლობა „სოცდნა“.



აბაზონის ერთ-ერთი ფარდი უნდა იყოს გააზრებები, რომლებიც უნდა გამო-
დიოდეს ზემოთ უაღრესად მოკლედ და უკიდურესად ზოგადი თხრობის
დით გადმოცემული ფაქტობრივი მასალიდან, ცხოველთა დომესტიკაციის
შინაური ცხოველისა და სასოფლო სამეურნეო ცხოველის ბუნების, სასოფლო-
სამეურნეო მეცხოველეობის საწყისების და სხვ. საკითხებთან დაკავშირებით.
ეს იქნება სწორედ ჩვენთვის საჭირო მსჯელობის დაფუძნება მეცნიერების
იმ კანონებზე, რომლებიც—მარქსისტული გაგებით—ადამიანების მიერ,
ბუნების წიაღში, შეიცნობიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეშვეობით,
ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრების წილ—საზოგადოებრივ მეცნიერებათა დახ-
მარებით; ხოლო როდესაც შეიცნობიან და გონიერულად გამოიყენებიან, შე-
საძლებელი გახდება ხოლმე მათი მოქმედების სფეროს შეზღუდვა, ბუნების
შესატყვისი ძალების ჩაყენება საზოგადოების სამსახურში¹.

ყურადღებას მიიპყრობდა, ალბათ, რომ ჩემი წინა თხრობის მთელ მან-
ძილზე სათანადო დებულებათა გადმოცემისას—თუმცა შემთხვევათა გარკვეულ
ნაწილად—არ ყოფილა სახელდობრივ დასახელებულად, მაგრამ მაინც ივრძნო-
ბოდა, რომ ესა თუ ის მოვლენა (დომესტიკაცია, შინაურ ცხოველთა
მომშენებლობა და სხვ.) ყოველთვის უკავშირდებოდა რომელიღაც
დროს და ადგილს, სადაც აღარულა, განვითარებულა და საიდანაც
განვრცელებულა ეს მოვლენა. მეცნიერების შესატყვისი დარგებისათვის ეს
დრო და ადგილი, ახლა, ზედმიწევნით კარგად არის ცნობილი, ისე როგორც
კარგად არის ცნობილი დრო და ადგილი, სადაც შინაური ცხოველების მომ-
შენებლობამ და მეურნეობრივმა გამორგებამ, ე. წ. კომერციული მეცხოველე-
ობის პრინციპებზე, ზოოტექნიკის (როგორც მეცნიერული მცოდნეობის დარ-
გის) და ჯიშთამცოდნეობის საფუძველთა ჩამოყალიბება დაიწყო სასოფლო-
სამეურნეო მეცხოველეობის საწყისების დანიშნულებით. წინა თხრობისას ეს
ადგილები, შიგადაშიგ, დავასახელებ კიდევ.

მატერიალისტური ბიოლოგია გვასწავლის, რომ ყოველი ცოცხალი
ორგანიზმი არსებობს და ვითარდება მხოლოდ მისთვის შესაბამისს გარემოში
და რომ ამ გარემოსთან მუდმივი ურთიერთკავშირი ცოცხლის არსებობის
უცილობელი საწინდარია. ისიც ცნობილია, რომ ცნება-გარემო არ არის
ერთმანე და მარტივი რამ, არამედ მეტად რთული კომპლექსია როგორც
ბუნების, ისე მრავალი სხვა რამ ფაქტორისა, რომელთა ზეგავლენა ცოცხალ
ორგანიზმზე, ცალკეულადაც და ერთობლივადაც, კვლავ რთული და მეტად
მრავალმხრივია, თანაც ფრიად ცვალებადი დროსა და სივრცეში.

ამიტომ, უკეთეს საკითხი შეეხება ჯეროვნად შეცნობილ მეცნიერების
კანონთა რაობის შესაბამისად განსამარტავი ისეთი მოვლენების ირგვლივ
საჭირო თხრობას, როგორიცაა ჩვენს მაგალითში—სასოფლო-სამეურ-
ნეო მეცხოველეობა (მისი შინაარსი, ნამყო და მყოფადი), მაშინ სასო-
ფლო-სამეურნეო ცხოველის (როგორც ცოცხალი ორგანიზმის) და
მისი საარსებო გარემოს (რასაც—როგორც უკვე ითქვა შესატყვისი
ტერიტორიული ერთეულის—რაიონის, ნხარის, ოლქის, რესპუბლიკის—სოფ-


1. აგრეთვე „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსსრ-ში.“ 1952 წ.

ლის მეურნეობა წარმოადგენს) რთული ურთიერთკავშირების სპეციფიკულობის აღსანიშნავად, საკმარისი და შესაძლებელი ვეღარ იქნება მხოლოდ და მხოლოდ, ვთქვათ, შესატყვისი ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებასა და მისი ხელება ან სხვა რამ ასეთივე მარტივი ხერხი. სამაგიეროდ, საჭირო იქნება შემუშავება და დამკვიდრება სათანადო ტერმინისა, ე. ი. სიტყვისა, რომელიც ზუსტად აღნიშნავს საესეებით გარკვეულსა და განსაზღვრულ ცნებას, მცოდნეობის შესატყვისის დარგს რომ ესაყიროება.

წინამდებარე წერილში სამსჯელობო საგანთან დაკავშირებით, მცოდნეობის ასეთი დარგია სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობა, მისი თეორიისა და პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო დონის იქნებათა კომპლექსი (ამ კომპლექსს ნიშანდობლივი რაობის ირგვლივ ბაასო ჯერ კიდევ წინ გვიდგეს), რომელიც ყოველთვის და ყველგან მეტად თუ ნაკლებად სპეციფიკური არის (და უნდა იყოს) ხოლმე, კონკრეტული ადგილისათვის ჩვეული ყოველგვარი პირობების თავისებურებათა ერთობლიობისა და აგრეთვე ამ ადგილის სოფლის მეურნეობის ფაქტობრივი რაობისაგან დამოკიდებით.

ვინაიდან ამა თუ იმ ადგილის (ტერიტორიული ერთეული) ბუნებრივი გარემო, ეკონომიკური პირობები, ხალხი და მისი მატერიალური თუ საერთო კულტურა (როგორც საზოგადოებაში მწარმოებლური ძალების განვითარებულობის დონისა და წარმოებითი ურთიერთობის ხასიათის ასახულობა) სოფლის მეურნეობის ფაქტობრივი რაობის ყველა მსარეშიც მკლავნდება, ხოლო სოფლის მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საარსებო გარემოს წარმოადგენს—ამიტომ ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო დონის იქნებათა კომპლექსის (თეორიულ გააზრებათა სისტემის) პრაქტიკულად გამოყენების ასპარეზიც როდი უნდა აღინიშნოს, ვთქვათ, ამა თუ იმ ადგილმდებარეობისათვის ჩვეულებრივ მიკუთვნებული მხოლოდ გეოგრაფიული სახელწოდებით, არამედ საჭიროა სწორედ ტერმინი, რომელიც ყოველთვის წარმოადგენს საგნის, მოვლენისა აუ თვისების ურთიერთდამოკიდებულებათა, პროცესების და სხვ. ზუსტ აღნიშვნას წარმოების ამა თუ იმ დარგში, ტექნიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვ.

ამასთანავე, ვინაიდან—როგორც ცნობილია—ტერმინების წარმოქმნის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა შესატყვისის ენაში არსებული სიტყვების გამოყენება, ამიტომ—დაწყებული მსჯელობის ამ ადგილას მოსარავგავად და მომდევნო გააზრებათა საწყისისათვის—გავისხენოთ წინამდებარე წერილის ერთ-ერთ წინა განაკვეთში მოხსენებულნი და ინტერპრეტირებული სიტყვა-ყვერბი, როგორც ქართული ენის ლექსიკის ელემენტი და მისი მნიშვნელობის ანალოგები სხვათა ენებში. მეორეს მხრივ, გავისხენოთ აგრეთვე წინამდებარე წერილის ამ განაკვეთში მეტად მოკლედ და სრულიად სქემატურად გადმოცემული მოვლენები შინაურ და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ევოლუციის საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა ჯეროვანმა გააზრებამ უნდა გავგვიადვილოს მეცნიერების კანონთა რაობის შესაბამისი გამოვადებები თეორიული საფუძვლებისა სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის (როგორც



წარმოების დარგის) და თანამედროვე ზოოტექნიკისათვის (როგორც მეცხე-რული მცოდნეობის დარგისათვის), მაშინ, ვფიქრობ, აღარ უნდა გაგვიმდგინდეს ყოველდღიური ლექსიკის სიტყვა ყვერბისათვის იმ სპეციალურ ლოზისა და სემასიოლოგიური მიჯნების სიზუსტის მიკუთვნების აუცილებლობის აღსარება რასაც, ჩვეულებრივ, მოითხოვს ყოველი ტერმინი. ამის საჭიროებას ჩვენს დარგში უაღრესად განვიცდიით, რადგან არ მოგვეპოვება ტერმინი, როგორც აღნიშნვა კონკრეტული ადგილისა, სადაც უნდა აღიძვროდეს მოქმედებდეს და ვითარდებოდეს ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი—სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის წარმოქმნისა თუ შემდგომი განვითარება-გამტკიცების მნიშვნელოვანი საშუალება.


უკვე რამდენჯერმე ითქვა—და კვლავაც უნდა გავიმეორო—რომ აქამდე მონათხრობი მხოლოდ ფრიად საერთო, მოკლე და ჩემი მსჯელობის იდეური მიმართების ზოგადთეორიული დიაბაზონის ილუსტრაციას ემსახურებოდა. მიმოხილვის ამ საერთო ფონზე, ანლა, საჭიროა რამდენიმე დახვეწა, დაწახნაგება და დაკონკრეტება.

გ. სოფლის მეურნეობის შინაარსიხეული რამდენიმე მომენტი ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის რაობის განსაზღვრებისათვის, გარკვეული ყვერბის ფარგლებში

ყველა სახელმწიფოში, ოდითვე და, განსაკუთრებით, ჩვენს თანამედროვეობაში, სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მატერიალური წარმოების ერთ-ერთ მთავარ სფეროს, რომლის მიზანია მცენარეული და ცხოველური წარმოების საზრდო პროდუქტების რეწვა (წარმოება), სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა და ცხოველების მოყვანა-მოშენებისა და გამორგებლგზით.

სოფლის მეურნეობა გვაწვდის მოსახლეობისათვის აუცილებელ სურსათს, ნედლეულს მრეწველობისათვის, მისდევს ცოცხალი გამწევი ძალის კვლავ-წარმოებას (მეცხენეობა, მეირმეობა და სხვ.) და თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სახალხო მეურნეობაში.

სოფლის მეურნეობის აგრეთვე ასეთგვარი ფუნქცია არის, შინაარსობრივ, ზედმიწევნით მსგავსი ყველა სახელმწიფოში, განსაკუთრებით, ჩვენი თანამედროვეობისას. მაგრამ, საყურადღებოა ის, თუ რა ფარგალს აღწევდა, ამჟამადაც აღწევს და საითკენ მიდის ამა თუ იმ სახელმწიფოში (ერთობლივ, თუ მის ცალკეულ უბნებში) სოფლის მეურნეობის ასეთგვარი ფუნქციის (ერთობლივ, თუ მისი ცალკეული ნაწილების) გახორციელების ფარგალი ან კიდევ გზები და საშუალებები ამ დანიშნულების განადღებისა. ყოველივე ცალკეული ყვერბისათვის (ჩვენ, ზოგადად, უკვე ვიცით რას ვგულისხმობთ ამ ტერმინით) ეს საკითხი უგულვებელსაყოფი არ არის, უკეთუ საჭიროა ანალიზი და შემუშავება ამ ყვერბის სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობისათვის ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსისა, როგორც შესატ-



უცხოელების მიზანდასახული, გეგმაზომიერი და მეცნიერულად დასაბუთებული მომავალი გარდაქმნებისა, ახალორგანიზაციისა თუ გამტკიცებისა.

მსოფლიო სტატისტიკის მონაცემები ცხადყოფს, რომ სოფლის მეურნეობას მისდევს დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი და სოფლის მეურნეობისათვის გამოყენებული ფართობი ჩვენი პლანეტის მთელი ხმელეთის ერთ მეოთხედს აღემატება. იმავე მსოფლიო სტატისტიკის მონაცემებით ჩანს, რომ ახლახანს ხსენებული შეფარდებები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში საგრძნობლად მეტ-ნაკლებობს. ასე, მაგალითად, ევროპაში (ჩათვლილი არ არის საბჭოთა კავშირი) სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (სახნავი, სათიბი, საძოვარი და სხვ.) მთელი ფართობის 50% შეადგენს, მაშინ, როდესაც სამხრეთ ამერიკაში ის მხოლოდ 21%-ს აღწევს; 26—28 და 29%-ით შემოიფარგლება ეს მაჩვენებელი (პროცენტების უკვე მითითებული თანმიმდევრობით) ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში, აზიასა (ჩათვლილი არ არის საბჭოთა კავშირი) და აფრიკაში, ხოლო ავსტრალიასა და ოკეანიაში 47%-ს აღწევს; ყველა ამ ქვეყანაში (საბჭოთა კავშირის გამოკლებით), საშუალოდ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ამ ქვეყნების ერთობლივი ფართობის 29% უჭირავს (ჩათვლილი არ არის საბჭოთა კავშირი).


რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მოსახლეობის რაოდენობას, ის—მაგალითისათვის მოხსენებულ ქვეყნებში—ერთობლივ მოსახლეობის შემდეგ პროცენტს წარმოქმნის (არც ამ შემთხვევაშია ჩათვლილი საბჭოთა კავშირი):

ევროპაში—32	ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში—29
აზიაში—70	სამხრეთ ამერიკაში—59
აფრიკაში—73	ავსტრალიასა და ოკეანიაში—29

სულ (საშუალოდ)—59¹

საზოგადოებრივი სიძლიდრის მნიშვნელოვანი ნაწილის გამსახიერებელი მიწის ფონდით იატიომ დავიწყებ ეს მიმოხილვა, რომ—როგორც ცნობილია—სოფლის მეურნეობაში მიწა წარმოების მთავარი საშუალებაა და აუცილებელი მატერიალური პირობა წარმოების ყოველგვარი პროცესისათვის. ცხადია, ასეთსავე ეკონომიკურ მნიშვნელობას ინარჩუნებს მიწის ფონდი იმ გააზრებათა რკალში, რასაც ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსს ვუწოდებ და ამ მნიშვნელობის ირგვლივ ყურადღების გამახვილება ყვერბიდან ყვერბამდე მით უფრო აუცილებელია, რომ—გარდა—საყოველთაო, ყველგან და ყველასათვის საერთო მოვლენა-მდგომარეობებისა, რომლებიც განსახლვრავს როგორც მიწის ფონდის გამოყენებას (ვთქვათ, წარმოების გაბატონებული წესი) ადგილიდან-ადგილამდე და დროდან-დრომდე—სხვადასხვა მიზეზით შეიცვლება ხოლმე შესატყვისს კატეგორიებად დაჯგუფებული (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა, სავანგებო დანიშნულებისა, სახელმწიფო მარაგისა და სხვ.) მიწის ფონდის განაწილება მოსარგებლეთა შორის.

¹ F. Yearbook of Food and Agricultural statistics, 1953, V 7, p. 1, რომი, 1954 წ.




მაშასადამე, ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსისათვის საჭირო გააზრებათა ჯაჭვში ერთი უპირველესი რგოლია მიწის ფონდის არსებული და სავარაუდო სტრუქტურა მოცემული ყვერბის რეგულაციებში; მათვე ყვერბის ფარგლებში დამკვიდრებული წესები, პირობები, ყალიბ-ცალკეულ მეურნეთა თუ კოლექტივების მიერ მიწის გამოყენებისათვის, ე. ი. მიწის საზღვრები (რომელსაც განსაზღვრავენ ხოლმე საზოგადოებაში გაბატონებული წარმოდებითი ურთიერთობანი) და აგრეთვე ღონისძიებათა სისტემა მიწის—როგორც წარმოების საშუალების—გამოყენების ორგანიზაციისათვის ანუ მიწის მოწყობა (რომელსაც განსაზღვრავს წარმოების არსებული წესი). საქართველოს სსრესპუბლიკის მეცხოველეობის მრავალი სხვადასხვა ყვერბის პირობებში შესაძლებელი ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსისათვის ყველა ეს საკითხი თუნდაც მარტო იმით არის პირველი რიგისა, რომ—როგორც ცნობილია—მიწის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გამოყენებისათვის საბჭოთა კავშირში მიღებული დანაწილებიდან ხუთ კატეგორიად, ერთ-ერთი წარმოადგენს სახელმწიფო მარაგს (სახელმწიფო ფონდს), საიდანაც მომხმარებლებს განეკუთვნება ხოლმე მიწის სხვადასხვა დანიშნულებით და, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის მომთაბარეობისათვისაც. ეს საკითხი ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის მრავალი ყვერბის პირობებში ჯერ კიდევ უქმარისად არის მოწესრიგებული და, მე ფიქრობ, არ უნდა მოწესრიგდეს (და ვერც მოწესრიგდება) შესატყვისი ყვერბის მეცხოველეობის განვითარებისათვის ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის წინასწარი შექმნისათვის ვარაუდობა, რამდენადაც—როგორ უკვე ითქვა—მეცნიერულ გააზრებათა საამისო სისტემაში მიწის ფონდი, მიწის საზღვრები და მიწის მოწყობა ფუნდამენტური ელემენტებია.

ამ ელემენტების მნიშვნელობა, ცხადია, არ ამოიწურება ზემოთ მხოლოდ ერთ ერთი მაგალითის დანიშნულებით ნათქვამით—პირუტყვის მომთაბარეობის საჭიროებებზე და ინტერესებზე. მათი მნიშვნელობის განზომილება გაცილებით უფრო ვრცელია და—გარდა ისეთგვარი, შედარებით ვიწრო, წრის საკითხებისა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, როგორც ახლახანს, მაგალითისათვის, მოხსენებული მომთაბარეობაა—ისეთ საკითხებსაც სწევდება, რომელთა წამოჭრისა და ამა თუ იმ გეზით გადაჭრის ისტორია ბევრ ასეულ წელს მოიცავს, თანაც ეკონომიკური კანონების იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც როდეს მოისპობიან ხოლმე, არამედ, ახალი ეკონომიკური პირობების გამო, ძალას კარგავენ და ადგილს უთმობენ ახალი ეკონომიკური ვითარებით წარმოქმნილ კანონებს¹.

ახლახანს თქმული დებულების მთავარი შინაარსის სრულად გათვალისწინებისათვის გავისენოთ, თუ—საზოგადოებრივი წარმოების მეტად ხანგრძლივი, მრავალსაუკუნეიანი განვითარების, შრომის საზოგადოებრივი განაწილებისა და საქონლის წარმოების შედეგად როგორ მომხდარა მსოფლიო სოფლის მეურნეობაში გამომხოლოება სხვადასხვა დარგებისა, რაც აღდამინათა სა-


¹ იხ. აგრეთვე „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრკ-ში“ 1952 წ.



ზოგადობის განვითარების სხვადასხვა ფორმაციების მიჯნებში დამკვიდრებული მიწისმფლობელობის პირობების შესაბამისად მიღწეული სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისაკენ, მისი საქონლმწარმოებისა და ინტენსიურობის სხვადასხვა დონისა თუ ფარგლის გავლით. ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ თუმცა სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა ადგილი მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების გაცალკევებას (საზოგადოებრივი შრომის პირველი განაწილება), ხოლო მიწათმფლობელურ საზოგადოებაში, მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის განმხოლოების შემდეგ (შრომის მეორე განაწილება) თავი იჩინა რკინის იარაღის წარმოებამ—ფეოდალიზმის დროინდელი სოფლის მეურნეობა მაინც მცირედპროდუქტიული და ნაკლებინტენსიური იყო. მემინდვრობაში თოხი და ბარი კავმა და გუთანმა შეცვალა, მაგრამ, ფეოდალიზმისას მაინც საკმაოდ დიდხანს რჩებოდა სოფლის მეურნეობა მესაქონლეობასა (მეცხოველეობასა) და ოჯახურ წარმოებასთან დაკავშირებულ საყაანობირო მიწათმოქმედებად. სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნობის გაცალკევების პროცესის შემდგომში მიმდინარეობამ განსაზღვრა საქონლის წარმოება და გლეხური მეურნეობისა და დამოუკიდებელი ხელოსნური წარმოების თანდათანობითი კაპიტალისტური რღვევა; ხოლო მიწისმფლობელი ფეოდალების მიერ გლეხობისათვის შეწერილმა ფულადი რენტის განვითარებამ უფრო მეტად შეუწყო ხელი წარმოების ფეოდალური წესის რღვევის პროცესის დაჩქარებას.

ცოტა ქვემოთ, მე დამჭირდება ორიოდენ სიტყვით იმის შეჯამება, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა ფარგალი უნდა მიეკუთვნოს ყოველივე ამის შესხენებას ამა თუ იმ ყვერბისათვის შესამუშავებელი ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსში. ამ ადგილას კი, ვფიქრობ, მიზანსაცდენილი არ უნდა იყოს აგრეთვე იმის გახსენება, რომ კაპიტალიზმამდელ მემამულეთა საბატონო მეურნეობაც, გლეხობის ნატურალური მეურნეობაც და მრეწველთა ხელოსნური წარმოებაც, უკეთეს შემთხვევაში, სრულიად მარტივ კვლავწარმოებას ასახიერებდა. საუკუნეთა მანძილზე არსებობდა მეურნეობრივი ერთეულები, რომლებიც არც სიდიდით და არც ხასიათით არ იცვლიდნენ მემამულის საბატონოს, გლეხთა სოფლისა თუ სოფლის ხელოსანთა და შინაწრეწველთა ადგილობრივი პატარა ბაზრის იერს. სოფლის მეურნეობაში შეჭრილმა კაპიტალიზმმა შეარყია ეს მიუტრეხულობა და აღძრა წარმოების გარდაქმნები ტექნიკური პროგრესის გზით, თანაც უზრუნველყო გაფართოებული კვლავწარმოება, მეურნეობრივი ურთიერთკავშირების გაფართოება ადგილობრივი ბაზრისა და სახელმწიფოს მიჯნებს მიღმა. სოფლის მეურნეობა სულ უფრო და უფრო მეტად იწყებს პროდუქციის რეწვას ბაზრისათვის, ხოლო გლეხის ნაწარმი საქონლის მნიშვნელობას იცენს.

ცხადაა და ყოვლად უდავო, რომ ზემოთქმული „არ ახალია—ძველია“. . გარნა, ეს სტრიქონები სრულიადაც არ არის განკუთვნილი და გამიზნული ჯერ არაგისაგან თქმულ ახალ ამბავთა მოსათხრობად. მე იმ აზრს მივდევ, რომ ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებისათვის საჭირო მეცნიერულ გააზრებათა შორის არ უნდა იქნას უგულებელი



არც ეთნოგრაფიისა და არც იმ ხალხის ისტორიის შესატყვისი ელემენტები, რომელიც სოფლის მეურნეობას მისდევს და — წინა გვერდზე გადმოცემულ სტატისტიკური ცნობის თანახმად — სოფლიოში მოსახლეობის ნახევარზე მეტადგენს. სწორედ მიწისმფლობელობის, მიწითსარგებლობის, მიწისმოწყობის და სხვ. ისტორიულად ჩამოყალიბებულმა პირობებმა, იმ ვითარებებისა და ძალთა ზემოქმედებით, რაც ზემოთ უკვე იყო მითითებული, ერთი სიტყვით — მიწამ (რაც მიწათმოქმედების მიმდევარმა ქართველმა კაცმა მშობელ დედას — დედამიწა — გაუთანაბრა) შექმნა ამ ხალხის მიდრეკილება, გამოცდილება; ადათი და ჩვევები სათანადო საქმიანობაში — მეტად თუ ნაკლებად დიფერენცირებულ-დახვეწილ-განსხვავებული ყვერბიდან ყვერბამდე — რომლებიც არასოდეს არ უნდა იქნას იგნორირებული, მაგრამ ყოველთვის საჭიროებს აწონ-დაწონვას და მოფიქრებულ გამოყენებას. სწორედ საქართველოს სოფლის მეურნეობაში, კერძოდ კი, მის მეცხოველეობაში არის შესაძლებელი საკმაოდ ბევრი ისეთი ყვერბის დასახელება (და ეს უწინარეს ყოვლისა, საქართველოს მთიანეთს შეეხება); რომლის მეცხოველეობისათვის საჭირო ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება გვერდს ვერ აუქტევს, შესატყვისი შემადგენელი ნაწილების განსჯა-გააზრებაში, ეთნოგრაფიულ ასპექტებს, რადგან რომც არ შემორჩენილიყო ჩვენს თანამედროვეობას, თუნდაც შორეული წარსულის გადმონაშთთა სახედ, ამჟამინდებურად დასახვეწი და გადასაკეთებელი მამაპაპური ილეთ-გერგილები, ყოველ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის მიმდევარი მოსახლეობის სათანადო განწყობილებანი ჯერ კიდევ საჭიროებენ ჯეროვან გაამდროებას. ეს საჭიროება, შესაძლოა, იმითაც არის გამოწვეული, რომ კაპიტალიზმის განვითარება საკმაოდ გვიან დაიწყო და გაცილებით უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთსა და ევროპის რამდენიმე სხვა ქვეყანაში, პირველ რიგად კი — გერმანიაში.

ფიქრობ, არ მჭირია გამეორება და რაიმეგვარად ხაზგასმა, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ და სოფლის მეურნეობაში შეჭრამ თუმც გააძლიერა მშრომელი ვლებობის გალატაკება და გაბარტახება, გამოიწვია მისი გათიშვა სოფლის ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, მაგრამ, ამასთან ერთად, მაინც შექმნა პირობები რუტინული (დახვესებული, დრომოჭმული) წარმოების გარდასაკმნელად უფრო პროგრესულ წარმოებად, შეცნიერული აგრონომიის გამოყენებით, რამდენადაც მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა ქმნის საამისო შესაძლებლობას.

არც ის გარემოება საჭიროებს ვრცლად თხრობა-გაშუქებას. რომ კაპიტალიზმით აღიარული მთელი ეს პროგრესი სხვადასხვა ქვეყანაში მეტი თუ ნაკლები ერთნაირობით მიმდინარეობდა და, ამის შესატყვისად, ყალიბდებოდნენ ყოველ ქვეყანაში როგორც სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური სპეციალიზაციის თავისებურებანი და ერთნაირობანი, ისე საერთო არსებითი რაობა განსხვავებისა, რომელიც სჩვევია სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გარდაქმნის პროცესს საქონლის წარმოებად. ყოველივე ეს ამომწურავი სისრულით და თვალსაჩინოებით განუმარტავს ვლ. ლენინს მიწათმოქმე-




დების თავისებურებათა გაშუქებისას კაპიტალიზმის დროს¹ და სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული ტიპის დასაძინებელი როგორც ცნობილია, პრუსიულა ამ ტიპისათვის ჩვეული იყო მიწისა და წარმოების სხვა საშუალებათა მეტი ნაწილის თავისმოყრა იუნკრულ მეურნეობებში (100 ჰექტარზე მეტი სიდიდისა) და ერთი ციციქნა, მუშისათვის მიზომილი („ნადელ“-ი), სულ ბევრი, ორი ჰექტრით შემოფარგლული ჯუჯამეურნეობის არსებობა.

მიწისმფლობელობისა და მიწითსარგებლობის ეს პირობები კმნიდა სოფლის მუშის იმ მიდრეკილებას, რომ მოჯამაგირედ დადგომოდა იუნკერს, რადგან მის მთავარ შემოსავალს მოჯამაგირეობა წარმოადგენდა; ხოლო საკუთარ „მეურნეობა“-ში მუშაობა თანაური წყარო იყო; ხოლო მემამულისათვის ეს იყო საშუალება შრომის ანაზღაურების უკიდურესად მცირე ფარგლამდე შემცირებისა. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი იმას იწყევდა, რომ მემამულე მოჯამაგირისა და მისი ოჯახის წევრების საფ შრომას ამჯობინებდა და არ ეტანებოდა ამ მუშახელის შემნაცვლელი რთული მანქანა-იარაღების გამოყენებას. ვლ. ლენინს, მითითებულ ნაშრონში, წარმოადგენილი აქვს, მის მიერ შემუშავებული ცხრილი, რომელიც ცხადყოფს, რომ რევოლუციამდელი რუსეთის ევროპულ ნაწილში მიწის განაწილება, მეოცე საუკუნის დასაწყისში, კაპიტალიზმის პრუსიული ტიპის გავრცელებას ადასტურებს.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის მიწის განაწილების მსგავსი სურათი აღინიშნებოდა ევროპის კაპიტალისტურ სხვა სახელმწიფოებშიაც, მაგალითად — იტალიაში. ამისგან განსხვავებით, ვლ. ლენინი, აღნიშნავს კიდევ კაპიტალიზმის განვითარების ამერიკულ ტიპს, რომელიც იმ გარემოებამ განსაზღვრა, რომ კოლონიზაციის პერიოდში (მე-19 საუკუნე) თავი იჩინა მიწის მიტაცებამ დაუბრალოებლად, კაპიტალიზმის სწრაფად განვითარებამ, ფერმერთა კლასის სწრაფად ვადართობამ და ურენტო მიწების დამუშავებამ ისე, რომ თითქმის არ ჰქონია ადგილი ექსპლუატაციის კაპიტალიზმამდელ ფორმას.

აქ, ერთხანს, უნდა შევწყვიტო დაწყებული თხრობა და კვლავ მივუბრუნდეთ ამა თუ იმ ყვერბისათვის შესამუშავებელი ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის საკითხს. ამ კომპლექსის შინაარსობრივი არსის დახვეწისას ამა თუ იმ ყვერბისათვის, ამოცანას ის კი არ შეადგენს, რომ აუცილებლად მოინახოს და დადგინდეს მსგავსება თუ განიორება მოვლენისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა და ცხადყოფილია რომელიღაც უკვე შესწავლილი, განსაკუთრებით კი მოწინავედ, კულტურულად და სხვ. აღიარებული ქვეყნისა და ხალხის წილ; არამედ საჭიროა, ამ უკვე შესწავლილ მაგალითებზე დაყრდნობით, გააზრება და სათანადო კანონზომიერებათა სახედ გაზოგადება იმ კონკრეტული ფაქტების ერთობლიობისა, რომელთაც ახლა ვუკვირდებით ან კიდევ ისტორიული თუ ეთნოგრაფიული წყაროებით არის ცნობილი; ამავე დროს, ყველა ამ ფაქტის ჯეროვანი გააზრებისა და გაზოგადების საერთო ლოგიკური ფონი უნდა იყოს მარქსისტულ-დი-


¹ ვლ. ლენინი, თხზულებანი, მესამე ტომი, მე-4 გამოცემა (რუსულად).



ალექტიკური, ობიექტურ სინამდვილეში თვით საგანთა მოძრაობისა და განვითარების შინაგან კანონზომიერებათა სისწორისა და გონივრულობის სასველი. ამ შემთხვევაში, ეთნოგრაფია და ისტორია საცხებით ბუნებრივად (და არა მიტმასნილად) ჩაერთვის ზოოტექნიკურ საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსს არა როგორც გამეორებული კონსტატაცია ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევებით ჭეშმარიტად დადგენილი ამბებისა (რაც ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფიკოსების უპირატესი ამოცანაა), არამედ როგორც შინაარსეული ქარვა მეცნიერების იმ კანონებისა, ყოველთვის რომ საფუძვლად უნდა დაედოს ხოლმე ყოველგვარ შემოქმედებითს მუშაობას.

უკეთეს, ამ საერთო და ზოგადთეორიულ დებულებათა შინაარსს საქართველოს სს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების, პირველ რიგად კი მეცხოველეობის, სხვადასხვა ყვერბის პრაქტიკულ საქიროებებს მივუყვებით, მე მგონია, რომ ჩვენში ოდითვე მოქმდინარე მომთაბარული მეცხვარეობისათვის, თანამედროვე პირობებში შესამუშავებელ ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსში შემოთქმულ ყაიდაზე გასააზრებელი იქნება, ორიოდ კონკრეტული მაგალითის დანიშნულებით თუ ვიტყვი, ძველთაძველი „ბინისთაობა“, „სარქლობა“, „ოჩხარი“ და სხვ., მემინდვრეობაში — „მამითაღი“, „ნაღი“ და სხვ., რომლებიც შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სფეროს მიეკუთვნებიან. მე ძლიერ შორს ვარ აზრისაგან, თითქოს კაპიტალიზმამდელი. შემდეგ კი — დაგვიანებითა და ნელი ტემპით განვითარებული — კაპიტალიზმის დროინდელი მიწისმფლობელობისა და მიწითსარგებლობის, აგრეთვე მწარმოებლური ძალების განვითარებულობის ღონისა და წარმოებითი ურთიერთობის ზეგავლენით დამკვიდრებული იმპაზინდელი ეს ადათ-ჩვეულებები პირწავარდნილად აღვადგინოთ ჩვენს თანამედროვეობაში (თუმცა, საკმაოდ ხშირ შემთხვევაში და საკმაოდ შორეული მიმსგავსებით, ამას ვაკეთებთ ხოლმე უკმარისი დასაბუთებულობითა და ორგანიზებულობით). მე მხოლოდ იმ აზრს გამოვთქვამ, რომ სრულიად ზუსტად გარკვეულ ბუნებრივს გარემოში (რაც — როგორც ცნობილია — მეტად მრავალფეროვანია საქართველოში) და ამ გარემოს შესაბამისად ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ-მეურნეობრივ პირობებში (რომლებიც — უარსაყოფი არ არის — ჯერ კიდევ შემორჩენია ჩვენს სინამდვილეს წარსულის ერთგვარი გადმონაშთების სახედ), ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრული გათანამედროვეება ისეთი ღონისძიებების შემუშავებას საჭიროებს, რომლებიც ახლო თუ შორი წარსულის ვითარებათა, მეცნიერული კანონის წესისამებრ, ათვისებას ქვაკუთხედად დაუდებს სადღეისო და — შეძლებისამებრ — მომავალში მოსალოდნელ გარემოებათა მოწესრიგებას საზოგადოების ინტერესთა შესაბამისად.

ერთგვარად წინასწარ მონახაზად, ასე წარმომიდგენია იგავი ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსისა, რომელიც — ცხადია და სწორედ აქეთვე მივმართავ ჩემს თხრობას — ჯერ კიდევ მოითხოვს ამბად თქმას და ჯერ კიდევ მოელის საამისოდ განსწავლულ თავისს მწიგნობრებს. . . . ისინი, ეს მწიგნობრები, კიდევაც დაიზრდებიან და გამოიწაფებიან ჩვენი ახალგაზრდობის რიგებში, ოღონდ საჭიროა ამ გზაზე მათ გა-




უძღვეს ბერი-მინდია, რომელიც ჭეშმარიტი მეცნიერების მუსკოს ჩა-
დგამს და გაიყოლებს გოგო-ბიჭებს, ვისაც თავი აქვს ცდისაო. **ქართველი**
ნი კარგი გოგო ბიჭები კი — ოლონდ თაფლი (ჭეშმარიტი ცოდნა) **საქართველოს**
ანდაზისებრად, ბუზივით ბაღდადიდან მოვლენ.

მე ეს ღრმად მრწამს! . . .

საამისოდ საჭირო ყველა შედარება-დაპირისპირებებისა და განსჯა-გა-
ზოგადებების დროს, მსჯელობა-დასკვნებისათვის, შესატყვისს ნიშანსეცად
უნდა გვექონდეს აწმყო რაობა და გამიზნული მომავალი სოციალისტური
სოფლის მეურნეობისა, რომელიც სიციალისტური სახალხო მეურნეობის
შემადგენელი ნაწილია, მთავარი ბაზაა მოსახლეობის მომარაგებისა საზრდო
პროდუქტებით და სოციალისტური მრეწველობისათვის ნედლეულის
წყარო.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარება დაქვემდებარებულია
სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ობიექ-
ტიურ კანონს და ნისთვის უცნობია კრიზისები. სოციალისტური სოფლის
მეურნეობა ვითარდება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის სა-
ფუძველზე. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ რუსეთში მოს-
პო მიწის წილ მემამულური საკუთრება, ის საყოველთაო სახალხო ქონებად იქ-
ცა და გლეხობას გადაეცა მუდმივი სარგებლობისათვის; მრეწველობის, ტრან-
სპორტის და სხვ. ნაციონალიზაციის გზით, მრეწველობაში სოციალისტური
წყობა დამკვიდრდა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ
თანმიმდევრულად გახორციელებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო ჩვენი
ქვეყნის სოფლის მეურნეობის გარდაქმნა სოციალისტურ, მექანიზებულ,
საქონლურ, მსხვილსა და ტექნიკით აღჭურვილ მოწინავე წარმოებად. ღონის-
ძიებათა ამ რთულსა და ყოველმხრივ წყებაში, მთავარი მიმმართველი გეზი
იყო და არის მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება, როგორც სოცია-
ლისტური სახალხო მეურნეობის საფუძველთა-საფუძვლისა, საბჭოთა კავშირის
დამოუკიდებლობის, თავდაცვის უნარიანობის, საბჭოთა ხალხის კეთილდღე-
ობის განუხრელი გაძლიერების მიზნით.

ამ ღონისძიებათა ვრცელსა და მრავალფეროვან წყებაში, ზოოტექნიკურ-
საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის თვალსაზრისით, ჩვენი მსჯელო-
ბისათვის აქ წინა ხაზზე უნდა წამოგწიოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დად-
გენილებები, რომელთა შინაარსობრივი საერთო ხაზი იმ დებულებით გამოი-
სახებოდა, რომ საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობის პროდუქტთა რეწვის
(წარმოების) ფარგალი და ღონე ეერ შეესაბამებოდა ამ სოფლის მეურნეობის
აღჭურვილობას ტექნიკით და შესაძლებლობებს, საკოლმეურნეო წყობას რომ
გააჩნია. პლენუმის მიერ დასახული პრაქტიკულად სამოქმედო პროგრამის
მიზნობრივი სწრაფვის საერთო გეზი ის იყო, რომ ჩამორჩენილი კოლმეურ-
ნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონების სოფლის მეურნეობა მოწი-
ნავეთა დონემდე ყოფილიყო ატანილი, რათა უზრუნველყოფილიყო ერთობ-
ლივ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობა.




მითითება იმის თაობაზე, რომ ყოველ ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა) სოფლის მეურნეობის მე-სატყვისი დარგების დაგეგმვა-მოწყობისას გასათვალისწინებელია არსებული ყოველგვარი—ბუნებრივი, ეკონომიკურ-მეურნეობრივი და სხვ.—ის პირობა, რომელიც ხელისშეწყობია (ან ხელისშემშლელია) სათანადო დარგის განვითარებისათვის—სწორედ ის პრინციპული მნიშვნელობის სახელმძღვანელო დებულებაა, რაც არსებითად განსაზღვრავს ყოველი ცალკეული ყვერბისათვის; წინასწარ შესამუშავებელ, ვთქვათ, ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის აუცილებლობასა და ფასს. ეს მით უმეტეს, რომ მთელ ამ შემოქმედებითს საქმიანობაში მეცნიერების დიდი როლისათვის ხაზი გაუსვამს პარტიის ყრილობების და ცენტრალური კომიტეტის არაერთ-სა და არაორ დადგენილებას, რომც აღარაფერი ვთქვათ მარქსისტულ გაგებაზე კომუნისტიზმის მშენებლობაში მეცნიერების ადგილისა და მოწოდებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმმა მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირში მარცვლეულის რეწვის (წარმოების) გაფართოებისა და ყამირი და ნასვენნი მიწების ათვისებისათვის, რაც აგრეთვე უნდა იპყრობდეს პირველი რიგის ყურადღებას გააზრებაში ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის შესამუშავებლად, ყოველი ცალკეული ყვერბისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკის პირობებში, ამ დადგენილების რეალიზაციასთან დაკავშირებით, ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსისათვის საჭირო შესატყვისი ელემენტების მოთქერებისას აუცილებელია ვარაუდში ჩავაგდოთ ის გარემოება, რომ ჩვენი რესპუბლიკის საერთო ტერიტორიის, დაახლოებით,

26,7%	ზღვის დონიდან	0—500 მეტრამდე	სიმაღლეზე	მდებარეობს,
21,7	"	500—1000	"	"
19,1	"	1000—1500	"	"
31,0	"	1500—3000	"	"
1,5	"	3000 მეტრზე	მაღლა	მდებარეობს და რომ ასეთგვარად

გამოსახული ვერტიკალური ზონალობის პირობებში, ცხადია, სხვადასხვაგვარი იქნება მეცხოველეობის ამა თუ იმ პროდუქციის რეწვისათვის ხელისშემწყობი (ან ხელისშემშლელი) ვითარებები. სხვადასხვა იქნება შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის დარგთა შორის მემარცვლეობისათვის კუთვნილი ხვედრითი წონის უზრუნველყოფისა და სხვადასხვა იქნება არსებული მიწების ათვისების გზები და საშუალებანი. თავი რომ დავანებოთ ბუნებრივი გარემოს სხვა დანარჩენ პირობებს (რაც მეტად მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსისათვის საჭირო გააზრებისას), ყველა ამ ზონაში მარტო ტენიანობის ნაკლებობა ან სიჭარბე ამჟამად და სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით მისი უკროვანი რეგულაციისათვის საჭირო ღონისძიებების გახორციელება მომავალში—სრულიად სხვადასხვა გარემოებებს წარმოქმნის და, ერთობლივ, იმისგან თვალსაჩინოდ განსხვავებულ საშუალებებსა თუ ხერხებს მოითხოვს, რასაც, საერ-



თოდ საბჭოთა კავშირში, ყამირი და ნასვენ მიწების ათვისება გულისხმობს სოციალისტური სოფლის მეურნეობის სამსახურში მისი ჩაყენების მეშვეობით.


საქართველოს სს რესპუბლიკის პირობებისათვის სათანადო მიწების ათვისების საკითხი, თუმცა გაცილებით უფრო მცირე მასშტაბისაა (1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილებით ყაზახეთში, ციმბირში, ურალში, ვოლგისპირეთსა და ჩრდილო კავკასიაში, 1954—1955 წლების მანძილზე, უნდა ათვისებულყო 13 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა), მაგრამ—სამაგიეროდ უფრო მრავალმხრივი და, შესრულების საშუალებების მხრივ, რამდენადმე განსხვავებული და ხარჯიანია. ჩვენში, მარცვლეულის, მრავალწლოვანი ნარგაობის (ჩაი, სუბტროპიკული თუ კონტინენტური ხილი, ვაზი) და აგრეთვე მეცხოველეობისათვის საჭირო ბუნებრივი საკვები სავარგულების ფართობთა გადიდებისათვის ჯერ კიდევ გამოუყენებელი მიწების ათვისება დაკავშირებულია, უბირატესად, საირიგაციო თუ სამელიორაციო სამუშაოებთან, ბუჩქნარების გაკაფვასა და მისადგომი გზების გაყვანასთან. ხოლო ვინაიდან სხვადასხვა ზონის ბუნებრივ გარემოში გახორციელებული ეს სამუშაოები სხვადასხვა სიდიდისა და ყუათიანობის საკვების ბაზას წარმოქმნის, ამიტომ, შესატყვისი ყვერბისათვის შესამუშავებელი ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსიც სხვადასხვა განზომილებითა და აქცენტირებით უნდა ჩაირთავდეს ყველა ამ საკითხს.

საერთო მიზანდასახულება კი ის უნდა იყოს, რომ მეცხოველეობისათვის სათანადო საკვების მყარი ბაზის ორგანიზაციის შესაძლებლობათა ჯეროვანი გააზრების საფუძველზე, დასაბუთდეს აგრეთვე მეცხოველეობის ამა თუ იმ დარგის შესაძლებელი, გეგმაზომიერი და მიზანდასახული განვითარების ფარგალი (სიდიდე), პროდუქციული მიმართულება, პირუტყვის მოვლა-შენახვის სისტემა, მისი კვების ტიპი და რეჟიმი, საერთოდ კი—მეცხოველეობის ამ დარგის წარმოების ერთობლივი ტექნოლოგიური პროცესის შესატყვისი ელემენტები.

ასეთგვარ მოთხოვნას და საჭიროებას გააჩნია დასაბუთების რამდენიმე მხარე. ისინი ამოდიან როგორც სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების გენეზისიდან და, მასთან დაკავშირებული, თანაური მოვლენების შინაარსიდან, ისე ამ დარგის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანებიდან და მისი კეთილმოწყობის პრინციპებიდან, რასაც სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციის მეცნიერება გვაწვდის. აი, მაგალითად:

როგორც უკვე ვიცით, გარეული წინაპრებისაგან შინაური ცხოველების ევოლუციის პროცესში, ადამიანის მიერ მიმართული, მათი გარდაქმნა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ცხოველებად, უფრო და უფრო მეტად განისაზღვრება იმ სარსებო გარემოთი, რომელიც წარმოიქმნება ადამიანის მიერ ორგანიზებულ სოფლის მეურნეობაში, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ცხოველთათვის ჩვეული, მეურნეობრივი მნიშვნელობის (მარგებლობის),

¹ იხ. აგრეთვე, დ. აგლაძე, „მეცხოველეობის საფუძვლები“ მეორე ნაწილი. გვ. 405—412-1960 წ. თბილისი, საქართველოს სს. სამ. ინსტ. გამომცემლობა.



ნიშანთვისებები უფრო და უფრო მეტად დამოკიდებული ხდება განვითარების იმ არსებობის პირობებისაგან, რომლებსაც განსაზღვრავს ამ სოფლის მეურნეობის განვითარებულობის დონე და ხასიათი. ეს იმიტომ არის (როგორც უკვე ითქვა წინამდებარე წერილის ერთ-ერთ წინა განკვეთში) სასოფლო-სამეურნეო ცხოველი ის შინაური ცხოველია, რომელსაც ადამიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოიყენებს, ხოლო მატერიალისტური ბიოლოგიის მიხედვით, ცოცხალი ორგანიზმის ამა თუ იმ საარსებო გარემოში, ორგანიზმის მექანიკურებითი საფუძვლისათვის ჩვეული ამა თუ იმ ნიშანთვისების განვითარებისათვის მუდამ საჭიროა გარემოსეული ზემოქმედი გარკვეული ფაქტორები, რომლებიც შესატყვისი ნიშანთვისების განვითარების არსებობას უზრუნველყოფენ¹.


სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში, შესატყვისი ნიშანთვისებების განვითარების არსებობას უზრუნველყოფს ამ ცხოველების საარსებო გარემოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა—სხვა დანარჩენ ფაქტორთა შორის—სათანადოდ ორგანიზებული საკვების ბაზისაგან დამოკიდებული კვების ტიპი, კვების რეჟიმი და სხვ., აგრეთვე თვით დარგის ორგანიზაციის პირობებისა და ყაიღისაგან დამოკიდებული მოშენება-მოვლა-შენახვის სისტემა, ცხოველთა გამორგების წესებთან შეხამებით. ზოგიერთი ამ ფაქტორის ირგვლივ სწორედ ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის თვალსაზრისით (და არა საერთოდ თუ ზოგადად)—ბაას კიდევ შევხვდებით წინამდებარე კრებულის სხვა წერილებში.

მეცხოველეობის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანები ამომწურავად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შესატყვისი ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის სათანადო პლენუმების დადგენილებებში კომუნიზმის მშენებლობის ყოველი ცალკე პერიოდისათვის, ხოლო სახელდობრ 1966—1970 წ. წ. დროის მანძილის ამოცანები, გაშუქებულია ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილებებით. რაც შეეხება ამ ეკონომიკური ამოცანების გახორციელებისათვის მეცხოველეობის ჯეროვანი კეთილმოწყობის პრინციპებს, ისინი სადღეისო საჭიროებისამებრ მოწოდებულია სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ორგანიზაციის მეცნიერების მიერ და დღითი-დღე შეივსება და დაიხვეწება. ყოველივე ამის ირგვლივ, თუნდაც მოკლე მიმოხილვითი ბაასი, მე არ მომიწევს, ცხადია.

მაგრამ, ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის ინტერესებიდან გამომდინარეობით, საჭიროდ კი მიმაჩნია დაპირისპირებული ორიოდე მავალითის მოტანა და, ამის საფუძველზე, გამაზოგადებელი მოსაზრების გამოთქმა.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა ერთობლიობა მიმართულია ჩვენს ქვეყანაში პროდუქტთა სიუხვის შექმნის კეთილშობილური და გრანდი-

¹ იხ. აგრეთვე დ. ავლაძე: „მეცხოველეობის საფუძვლები“; მეორე ნაწილი გვ. 46—51, თბილისი. 1960 წ.




ოზული ამოცანის გადაჭრისაკენ. პროდუქტთა სიუხვე, ცხადია, გულს-
ხმობს, უწინარეს ყოვლისა, შესატყვისი პროდუქტების სიმრავლეს, **საქართველოში**
პროდუქტების ჯეროვან ხარისხს და სიიაფეს, რომლებიც უშუალოდ **საქართველოში**
დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ჯიშებრებისაგან (პროდუქ-
ტიულობისაგან) და სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობაში საწარმოებელი
წრომატევადი პროცესების მექანიზაციისაგან, თვით მეცხოველეობის დარგის
ორგანიზაციულად სწორი მოწყობისა და პირუტყვისათვის საჭირო საკვების
მყარი ბაზის არსებობის საფუძველზე.

მაგრამ, ხშირად—და, განსაკუთრებით, საქართველოს მეცხოველეობის
პრაქტიკაში ამჟამად—თითქმის მთლიანად მივიწყებულია კიდევ ერთი სავალ-
დებულო ელემენტი პროდუქტთა სიუხვის ცნებისა, რომელიც ხალხის ვემოვ-
ნებისა და, ამასთან დაკავშირებით, ეროვნული კულინარიის მოთხოვნებიდან
ამოდის. ეს უკანასკნელი სათანადო გარაუდების გარეშე არ უნდა დარჩეს, თუ
კი პროდუქტთა სიუხვე ჩვენი ხალხისათვის გვირდა და კიდევ იმიტომ, რომ
ხსენებული მოხსონებისათვის ანგარიშისგაწევა თვალსაზრისით გაეღწეა საა-
გორც პირუტყვისათვის საჭირო საკვების მყარი ბაზის ორგანიზაციის, ისე
სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ჯიშობრივი შედგენილობის, მისი მოვლა-
შენახვის სისტემისა და, პირველ რიგად, თვით მეცხოველეობის სათანადო
დარგის წარმოების ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის საკმაოდ მრავალი
მომენტის ჯეროვნად მოწყობისკენაზე. მართო მომხმარებლის ფაქტში „პირის
გემო“ და მზარეულის ოსტატობა თუ „სუფრის ლაზათის“ ცოდნა არ კმარა
ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; საჭიროა ეროვნული კულინარიის კერ-
ცებისათვის სწორედ იმ ნედლეულის რეწვა (წარმოება), რაც შეესაბამება ამ
კერძების გემოს თავისთავადობას—ეს კი, შესატყვისი ყვერბის პირობებში
მომუშავე მეცხოველეთა საქმეა—და საჭიროა სხვადასხვა ყვერბის პირობებში
ნარეწი (წარმოებული) ამ ნედლეულის დაუმრკველებლად და სესონის შესაბა-
მისად მიწოდება მომხმარებლისათვის სხვა უბნებში.

მე ვგრანობ, რომ ახლანახსნ თქმულს, ჩემი მკითხველებიდან ზოგიერთნი
(და, იქნებ, ძლიერ ბევრნიც) ერთგვარ დანტახიად მიიჩნევენ . . . არ შე-
ვესიტყვები, ოღონდ შევახსენებ (ვისაც გული მიუწევს ისტორიისა და ეთნო-
გრაფიისაკენ), რომ თუშური გულის ყველი, მეგრული სულგუნი, ახალციხური
კუბატი, ოსური ხაბიზგინა, რაჭული ლობიანი, საქართველოს დასავლეთი რა-
იონის მრავალი კუთხის მრავალგვარი საჭაპური—ის გემრიელი საჭმელები
ყოფილა, რომელთა გაკვდებას იმ ყვერბთა პირობებში მოპოვებული ნედ-
ლეული (ცხვრის, კამეჩის თუ თხის რძე, ეროდ გადამდნარი კარაქი მთის
ძროხეულის რძისაგან, მისივე ხაჭო, ლორად გამოყვანილი ადგილობრივი
ქოსმენის ქონი, საგანგებოდ გაუსხებული მოზერისა თუ ხარის ხორცი და
სხვ.) ესაჭიროებოდა და, განა სათანადო ყვერბის პირობებში ასევე საგან-
გებოდ მოვლილ-მოშენებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველებით მოპოვებული
ნედლეული არ ესაჭიროება ისეთ კერძებს, როგორიცაა ხაჩჩო თუ ბოზბაში,
არტალა, ხაშლამა თუ მწვადი, ჩიხირთმა თუ ხაში, ყაურმა თუ ტაბაკა და
სხვა და სხვ.

ხოლო ჩემს იმ მკითხველებს, რომელთაც გული არ ასტრუვბათ ეთნო-



გრაფიასა და წარსულის ისტორიაზე. მაგრამ უფრო მეტად გატაცებულნი არიან თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვართ, უნდა დავეთანხმო, უკვე ჩემი ეს ჩანათეჭრი, კემშარიტად, განყენებული მსჯელობა იქნება და მოსაწონარი, უკეთუ არ ვაგვიფალისწინებდი შესაძლებლობებს, საშუალებებსა და გზებს, რომელთა მეშვეობით თანამედროვეობას შევწყობოდა (ფორმითაც და შინაარსითაც) გარდასულ დროთა სიღრნეში დესეგადგმული აუცილებელი შემადგენელი ნაწილი პროდუქტთა სიუხვისა.

ჩემი მკითხველები დამეთანხმებიან, რომ ყოველთვის და ყველა მოვლენის წილ გარკვეულ საფუძველს მოკლებული არ არის ხოლმე სინანული და წუხილი იმა-პაპათა ზნე-ჩვეულებების და ადათების მიეწიყვის თაობაზე, რაც ყოველ ჩვენთაგანს არაიშვიათად სმენია. მაგრამ, ალბათ, იმაშიც დამეთანხმებიან, რომ სათანადო გეზით კმეღითი მუშაობის გარეშე, ასეთი სინანული და წუხილი უქნარათა წუწუნსა და გოდებას უნდა ვადაროთ.


უკეთუ ხევესურეთის ყვერბის პირობებში მოაშენა ხევესურმა ხევესურული ძროხა, რომლის ფურები რცელადიანია, სლო ვრბო-კარაქი გამოსაღიანი და არამატიული;

უკეთუ ჩვენი მთიანეთის ყვერბის ამა თუ ამ მცირე ან, იქნებ, საკმაოდ დიდ-უბანში, კლიმატის ელემენტთა (მზის რაღიალია, ჰაერის ტენიანობა და სხვ.) თავისმოყო ისეთგვარია, რაც დიდად ხელშემწყობია „ცნიმ-ცრემლიანი თვალეზით“ მდიდარი ყველის კვერების დამწიღებისათვის გულებში, წლის გარკვეულ სეზონსა და დროის მონაკვეთში ღია ცის ქვეშ რომ მიმდინარეობს, თანახმად დაღესტნის მთების ციმურის სეზონის სიზაფხულთ საოვერებისა და თრიალეთში ქაჩალ-გორასკენ მომთაბარე ჩვენი მეტსვარების წარსული გამოცდილებისა;

უკეთუ რაჭული ლობიანისათვის საჭიროა წაბლბო და ტყის სხვა ნაყოფით გაქოსმენებული და ლორად გაკეთებული ლორის ქოჩი, სოლო ახალციხური კუბატისათვის კი მესხეთის მთიანეთის საოვერებზე ნიაღვალევი უსსი მოზერისა თუ ხარის ხორცი და სხვ.;

დასასრულ, უკეთუ ყოველივე ამის აღვილად და იათად მიპოვება შესაძლებელია მხოლოდ იმ ყვერბის პირობებში, რაც ზემოთ, რამდენიმე მაგალითისათვის, იყო დასახელებული—

მაშინ, საზოგადოებრივი შრომის განაწილების პრინციპთა შესაბამისად, ერთობლივ საზოგადოებისათვის საჭირო (ზემოთ კვლავ მხოლოდ მაგალითისათვის დასახელებული) პროდუქტების და ნედლეულის რწვა სწორედ ამ ყვერბში მოსახლე და დახელოვნებულ მეცხოველეს უნდა დაევალოს, რადგან ამა თუ იმ ყვერბისათვის ჩვეული და სპეციფიკური ცხოველური წარმოშობის პროდუქტთა თუ ნედლეული საბოლოო და უშუალო შედეგია იმავე ყვერბის საზღვრებში გავრცელებული იმ სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მოშენებისა, რომელთა მემკვიდრეობითი საფუძველი ყალიბდება ხოლმე ყვერბის ბუნებრივსა და მისი სასოფლო-სამეურნეო ცხოველის საარსებო გარემოში; ხოლო მემკვიდრეობითი საფუძველის შესაბამისი მარგებლობის თვისებები (პროდუქტიულობა) სათანადოდ გამოვლინდება ნიშანთვისებათა განვითარების არ-




სებობის ისეთი ზემოქმედი ფაქტორების ზეგავლენით, რაც შესატყვისს ყველას ახასიათებს და ცალკეულად შესასწავლია.

მე ვფიქრობ, რომ არ შეეცდები, თუ ყოველივე ზემოთქმულ რად, გამართლებულად მივიჩნევ სწორედ იმ დადგენილებების ერთობლივი და საერთო მიზანსწრაფვიდან და, მრავალ ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტული შინაარსიდან გამომდინარეობით, რომლებიც მოუწოდებია სოფლის მეურნეობის აღმავლობის უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX, XXI და XXII ყრილობებს, ხოლო განსაკუთრებით კი ამ ყრილობათა შორის მდებარე და შემდგომ პერიოდში შემდგარ პლენუმებს ცენტრალური კომიტეტისა. ამ აზრის შემდგომი გაშუქებისა და დადასტურებისათვის, ვფიქრობ, საკმარისი იქნება იქნება ცხელი 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა გასსენება, სადაც—როგორც ცნობილია, უკიდურესი სიაშკარავით და მეტად მკაფიოდ—არის ხაზგასმული სოფლის მეურნეობის დარგების დაგეგმვისას ადგილობრივი ყველა პირობის გათვალისწინების აუცილებლობა.

ვფიქრობ აგრეთვე, რომ აქამდე გადმოცემული ჩემი მსჯელობისას არაერთხელ მოხსენებული ყვე რბი, რომლის წიაღშიც უნდა იქნას ხოლმე მეცნიერულად გააზრებული ამ ყველა პირობის რაობა და მნიშვნელობა შესატყვისი დარგის განვითარების ღონისძიებათა დასასახველად (ჩემს მსჯელობაში, უპირატესად, მეცხოველეობა, იყო გათვალისწინებული), კარგად შეეხამება სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა უმთავრეს თეზისს.

სათანადო ლოგიკური განოგადების საფუძველზე, მე კიდევ იმ რწმენამდე მივდივარ, რომ ზემოთ გადმოცემული ჩემი მსჯელობის საერთო აზრი და გამიზნულობა კარგად არის შეხამებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის მარტის 9-ით დათარიღებულ დადგენილებასთან „სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ“, რომელიც მოითხოვს, რომ კოლმეურნეობებმა გაითვალისწინონ ხოლმე სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სახელმწიფოსათვის ჩაბარების დავალებანი, აგრეთვე ამ პროდუქტით კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეობის წევრთა უზრუნველყოფის საჭიროებანი და თავიანთი შესედულებებისამებრ განსაზღვრონ ხოლმე სასოფლო-სამეურნეო სსედასხვა კულტურისათვის სათესი ფართობის სიდიდე, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პროდუქტიულობა და შესატყვისი სახეობის პირუტყვის რაოდენობა. მითითებული იყო, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების გეგმების შემუშავებისას კოლმეურნეობებმა უნდა გაითვალისწინონ ხოლმე ყველა სავარგულის მაქსიმუმით და ინტენსიურად გამოყენების აუცილებლობა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ყოველ აქტარზე შესატყვისი პროდუქტიის რეწვის (წარმოების) ფარგლის გადიდება-გაძლიერებით.

ზემოთ გადმოცემული ჩემი მსჯელობის საერთო აზრისა და მიზანსწრაფვის გასამაგრებლად, უნდა ვავიხსენო აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგის მეურნეობრივად მიზანწეონილი გაადგილების უზრუნველყოფას და მიწათმოქმედებისა და მე-



ცხოველეობის სპეციალიზაციას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის მიხედვით. თითოეული მათგანის ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ხოლო ცალკეული რაიონის ფარგლებში — ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისა.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების (1959—1965 წ.წ.) საკონტროლო ციფრებში, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ დაამტკიცა, აღნიშნულია, რომ სასოფლო-სამეურნეო ყველა კულტურისაგან დიდი და მყარი მოსავლის მიღება და საერთო პროდუქციისათვის გამიზნული რაოდენობის მოპოვება, უნდა ემყარებოდეს მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის დანერგვას, რაც ყოველი ეკონომიკური ზონის და ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოოს პირობებს უნდა ითვალისწინებდეს; ის დაფუძნებული უნდა იყოს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადვილებისა და სპეციალიზაციის სრულქმნაზე, რაც მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევითა გამოყენებას გულისხმობს. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უდიდეს საქმედ იქნა აღიარებული სოფლის მეურნეობის გაძლიერების სწორი სისტემის დანერგვა წარმოებაში.

წინამდებარე კრებულისათვის წამდგარებულ საერთო შესავალში ითქვა, თუ სახელდობრ რა ადგილს ჩაერთვის ხოლმე (ან უნდა ჩაერთოს) ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადვილების, სპეციალიზაციისა და სოფლის მეურნეობის დარგთა გაძლიერების სისტემების დადგენისათვის საჭირო ერთობლივ სამუშაო პროგრამას. ღონისძიებათა ამ კომპლექსის ადგილი სპეციალიზაციის პრობლემის შემუშავების საერთო სქემაში უკვე თავისით მიგვიჩივებს და ლოგიკურ დასკვნას გვიკარნახებს, რომ ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი ვერ შემუშავდება (და არ უნდა შემუშავდეს) სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადვილებისა და სპეციალიზაციის ერთობლივი პრობლემის გარეშე, ყოველ შემთხვევაში, ის საკმარისად ვერ დასაბუთდება ყოველივე იმის უქმარისად გათვალისწინებით (და, მით უმეტეს, უგულვებლყოფით), რასაც უნდა გვაცდევდეს ხსენებული ერთობლივი პრობლემისათვის დადგენილი და დაზუსტებული ფაქტობრივი მასალა თუ გაზოგადებული სათანადო დებულებები. ეს მოთხოვნა და საჭიროება ერთ-ერთი წინაპირობა და საფუძველია ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავების მეტოდიკისათვის.

ჩემი ამ წერილით, მე შევეცადე (და, სახელდობრ, მხოლოდ შევეცადე) გამომეთქვა მოსაზრებები, თუ თეორიული გააზრებისა და პრაქტიკული გამოყენების რა ფარგალი უნდა მიეკუთვნოს ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსს, როგორც მსჯელობის და საქმიანობის საერთო ფონს, კერძოდ მეცხოველეობის დარგობრივი და წარმოებითი სპეციალიზაციის პროექტის დაზუსტებაში.

დაბეჯითებით ვფიქრობ, რომ ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი, როგორც ერთ-ერთი მონაკვეთი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადვილების, სპეციალიზაციისა და სოფლის მეურნეობის დარგთა



გაძლოლის სისტემათა შემუშავებისათვის საჭირო გააზრებისა, არც თავისი აუცილებლობის და არც მიკუთვნებული ადგილის თვალსაზრისით შესიტყვებებს ვერ გამოიწვევს.

ამავე დროს, თითქმის ურყევი რწმენით, ვითვალისწინებ და მოველოდები, რომ ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსისათვის ჩემეული შინაარსობრივი საერთო განზომილებანი და, მით უფრო, ამ შინაარსის საქვაკუთხედო აზრთა მოხაზულობანი, ე. ი. მეთოდოლოგიური ხასიათის სახელმძღვანელო დებულებათა ელემენტები, შესიტყვებასაც და ცხარე კამათსაც გამოიწვევენ—უნდა გამოიწვიონ კიდევ—ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ჩემს ნაცნობ მეგობართა და აგრეთვე ჩემთვის ცნობილ ზოოტექნიკურ უფრო ფართო წრეში, მე არ მომისმენია აქ წამოჭრილი საკითხების იმდაგვარ ასპექტსა და კონტექსტებში დაყენება, როგორც მე მივხედვ ზემოთ გადმოცემული თხრობისას, მანასადამე, ვერ შევხვდებოდი ამ გვსით წარმოებულ თეორიულსა თუ პრაქტიკულ საქმიანობას. ამიტომ, კადნიერებად არ უნდა ჩამეთვალოს, უკეთუ ვიგულისხმებ, რომ—მსგავსად ყოველივე შეუჩვენელისა და, მეტად თუ ნაკლებად, ახლისა—ამ მოსაზრებებმაც უნდა იგეგონ მსმენელის ერთგვარი ხუეილი . . . ჩემს ნაცნობ-მეგობართა და, კვლავ, ჩემთვის ცნობილ ეკონომიკოს-ორგანიზატორთა უფრო ფართო წრეში (როგორც—ზოოტექნიკოსთაგან განსხვავებით—არ აღუვლებს ყოველივე ამის მოსმენისაგან, რადგან საკითხის შინაარსეული ბუნება მათთვის უფრო მეტად ნაცნობია, მათი სპეციალობის უფრო ფართო დიაპაზონის გამო) ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის ჩემეული გაშუქება, ალბათ, მაინც გამოიწვევს ერთგვარ შეცბუნებას, რადგან—საფიქრებელია—შემოთავაზებულ მსჯელობის ქარგა და ჩასაქსოვი სახე-ნაკეთები, დიდაც, მკვეთრად განსხვავდება იმისგან, რაც დღემდე დამკვიდრებულია მათი საქმიანობის პრაქტიკაში. ყოველივე ეს სავსებით ბუნებრივია და—უკეთუ გულწრფელად და საქმიანდითქვა—ფრთხილად სასარგებლო. რაც შეეხება კიდევ სხვა მხარეს ეითარებათა, რომელნიც მათიქრებნიებენ მოსალოდნელ შესიტყვებებსა და კამათს, ამის გაშუქება უკეთესია წინამდებარე წერილის დსკენითი ნაწილის შექდევ:

2. შინაარსი შეჯამებისა და დახვედითი ხასიათის მთავარი დებულებანი და განმარტებითი შინაარსის დახვედითი დებულებანი

ბ.


საკვებ საშუალებებში საყუათო ნივთიერებათა შემცველობის ერთიანი ცხრილები, თუმცა არასრულს, მაგრამ საჭირო ორიენტაციისათვის მაინც საკმარისს მონაცემებს გვაწვდის სხვადასხვა საკვებში მონელებადი პროტეინის საერთო რაოდენობის ირგვლივ. იგივე არ ითქმის შეუნაცვლელი ამინომჟავების თაობაზე, რადგან—როგორც ცნობილია—სხვადასხვა ცილა ამინომჟავათა სხვადასხვა ასორტიმენტსა და რაოდენობას შეიცავს, ხოლო არაცილოვანი პროტეინები—ამიდები—სულ არ შეიცავენ ამინომჟავებს და, მაშასადამე, ადვილად გასაგებია, რომ მონელებადი პროტეინების საერთო რაოდენობა ვერ ასახავს შეუნაცვლელი ამინომჟავების რაოდენობას, რის გამო ულუფის კონტროლი და დაბალანსებაც, ამ მხრივ, უზრუნველყოფილი ვერ იქნება.

წინამდებარე ნაშრომით გამოზნული დასკვნებისათვის უმნიშვნელო არ არის აგრეთვე იმის შეხსენება, რომ სხვადასხვა სახისა და წარმოშობის საკვებ საშუალებებში ცილებისა და ამინომჟავების ასორტიმენტი და რაოდენობა უაღრესად განსხვავებულია ხოლმე.

უკრაინის ტყე-სტეპისა და დაბლობთა ტყის ზონაში წარმოებული შესწავლით, მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დიდი განსხვავებები ცხადყო საკვებ საშუალებებში პროტეინებისა და ამინომჟავათი შემცველობის მხრივ¹. დადგინდა იქნა, რომ სხვადასხვა საკვებში პროტეინების შემცველობა 2.8%-დან 38,47%-მდე მერყეობს, ხოლო ცალკეული ამინომჟავების შემცველობაში ეს განსხვავებები შეუდარებლად უფრო დიდი ფარგლისაა, მაგალითად, ლიზინისა—1,92-დან 25,04 გრამამდე საკვების ერთ კილოგრამში, ტრიპტოფანისა—0,4-დან 5,45 გრამამდე, ტრეონინისა—1,11—14,02 გ, ლეიცინისა და იზოლეიცინისა 2,84—48,94 გ კილოგრამ საკვებში და ა. შ. საქმე კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ ერთი და იგივე სახის საკვებიც კი ცალკეულ ამინომჟავათა, ვიტამინების, ცხიმოვანი მჟავების, მინერალური მასა—და მიკროელემენტებისა და სხვა ფაქტორების შეტანაკლებ რაოდენობას შეიცავს ხოლმე სხვადასხვა რელიეფის, ნიადაგის, კლიმატის პირობებში, აგრეთვე საკვების მოსავლის აღების, შენახვის და პირუტყვისათვის საკვებად მიცემის წინ მისი შემზადების განსხვავებული ხერხებისა და საშუალებათა გამოყენების მიხედვით.

მემცენარეობის სამეცნიერო-კვლევითი საკავშირო ინსტიტუტის უახლესი გამოკვლევებით² დადგინდა ცილების და ცალკეულ ამინომჟავათა შემცველობის დიდი მერყეობა არა მარტო სხვადასხვა საკვებში, არამედ ერთი და იმავე სახის სამარცვლე პარკოსნებში, რომლებიც მოყვანილი იყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში. სხვადასხვა პარკოსნების მარცვალში ცილების შემცველობა 17%-დან (ლობიო) 50%-მდე (სოია)

¹ Даниленко И., Бару А., Мирошьниченко Н., Кацукова А.—Аминокислотный состав кормов. журнал „Вестник сельскохозяйственной науки“ № 8 за 1961 г. стр. 74.

² Смирнова-И конникова М.—Содержание и качество белка у зерновых бобовых культур, журнал „Вестник сельскохозяйственной науки“ № 7 за 1962 г. стр. 40—52.




მერყეობს. დიდ მერყეობას აქვს ადგილი ცილების შემცველობის მხრივ სხვადასხვა წარმოშობის ერთსა და იმავე კულტურაშიც, რაც ასეთ შემთხვევაშია: ბარდაში—42,4% მდე, ცერცვში—27%, ცულისპირაში—46%, იაში—46%, ცერცველაში—40%, ოსპში—20,8%, მუზულოში—37,8, ხოლო ლობიოში—49%. ცალკეულ ამინომჟავათა შემცველობის მხრივ თვალსაჩინო განსხვავებებს აქვს ადგილი სხვადასხვა პარკოსნების მარცვალში, მაგალითად: ტიროზინისა—1,5—3,32% მდე, ტრიპტოფანისა—0,76—2,2%, ლიზინისა—2,2—6,0%, არგინინისა—6,7—12,6%, ჰისტიდინისა—1,6—3,8%, ცისტინისა—0,58—2,1% და მეთიონინისა—0,9—2,2%, როგორც ვხედავთ, აქ რყევადობის ამპლიტუდა 1:3 შეფარდებას აღწევს. ამინომჟავათა შემცველობის მხრივ დიდი მერყეობაა ერთსა და იმავე კულტურაშიც და ამ შინაარსის განსხვავება, მაგალითად, ბარდაში აღწევს: ტიროზინისათვის 30%-ს, ტრიპტოფანისათვის—22%, ლიზინის—39%, არგინინის—27%, ჰისტიდინის—29%, ცისტინისა—23,7% და მეთიონისათვის—25,3%. ამინომჟავათა შემცველობაში ასეთ მერყეობას აქვს ადგილი სხვა პარკოსან კულტურაშიც. ერთსა და იმავე პარკოსანთა თესლში, მათი თესვა-მოყვანის განსხვავებული პირობებისაგან დამოკიდებით ძლიერ მერყეობს ცილების ფრაქციული შედგენილობა, სახელდობრ კი ხსნადობის (მაშასადამე, მონელებადობის) მხრივ.

მცენარეული ცილების მთავარი მასა, ხსნადობის მიხედვით, 4 ჯგუფად დაიყოფა: ერთნი გაიხსნებიან წყალში, მეორენი—მარილების ხსნარებში, მესამენი—სპირტში, ხოლო მეოთხენი—ტუტეებში; პირუტყვი უკეთესად მოიხსნება პირველი ორი ჯგუფის ცილებს. ჩვენთვის ინტერესს მოკლებული არ არის აგრეთვე იმის გახსენება, რომ ზემოთ მითითებული წყაროებისა და მონაცემთა მიხედვით, ერთი და იმავე სახეობის და ჯიშის პარკოსანთა მარცვალში, მათი მოყვანის სხვადასხვა ადგილისაგან დამოკიდებით, წყალში ხსნადი ცილების ხვედრითი წილი შემდეგნაირად მეტნაკლებობდა: ბარდის ჯიშში „ჟეგალოვის—112“ ყუბანის საცდელ სადგურში—61%, ხოლო სვერდლოვსკში 92%. ბარდის ჯიშში „ნეესკი—7“ ყუბანის საცდელ სადგურში—71%, ხოლო სვერდლოვსკში—93%. აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ბარდის ორივე ჯიშის თესლი ჩრდილოეთის პირობებში—სვერდლოვსკში—წყალში ხსნადი, ე. ი. უკეთესი ფრაქციის, ცილების 50—31%-ით მეტს შეიცავდა, ვიდრე ყუბანში.

დიდ განსხვავებულობას აქვს ადგილი ამინომჟავათა შემცველობის მხრივ ერთსა და იმავე კულტურაში ჯიშური ნაირნაირობისა და თესვა-მოყვანაში სასუქების გამოყენებისაგან დამოკიდებით და, ბოლოს, საგრძნობლად განსხვავდება მონაცემები საკვებში საყუათო ნივთიერებათა შემცველობის შესახებ საბჭოურსა და უცხოურ სალიტერატურო წყაროებში. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსახსენებელია—უწინარეს ყოვლისა—პროფ. თ. კუნას მონაცემები საკვებში ცილებისა და ამინომჟავათა შემცველობის თაობაზე, აწმ მიწათმოქმედების დეპარტამენტის მეცხოველეობის განყოფილების ლაბორატორიის ცნობათა მიხედვით¹.

¹ К у н а Г.—Кормление свиней. Москва, 1961, стр. 31.




მედლებსაშებრ მოკლე და ზოგადი მიმოხილვის წესით გადმოცემული მთელი ამ მასალის გააზრება-გაზოგადებისას, ჩვენი მსჯელობის ამოცანაა და ინტერესებთან დაკავშირებით, საჭიროა მხედველობაში გვქონდეს, რომ საჭარბველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა განლაგების მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობით ხასიათდება, რის გამო მეტად მრავალფეროვანია მისა ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები; რესპუბლიკის ტერიტორიის 52,5% განლაგებულია ზღვის დონიდან 1000 მეტრს აღმატებულ სიმაღლეზე, 21,7% — 500—1000 მეტრზე და მხოლოდ 26,7% — 500 მეტრის სიმაღლის ფარგლებში. ამას თან სდევს გეომორფოლოგიური ელემენტებისა და ჰიდროგრაფიული პირობების სხვადასხვაობა. ყოველივე ეს ცხადია, მჭიდროდ არის დაკავშირებული ნიადაგის, მზის რადიაციის, ქარების, სითბოს, ნალექების, ტენიანობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალი სხვა პირობის სხვაობრიობასთან; ხოლო ეს უკანასკნელი ბუნებრივად განსაზღვრავს უაღრესად დანაწევრებული დიდძალი მიკრორაიონისა და მიკროუბნის არსებობას, არა მარტო ბუნებრივსა და ეკონომიკურ ზონებსა თუ ადმინისტრაციულ რაიონებს შიგნით, არამედ თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიის შიგნითაც, რაც დიდი გავლენისაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურასა, ტექნოლოგიასა, ორგანიზაციასა და ეკონომიკაზე. ცხადია, ეს გავლენა ვრცელდება მეცხოველეობასა და მისთვის საჭირო საკვების მყარ ბაზაზედაც.

ანგარიშგასაწევი გახდება ხოლმე საკვებ მცენარეთა კულტურების პროდუქციაში საყუათო ნივთიერებების და ბიოლოგიურად აქტიური მრავალი ფაქტორის შემცველობის დიდი სხვადასხვაობა ამ ცალკეული ბუნებრივი მიკროზონების, რაიონების, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის მიხედვით; უგულვებელი ვერ იქმნება შესატყვისი განსხვავებები ამ პირობებში მოსაყვანი საკვები საშუალებების სტრუქტურაში და აგრეთვე ისიც, რომ მოპოვებული პროდუქციის მარჯვედ და შედეგიანად გამოყენებისათვის უშუალო მნიშვნელობა აქვს ადგილზე გავრცელებული პირუტყვის ჯიშურ თავისებურებასაც.

ერთი და იმავე სახეობის სხვადასხვა ჯიშის ცხოველებს საკვების მონელებისა და შეთვისების სხვადასხვა უნარი აქვთ და განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ საკვების ცალკეული სახისადმი. მაგალითად, მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი საკავშირო ინსტიტუტის მიერ საექსპერიმენტო მეურნეობა „ერმოლინო“-ში წარმოებული ცდების შედეგების მიხედვით, ჯერსაის ჯიშის ფურები უკეთესად მოინელებდნენ და აითვისებდნენ საკვებს, ვიდრე ოსტფრიზული ჯიშის ფურები. სახელდობრ: ჯერსაის ფურების ნაწლავებში ბევრად უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა საკვების მონელება, რამდენადაც ორჯერ უფრო მეტი აღმოჩნდა ხიმუსის და საჭმლის მომნელებელ წვენთა რაოდენობა, თანაც მათ საკვებიდან გამოყენებული ბევრად უფრო მეტი აზოტი აღმოაჩნდათ, ვიდრე ოსტფრიზულებს¹. განსაკუთრებულ მტკიცებას არ

1. М. Шаменев—Пищеварение у коров Остфризской и Джерсейской пород при различных рационах. Журнал „Животноводство“ № 3 за 1965 год, стр. 73—76.




მოითხოვს ის დებულება, რომ საკვების მონელებასა და შეთვისებაში ჯიშის თავისებურება მეტნაკლებობს ნიადაგის, კლიმატისა და გარემოს სხვა პირობებისაგან დამოკიდებით, რაც—უკეთეს გავიხსენებთ პროფ. დ. აგლაძის ნათხრობს წინამდებარე კრებულში გამოქვეყნებულ ნაშრომში—ზედმიწევნით ზუსტად არის ასახული ნათქვამით—ყოველი ჯიში თავისი ყვერბის პირმშოაო.

ულუფის კონტროლისა და ნორმირების არსებული წესისა და საშუალებათა არასრულყოფილობა იმითაც რთულდება, რომ დღემდე, მეცნიერებაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის შესწავლილი და გარკვეული ცხოველთა კვების ფიზიოლოგიაში. გარდა ამისა, საყუათო ნივთიერებათა წილ მოთხოვნილება ერთნაირი არ არის ნიადაგის, ჰაერის და საერთოდ გარემოს სხვადასხვა პირობებში. ჩვენ გვგონია, რომ აგრეთვე ამ ფაქტების ჯეროვანმა გააზრებამ უნდა მიგვიყვანოს დასკვნამდე, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივათა დასახვისათვის საჭირო ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებისას, პროფ. დ. აგლაძის მიერ შემოთავაზებული ტერმინი—„ყვერბის“, დედაზრის ფართოდ გამოყენების შესახებ. ეს იმიტომ, რომ ცნება—ყვერბი, როგორც განმარტავს პროფესორი დ. აგლაძე, უწინარეს ყოვლისა, შეძლებისამებრ მცირე ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში (ვთქვათ, ერთი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მიწისმფლობელობის ფარგლებში) არსებულ პირობათა ერთობლიობას გულისხმობს. ადვილი მისახვედრია, რომ რაც უფრო მცირე იქნება შესატყვისი ტერიტორიული ერთეული, როგორც წესი, მით უფრო ნაკლები ფარგლისა იქნება ბუნებრივ მოვლენათა სხვაობრიობა. მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, თითქოს ყვერბისეული ფარგლების სიმცირე მოსპობდეს განსხვავებებს, რომლებიც არსებობს საკვებ საშუალებათა შედგენილობაში საყუათო ნივთიერებების შიგთქონის მხრივ და, მაშასადამე, ამა თუ იმ ყვერბის მიჯნებში აუცილებელი არ ყოფილიყოს ზრუნვა სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის კვების სათანადო საკითხებთან დაკავშირებით. ყვერბის მიჯნების სიმცირე მხოლოდ შეზღუდავს შესატყვისი მოვლენების სხვაობრიობას და, მაშასადამე, უფრო ეფექტიანს ჰყოფს შესატყვისი ღონისძიებების გამოყენებას.

ამიტომ, მაინც პასუხგასაცემია კითხვა, თუ როგორ შეგვიძლია თავიდან ავიცილინოთ ან შევანელოთ სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის კვების ნორმირებაში ამჟამად არსებული უნებურებ და, ერთგვარად, გარდუვალი ცდომილება-უსრულობანი და პირუტყვისათვის განსაკუთრებულ ულუფაში საყუათო ნივთიერებათა ჭეშმარიტი მოთხოვნილებისაგან გადახრები.

ამ დარგში მეცნიერული ცოდნის თანამედროვე მდგომარეობისა და კვების ნორმირებისა თუ კონტროლის არსებული შესაძლებლობის პირობებში, ასეთი ნიველირება და გამოსწორება საგრინობლად არის შესაძლებელი მხოლოდ პირუტყვის საკვების ნაირნაირობით (მრავალფეროვნებით), რასაკვირველია, ულუფაში დასამატებელი ამჟამად არსებული სხვადასხვა საკვებ საშუალებათა ჩათვლით.

ულუფაში არა ერთი და ორი, არამედ მრავალი სახის, ნაირნაირი საკვები საშუალების ჩართვის შემთხვევაში, მათი ერთი ნაწილი—რამდენადმე მაინც—შეავსებს იმ საყუათო ნივთიერებებს, რომლებიც სულ არ არის ან არასაკმარისი რაოდენობითაა ულუფის შემადგენელ სხვა ინგრედიენტებში.



ნარევი სხვადასხვა საკვებ საშუალებათა ურთიერთზე გავლენა აღიღებს მის მონელებადობას და ულუფის სრულფასოვნობას. ნაირნაირი საკვები საშუალებებისაგან შემდგარ ულუფაში გამოიმყვანდება მათი უფრო მეტი (დამატებითი) ერთობლივი მონელებადობა და კვებითი ეფექტი, ვიდრე ამ საკვებ საშუალებათა ცალკე გამოყენების დროს. ეს კი დიდი მნიშვნელობისაა საკვების ანაზღაურებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. დასახსომელია, რომ აკადემიკოს ი. პავლოვის მოძღვრების მიხედვით, საკმარისი სრულიადაც არ არის, რომ საკვებთა ულუფა რაოდენობრივად მოიცავდეს აუცილებელ ყველა საყუათო ნივთიერებას. ულუფა, მზავდროულად, გემრიელი, მიმზიდველი და მადის აღმძვრელი უნდა იყოს, რადგან მხოლოდ ამ პირობებში სრულად გამოვლინდება ჭამის დროს კუჭნაწლავის და მასთან დაკავშირებული ყველა ორგანოს მოტორიკა, მონელებისა და შეთვისების პროცესის ნორმული მიმდინარეობა, ე. ი. მაქსიმუმით არის ხოლმე მიღწეული საჭმლის მონელება და სარგებლიანად მისი გამოყენება.

ულუფის გემო და მიმზიდველობა კი დამოკიდებულია მისი შემადგენელი საკვები საშუალებების ნაირნაირობისაგან, როგორც აღნიშნავდა აკად. ი. ს. პოპოვი თავის დროზე: „პირუტყვის საკვებთა ულუფა შედლებისამებრ მიმზიდველი და გემრიელი, მრავალგვარი საკვები საშუალებებისაგან შემდგარი უნდა იყოს“. ეს დებულება ჭეშმარიტად და უდავოდ არის აღიარებული საბჭოურსა და უცხოეთის ზოოტექნიკურ მეცნიერებაში; ის დღემდე დარჩა და, ილბათ, ახლო მომავალსაც მიჰყვება ერთადერთ ქმედით საშუალებად მეცხოველეობის პრაქტიკაში იმ უნებური ცდომილებებისა და უკმარისობათა შეძლებისამებრ შენელებისათვის, რაც სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების ნორმირებას და კონტროლს ახლავს დღეს-დღეობით. სწორედ ამასთან დაკავშირებით და ამ ადგილას მიგვაჩნია აუცილებლად შენიშვნა, რომ მეცხოველეობისათვის საჭირო ნაირნაირი საკვები, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმთავრესად მიწათმოქმედებისაგან (მემცენარეობიდან) უნდა იქნეს მიღებული; მართალია, მრეწველობა აკეთებს კომბინირებულ საკვებს (უპირატესად, კონცენტრირებულს), მაგრამ ეს საკვების დამატებითი წყაროა და არა მთავარი.

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1963 წელს 131 ათასი ტონა კვების ერთეულის ოდენობით დახარჯული საკვების საერთო მასაში, კომბინირებული საკვები, დაახლოებით, 40 ათასი ტონა კვების ერთეულს, ანუ 10,4%-ს შეადგენდა. ბაგური შენახვის პერიოდის საკვებში კი (76.6 ათასი ტონა კვების ერთეული) მისი წილი 18,3% იყო, რაც პირველ რიგად, საბჭოთა მეურნეობებზე მიდიოდა¹.

კომბინირებული საკვების რეწვა (წარმოება) თანდათანობით კიდევ უფრო გაფართოვდება და. ცხადია, ის მაქსიმუმი ეფექტით უნდა იქნეს გამოყენებული. მაგრამ, კომბინირებული საკვების მოსამზადებლად საჭირო ისეთი მასალა, როგორიცაა მარცვლეული, მისი ანარჩენები, თივის ფხენილი და სხვა, ისავე მემცენარეობისაგან უნდა იქნეს მიღებული.

1. ЦСУ Грузинской ССР—Народное хозяйство Грузинской ССР в 1963 году. Статистический сборник. Тбилиси, 1964 г., стр. 118—119.



გარკვეული ზონებისა და რაიონების საკვებთა რესურსებში მეტნაკლები რაოდენობით მრეწველობის გარკვეული ანარჩენებიც შედის. მაგალითად საკვებთა დამატებითი რესურსებია და შედარებით მცირე რაოდენობის წილი უკავიათ. საქართველოს პირობებში, სადაც შაქრის, ლუდის, სასამებლის, სპირტისა და სასურსათო მრეწველობის სხვა მსგავსი დარგების ფართოდ განვითარების პირობები საკონკრეტოდ შეზღუდულია, საზოგადოებრივი შრომის საკავშირო განაწილებაში ჩვენი რესპუბლიკის მონაწილეობის ხასიათისა და ფარგლის გამო.


პირუტყვის საკვებით მომარაგების ეს წყარო თვალსაჩინო მნიშვნელობის მქონებლად არ უნდა ვივარაუდოთ. ამას ადასტურებს ქვემოთ მოტანილი ცნობაც: პირუტყვის შენახვის ბაგურ პერიოდში საქართველოს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, 1963 წელს დახარჯული 2014 ათასი ტონა საკვების მთელ მასაში, მრეწველობის ყველა ასეთი ანარჩენი 59 ათასს, ანუ 2.9% შეადგენდა, ხოლო კვების ერთეულებად გადაანგარიშებით, დაახლოებით, მხოლოდ 0.8% განისაზღვრებოდა¹.

საკვებთა ულუფის აზოტის საერთო რაოდენობით, ზოგიერთი ამინომჟავისა, ვიტამინებით და მინერალური ელემენტებით დასაბალანსებლად, გამოიყენება ხოლმე მრეწველური წესით გაკეთებული სხვადასხვა საშუალება, როგორცაა: კარბამიდი (შარდოვანა), ამონიუმის სულფატის ბიკარბონატი, ამიაკური წყალი, საკვები საფუარები, ვიტამინური კონცენტრატები, ზრდის სტიმულატორი ჰორმონები, დარიშხანოვანი პრეპარატები, ანტიბიოტიკები—პენიცილინი, ბიომიცინი, აურეომიცინი, ტერამიცინი, ბაციტრაცინი და სხვ.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენმა მრეწველობამ გააძლიერა საფუარებისა და ამინომჟავების რეწვა (წარმოება) მეცხოველეობისათვის; მაგრამ, ჩამოთვლილ საშუალებათა რეწვის ფარგლის გამუდმებული გაფართოების მიუხედავად, ჩვენი მრეწველობა, ჯერჯერობით, მაინც ვერ ასდის იმ ამოცანას, რომ შესაძლებელი გახდეს ცენტრალიზებულად, გეგმური მომარაგების წესით და დროულად დაკმაყოფილდეს ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მოთხოვნა აღნიშნულ საშუალებათა მიმართ საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე.

ასეთი შესაძლებლობა, საერთოდ, ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ რომც მიღწეულ იქნეს, ჩვენი აზრით, პრინციპულად არასწორად უნდა ვაღიაროთ ამინომჟავებზე, ვიტამინებზე, მინერალურ მიკროელემენტებსა და სხვა მსგავსს საყუათო ნივთიერებებზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილების ცენტრალიზებული მომარაგების წესით დაკმაყოფილება. ეს მიუღებელია რამდენიმე მოსაზრებით, რომელთა შორის ერთ-ერთი ის არის, რომ ამინომჟავები, ვიტამინები და ბიოლოგიურად აქტიური სხვა ნივთიერებანი ადამიანის არსებობისათვის მნიშვნელოვანია და ფრიად საჭიროც, რის გამო მათი რეწვა (წარმოება) რაც შეიძლება უფრო მეტი რაოდენობით არის აუცილებელი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში. რაც შეეხება მეცხოველეობისათვის ამავე მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ეს შესაძლებელია, უპირატესად, ადგილებზე სათანადო სასოფლო-

¹). ЦСУ Грузинской ССР—вышеуказанный сборник.



სამეურნეო კულტურათა წარმოებით. მაშასადამე, საკითხის სწორად გადაჭრის საფუძველს, ამ შემთხვევაში, უნდა ქმნიდეს ის ეკონომიკური სარფიანობა, რომელიც თან ახლავს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მემცენარეობის ცხოველუბის ორგანიზაციულად სწორი შეხამებიდან გამომდინარე ურთიერთობებსა და ერთობლივ კავშირს. მაგრამ არის საკითხის მეორე მხარეც.


კარბამიდი (მარდოვანა), ამონიუმის სულფატის ბიკარბონატი, ამიაკური წყალი და აზოტოვანი სხვა ქიმიურა შენაერთები, როგორც აზოტის წყარო, გამოიყენება მხოლოდ მკონხავი პირუტყვის, უმაჯრესად, ძროხეულის კვებაში, აზოტოვან ნავთიერებათა მოთხოვნილების 25—30% ფარგლებში.

ულუვის შედგენილობაში ამ ფარგლის გადამეტება პირუტყვის მოწამლვას და მასთან დაკავშირებულ უარყოფით მოვლენებს იწვევს. აზოტოვან ნივთიერებებზე მკონხავი პირუტყვისა მოთხოვნილების დანარჩენი ნაწილი (70—75%) და ყველა სხვა სახეობის პირუტყვისა და მეფრინველეობის მთელი მოთხოვნილება აზოტის მიმართ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის საკვებით უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთანავე დასასწომებელია, რომ ცხოველური წარმოშობის საკვები (ხორცის, სისხლის და თევზის თხენილი) ხორცისა და თევზის მრეწველობის ანარჩენებისაგან კეთდება და, ცხადია, მისი ხვედრითი წილი საკვების რესურსებში არ შეიძლება დიდი იყოს, კერძოდ, საქართველოს პირობებში.

ამრიგად, კარბამიდისა და სხვა აზოტოვან ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენება სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის კვებაში დიდმნიშვნელოვანია, მაგრამ ვერ წყვეტს ცილებით და მათ შედგენილობაში შემავალი ამინომჟავებით მეცხოველეობის უზრუნველყოფის საკითხს.

ყურადსაღებია ისიც, რომ პირუტყვის კვებაში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების დროს დიდი წინდახედულობა და სიფრთხილეა საჭირო. ეს საკვები საშუალებები გულდასმით უნდა იქნეს შემოწმებული ფიზიოლოგიური შედეგების და ბიოლოგიური სრულფასოვნების თვალსაზრისით, ვინაიდან — სადღეისოდ არსებული —ზოგიერთი მემცენარეული დაკვირვების მონაცემები ცხადყოფს, რომ კარბამიდისა და სინთეზური ქიმიური სხვა საშუალებებით პირუტყვის კვებაში გატაცებას, ზოგჯერ, თან სდევს უარყოფითი შედეგი სულადობის კვლავწარმოების (რებროდუქციის), კერძოდ კი, ჯიშიერი პირუტყვის მოშენების მზრივ და არის იმის მონაცემებიც, რომ ზოგჯერ პროდუქციასზედაც უარყოფითად მოქმედებს.

მართალია, ბოლო დრომდე, ამ საკითხის ირგვლივ სხვადასხვა — თანაც, არსებითად, საწინააღმდეგო — მოსაზრებები იყო გამოთქმული, მაგრამ არ შეიძლება უგულვებლყოფა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მემცენარეობის აზრისა ამ საკითხებზე და, კერძოდ იმ განცხადებებისა, რომელიც გაკეთებული იყო ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მემცენარეობათა საკავშირო აკადემიის სესიაზე, 1964 წლის მარტში. ასე, მაგალითად, აკადემიკოსმა მ. ოლშანსკიმ სესიაზე თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მეცხოველეობაში აზოტის შემცველ სინთეზურ ნივთიერებათა გამოყენების თაობაზე მრავალრიცხოვანი მემცენარეული გამოკვლევებისა და, ალავ-ალავ, აგრეთვე წარმოებაში მოპოვებული გამოცდილების მიუხედავად, მაინც ჯერ კიდევ გაურკვე-




ველი რჩება ამ შენაერთების აზოტის გარდაქმნის მრავალი საკითხი ცხოველური ორგანიზმის ცილებად; ისე როგორც ჯერ კიდევ სათანადოდ არაა დადგენილი წველია მათი ზეგავლენა ცხოველის სარებროდუქციო ფუნქციებზე. მათი მატოზული ორგანოების მდგომარეობისა და პროდუქციის ხარისხზე. აკად. მ. ოლშანსკიმ აუცილებლად მიიჩნია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაფართოება და გაღრმავება. ამ მიმართულებით, ბოლო ხანებში, შესრულებული მეცნიერული ნაშრომების მთელი წყება გვიკარნახებს, ყურადღება გავამახვილოთ დამატებითი გამოკვლევების აუცილებლობაზე კარბამიდის გამოყენებასთან დაკავშირებით, სარძეო ფერმებსა და საჯიშე მეურნეობაში-სადაც ცხოველთა სიცოცხლის გახანგრძლივება უფრო მეტად არის მნიშვნელოვანი და სასურველი, ვიდრე გასასუქებელი. (საუსხო და საქოსმენო) სულადობისათვის, დაასკვნა აკად. მ. ოლშანსკიმ.

ამ სესიაზე აკად. ი. პოპოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა შემდგომი შესწავლა ხალასი ზოოტექნიკური ზოგიერთი იმ საკითხისა, რომელიც დაკავშირებულია შარდოვანას გამოყენებასთან და რომ ამ საკითხების წარმატებით გადასაწყვეტად, საჭიროა საფუძვლიანი ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური გამოკვლევები, უფრო მეტად უნდა გაღრმავდეს შარდოვანას და აზოტური სხვა შენაერთების ზეგავლენის შესწავლა პირუტყვის ჯანმრთელობასა და პროდუქციის ხარისხზე, მით უმეტეს, რომ წარმოებული ცდების მთელ რიგ შემთხვევაში აღნიშნულია შარდოვანას არახელსაყრელი გავლენა ხორცის, რძისა და ყველის ხარისხზე. დასასრულს, პროფ. ი. პოპოვმა განაცხადა, რომ უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ღონისძიებებს ცილების რეწვის (წარმოების) ფარგლის გასადიდებლად თვით მეურნეობებშივე. აკადემიკოსმა ნ. ბელენკიმ ამ სესიაზე თხოვნით მიმართა სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აკადემიას, რათა მიღებულ იქნეს მტკიცე გადაწყვეტილება, რომ არ გამოიყენონ აზოტშემცველი სინთეზური ნივთიერებები, ანტიბიოტიკები და სტიმულატორები საჯიშე მეურნეობებში. ის ამტკიცებდა, თავის სიტყვაში, რომ ანტიბიოტიკების სისტემატური გამოყენება ამცირებს ცხოველის ორგანიზმის სიცოცხლიერების მაჩვენებლებს. იმავე სესიაზე აკადემიკოსმა ლ. გრებენმა განაცხადა: „ჩვენ გვინდა, რომ ჯიშეირ ცხოველებს სრულფასოვანი საკვები ჰქონდეთ—ამიტომ, საჯიშე ცხოველების ულუფაში ცილა არ უნდა შეიკვალოს შარდოვანათი“.

აღნიშნულ ვითარებაში, თავისთავად ცხადია, გაუმართლებელი და დაუშვებელი იქნებოდა გაუფრთხილებლობა, წინდაუხედაობა და ხელოებითი რისკი სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის კვებაში კარბამიდის და ქიმიური სხვა, ხელოვნური, შენაერთების გაშოყენებისას.

დაუშვებელია ცნობილ მეცნიერთაგან მოწოდებული ამ სიგნალების უგულვებელყოფა.

ეს მით უმეტეს, რომ აკად. ი. პოპოვმა, უკანასკნელი 8—9 წლის მანძილზე, რამდენჯერმე დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა შარდოვანას მიცემა პირუტყვისათვის არა უშუალოდ, არამედ მკენარის მეშვეობით, ე. ი. სასუქად მისი გამოყენების გზით. ამის პრაქტიკულად გახორციელებას აფერხებდა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში სუბიექტივიზმთან დაკავშირებულ ცნობილი მოვლენები.



ჩვენ სავსებით ვიზიარებთ აკად. ი. პოპოვის ზემოხსენებულ წინადადებას და აუცილებლად მიგვაჩნია მისი გახორციელება, რადგან—როგორც ვინაობის ბილია—შარდოვანა, თავის თავად, სწრაფმომქმედი დიდადღეფექტური კარგი აზოტური სასუქია; მისი გამოყენება საკვებად განკუთვნილი კულტურებისათვის აძლიერებს მოსავლიანობას და ადიდებს აზოტის რაოდენობას მიღებული მცენარეული საკვების პროდუქციის ერთეულისა და საერთო მასის ქიმიურ შედგენილობაში. ამით შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მეცხოველეობის მოპარაგება გაცილებით უფრო მეტი აზოტით საკვებში, ვიდრე აზოტის ის რაოდენობაა, რომელსაც მცენარეთა სასუქად გამოყენებული შეიცავდა. ამის გარდა, შარდოვანას სასუქად გამოყენებით მიღებული მოსავლის ნამეტით მეცხოველეობა მიიღებს ნახშირწყლების, ვიტამინებისა და სხვა საყუათო ნივთიერებათა თვალსაჩინოდ დიდ დამატებით რაოდენობას, რაც მთლიანად გამორიცხულია შარდოვანას ჩართვით უშუალოდ ულუფაში. ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ საკვებად განკუთვნილ კულტურაში შარდოვანას გამოყენება სასუქად შექმნის საფუძველს, რათა—ნივთიერებების მიმოცვლის შედეგად—მცენარეულ საკვებთა მასაში აზოტი წარმოდგენილი იქნეს ცხოველის ორგანიზმის მოთხოვნილებათა შესაფერის ბიოლოგიურად სრულფასოვანი ცილებისა და სხვა შენაერთების სახით. ვფიქრობთ, აღარ არის აუცილებელი იმის აღნიშვნა, რომ ამ გზით თავიდან ავიცილებთ პირუტყვის მოწამლვისა და მისი პროდუქციის ხარისხზე უარყოფითი გავლენის ყოველგვარ შესაძლებლობას, რაც მოსალოდნელი არის ხოლმე, გარკვეულ პირობებში, შარდოვანას შერევით უშუალოდ საკვებთა ულუფაში და ზოგჯერ გარეგნულად შეუმჩნეველიც შეიძლება დარჩეს.

დასასრულ, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ პირუტყვის საკვებთა ულუფაში შარდოვანას უშუალოდ ჩართვით ორგანული ნივთიერების ახალი მასა არ წარმოიქმნება; პირიქით, შარდოვანას დაშლისა და მისი აზოტის გამოყენების პროცესში პირუტყვის ფაშვის ბაქტერიები იმ მზამზარეულ ენერგეტიკულ მასალას დახარჯავენ ხოლმე, რომელიც მოცემულია ულუფის ინგრედიენტებში ნახშირწყლების სახედ.

შარდოვანას სასუქად გამოყენების შემთხვევაში კი საკვებად განკუთვნილ მცენარეთა დიდი მოსავლის მიღებით—ჩვენ ფოტოსინთეზისა და ასიმილაციის მეშვეობით—მზის ენერჯის დიდი რაოდენობის დაგროვებას, ნიადაგიდან წყლისა და საყუათო ნივთიერებათა მობილიზაციას და, ამ გზით, მცენარეში დიდძალი ახალი ორგანული იმ მასალის შექმნას მივალწევთ, რომელშიც კონსერვირებულია მზის შუქის დიდძალი ენერჯია. ეს კი—საბოლოო ჯამად—საერთოდ სოფლის მეურნეობის და, კერძოდ, მიწათმოქმედების მთავარი დანიშნულება და მიზანი არის.

ზემოთ, ძლიერ მოკლედ, გადმოცემული თვალსაზრისები და მოსაზრებები, ჩვენის შეხედულებით, ყოველთვის ანგარიშში ჩასაგდებაა, როდესაც ამა თუ იმ ყვერბის მეცხოველეობისათვის შემდგომი განვითარების პერსპექტივების დასასახელებლად წინასწარ შევუდგებით ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ლონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას და ეს კომპლექსი გვიკარნახებს იმის აუცილებლობას, რომ სასოფლო-სამეურნეო ცხოველების შენახვის სისტემა-



ში, ვთქვათ. ბაგური ან ბაგურ-საძოვრული წესი და ამის შესატყვისი კვება უპირატესი მნიშვნელობისა უნდა იყოს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პირობებში, პირუტყვის ბაგური ან ბაგურ-საძოვრული წესი, უმეტეს ნაწილად, დაკავშირებული იქნება საკვების მყარი ბაზის ისეთგვარ ორგანიზაციასთან, სადაც საკვების მყარი ბაზის სტრუქტურაში, საერთოდ, „ბუნებრივი საკვები სავარგულები“-ს სახელწოდებით ცნობილი მისი შემადგენელი ნაწილი (განსაკუთრებით კი — საზამთრო საძოვრები) შედარებით მცირედ იქნება წარმოდგენილი, რის გამო, პირუტყვისათვის საკვების მომარაგების წყაროს დანიშნულებით, წინ წამოიწევეს საკვების მყარი ბაზის შემადგენელი სხვა ისეთი ნაწილები, როგორცაა „მემცენარეობის ანარჩენი“, „საგანგებოდ ორგანიზებული საკვებმოპოვება“ და „ცენტრალური ნომარაგება“.¹

გინაიდან — როგორც პროფ. დ. ავლანის განმარტებით ვიცით, წინამდებარე კრებულში მოთავსებული ნაშრომისა და აგრეთვე სახელმძღვანელო „მეცხოველეობის საფუძვლები“-ს მიხედვით — ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის უმნიშვნელოვანესი რგოლის პრაქტიკულ გასახიერებას კვების გეგმა და საკვებთა ბალანსი წარმოადგენს, ამიტომ ყოველივე ზემოთქმულმა კუთვნილი ადგილი უნდა ჰპოვოს სწორედ ამ დოკუმენტებით ფიქსირებულ გააზრება-მოსაზრებებში. ეს იმას ნიშნავს, რომ კვების გეგმის ამსახველ იმ ცხრილებში, სადაც გასახიერებულია ხოლმე ზოოტექნიკურად დასაბუთებული გამოანგარიშებანი სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის კვების ტიპის და საკვებთა ულუფის სტრუქტურისა თუ ყუათიანობის ირგვლივ, ავტორთა მოსაზრება-გააზრებებში, შესატყვისი ციფრობრივი მაჩვენებლების საფუძველს ზემოაღნიშნულ საკითხთა წილ მეცნიერების მონაცემების გათვალისწინებაც უნდა ქმნიდეს. საკვებთა ბალანსში კი, ამ გზით დადგენილ საკვებ საშუალებათა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მოფიქრებულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა წყებაში, იგივე მეცნიერულმა მონაცემებმა უნდა ჩაუყაროს საძირკველი სათანადო საკვებმოპოვების ტიპსა თუ ხასიათს.

როდესაც, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, საქმე თესვბრუნვებს შეეხება, მხედველობიდან გამოსატოვებელი არ აოის ამ ერთობლივი საკითხის კიდევ ერთი მხარე, რომლის ჯეროვნად გათვალისწინებით უნდა მოწესრიგდეს ხოლმე საკვების მყარი ბაზის ორგანიზაციის სათანადო ესა თუ ის ელემენტი.

ზემოთ განხილულ საყუათო ნივთიერებათა გარდა, სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესების მიმდინარეობასა და პროდუქტიულობაში, დიდი მნიშვნელობისაა აგრეთვე არაიდენტიფიცირებული (ჯერ კიდევ დაუდგენელი) ბიოლოგიურად აქტიური ფაქტორები, რომელთა მოქმედება პრაქტიკაში გამოვლინდება ხოლმე ზოგიერთი სახის საკვებისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელი ზემოქმედებით ცხოველის ორგანიზმზე. ასეთი საკვებია საძოვრის ბალახეული, საკვებად განკუთვნილი ზოგიერ-

¹ ა გ ლ ა ძ ე დ. — მეცხოველეობის საფუძვლები. ნაწ. I, თბილისი, გვ. 203, 265

თი ბალახის წვენი, იონჯის თივის ფხენილი, ზოგიერთი მარცვლეული და ცხოველური წარმოშობის საკვები.

უკანასკნელ წლებში საკვებ მწვანე მცენარეებში აღმოჩენილია ესტროგენური ნივთიერებანი, რომლებიც ხელს უწყობენ რეპროდუქციას, ზრდას და ლაქტაციას. დადგენილია, რომ მწვანე საკვებ მცენარეთა ესტროგენური აქტივობა დაკავშირებულია სხვადასხვა პიგმენტებთან (იზოფლავინები, ესტრონი, ესტროლი და მათგან ნაწარმოებნი). ესტროგენური ნივთიერებებით მდიდარია ახალგაზრდა მწვანე მცენარეები. პროფ. თ. კუნა (აშშ.) განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს პირუტყვის საკვების უზრუნველყოფას არაინდეტიფიცირებული ნივთიერებებით (ფაქტორებით), რომელთაც შეიცავს ნორჩი ბალახი, მისი წვენი, იონჯა, იონჯის ფხენილი, ზოგიერთი ცილოვანი საკვები და ნიადაგი. ამის დასადასტურებლად მას მრავალი მონაცემი აქვს მოტანილი¹.

არაინდეტიფიცირებულ (დაუდგენელ) ფაქტორებს უნდა მიეკუთვნოს ბიოლოგიურად აქტიური ის ფერმენტები და ჰორმონების მსგავსი ნივთიერებანი, რომელთაც—პროფ. ა. დმიტრიენკოს და პროფ. პ. პშენინის მიხედვით—მწვანე საკვები შეიცავს, მაგრამ ცხოველის ორგანიზმში მათი ბიოლოგიური ფუნქცია ჯერ კიდევ სავსებით გარკვეული არ არის².

ამასვე ადასტურებს პროფ. ა. ოესიანიკოვის (მოსკოვი) მოსაზრებები და პროფ. პ. ლადანის (ნოვოჩერკასკი) მეცნიერული კვლევის შედეგები მელორეობაში³.


მწვანე საკვები, ამასთან ერთად, დიდი რაოდენობით შეიცავს აგრეთვე სხვადასხვა ვიტამინებს და მინერალურ ელემენტებს. ცნობილია, რომ სასაფლო-სამეურნეო პირუტყვის ნორმულ კვებაში დიდი მნიშვნელობა აქვს წვნიან საკვებს (ძირხვენები, ტუბერიანები, ბალჩიული და სილაჟი). პირუტყვის უზრუნველყოფა მწვანე საკვებით შეძლებისამებრ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა და ამ ამოცანის განხორციელება, პრაქტიკულად, შესაძლებელია მწვანე კონვეირების მეშვეობით, ხოლო მწვანე კონვეირში საძოვარი ისეთივე აუცილებელი შემადგენელი ელემენტია, როგორც საკვების მყარი ბაზისა, საერთოდ.

ზამთრობით ბაგური კვების პერიოდში, საძოვარი და გათიბული მწვანე მასა უნდა შეცვალოს ხოლმე პარკოსნების კარგმა თივამ, განსაკუთრებით იონჯის თივამ, კარგი ხარისხის თივის ფხენილმა, აგრეთვე, ნაწილობრივ, კარგმა სილაჟმა, სხვა სახის წვნიან საკვებთან ერთად, ძირხვენებს შორის, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საკვები წითელი სტაფილო, რომელიც სხვადასხვა ვიტამინების დიდ რაოდენობას შეიცავს და, ამავე დროს, ჩინებულ დიეტური საშუალებაც არის. ყოველად უდავოა, რომ საკვებთა ულუფას,

¹ Куна Т.—Кормление свиней. Москва. 1961 г. стр. 14.

² Дмитроченко А. Пшеничный Н.—Кормление сельскохозяйственных животных. Москва. 1961 г. стр. 148.

³ Овсяников А.—Предисловие к книге Куна Т.—Кормление свиней. Москва, 1961 г.




საჭიროების მიხედვით, უნდა დაემატოს ხოლმე ვიტამინური კონცენტრატებიც და სხვა სახის საყუათო პრეპარატებიც.

მაგრამ, მეცხოველეობისათვის აუცილებელი საკვების მყარი ლოგიურად სრულფასოვანი რომ იყოს და ზემოთ განხილული ყველა მოთხოვნას შეესაბამებოდეს, ის დაფუნდებული უნდა იყოს საკვები მცენარეების ნაირნაირი ასორტიმენტის მოყვანაზე და გონივრულად გამოიყენებდეს არსებულ ბუნებრივ სათიბებსა და საძოვრებს, თანაც უზრუნველყოფდეს საკვების უმციარეს თვითღირებულებას. ყოველივე ეს უნდა შეესაბამებოდეს მიწის რაციონალურ გამოყენებას და ნიადაგის ნაყოფიერების გაძლიერებას.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამ კომპლექსური და რთული ამოცანის გადაწყვეტა ყველაზე უფრო სრულყოფილად მინდვრის და ფერმისპირა თესვბრუნველის სისტემის დამკვიდრებებით შეიძლება იქნეს მიღწეული. ამ სისტემაში ჩვენ ვგულისხმობთ აგრეთვე ბუნებრივ საძოვრებსა და სათიბებზე ნაკვეთმორიგეობითი ძოვების, საძოვართბრუნვისა და სათიბთბრუნვის შემოღებასაც, მათი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის გადიდების სხვა ღონისძიებების ჩართვით. იმ დროს, როდესაც ბუნებრივი საკვები სავარგულების მოვლა-გაუმჯობესებას ღონისძიებათა საჭიროება არავითარ ეჭვს და ყოყმანს არ იწვევს, როგორც ცნობილია, ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკაში თესვბრუნვები მრავალმხრივ სათუო საკითხად გადაქცეულა, თუმცა თესვბრუნვებს განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ნიადაგის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის გადიდებაში მათი უეჭველი ეფექტიანობა დიდი ხანია ფართოდ არის ცნობილი როგორც საბჭოურ, ისე უცხოურ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

თესვბრუნვა იმისკენ არის გაშიზნული—რეალურადაც მიაღწევს ხოლმე ამ მიზანს—რომ შესატყვისი მიწებების მთავარი ნათესებით და ნაწვერალით მცენარეთა ნაირნაირი ასორტიმენტი წარმოქმნას და, ამდენად, უშუალოდ შეესაბამება ბიოლოგიურად სრულფასოვანი და ეკონომიკურად გამართლებული საკვების მყარი ბაზის ორგანიზაციის მთავარ მოთხოვნებს. დასახსონებელია, რომ თესვბრუნვა დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-მეურნეობრივი ღონისძიებაა სასოფლო-სამეურნეო საწარმოში, სადაც მისი მეშვეობით მტკიცე წესრიგი დამყარდება ხოლმე მიწების გამოყენებაში, შემცირდება სეზონურობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და შეიქმნება პირობათა ოპტიმუმი მუშახელისა და საწარმოო საშუალებათა გამოყენებისათვის მთელი წლის მანძილზე თანაბარ დატვირთვით, სრულად და უფრო რაციონალურად. თესვბრუნვების შემოღებასთან დაკავშირებულნი არის ხოლმე ეკონომიკურ-მეურნეობრივად დადებითი სხვა მრავალი ფაქტორი.

ფართოდ არის გავრცელებული თესვბრუნვები დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონებელ ქვეყნებში: ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, დანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, შვედიაში და სხვ. თესვბრუნვები შემოღებული და ათვისებული იყო ჩვენი ქვეყნის მრავალ მოწინავე კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, რის შედეგად მოსავლიანობის გადიდებასა და ერთობლივ სამეურნეო საქმიანობაში დიდი ეფექტი იყო მიღწეული.




ამ საკითხის ირგვლივ უხვად მოიპოვება ცნობები ოფიციალურ მასალასა და სალიტერატურო წყაროებში. მაგრამ, უკანასკნელ ხანს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში ფეხადგმული სუბიექტივიზმის შედეგად, მრავალ ადგილას შეწყდა შემოღებული თესვბრუნვების ათვისება და დაირღვა უკვე ათვისებული თესვბრუნვები, რაც აღნიშნულია სკკპ ცკ 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილებაში. საქართველოშიც არა ერთი მაგალითი იყო თესვბრუნვების ათვისების დიდი ეფექტიანობისა. აი, თუნდაც, ნუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, აჯამეთის მემანდვრობის საცდელ სადგურში, მარნეულის რაიონის სოფ. კურტლარის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობაში, წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემოქედის კოლმეურნეობებში, ახალქალაქის რაიონის სოფ. ლილისკას კოლმეურნეობაში, ახალციხის რაიონის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, გორის რაიონის სოფ. ხვედურეთის კოლმეურნეობაში „განთიადი“, ქუთაისის რაიონის სოფ. გეგუთის კოლმეურნეობაში, გარდაბნის რაიონის სოფ. მარტყოფის კოლმეურნეობაში და სხვაგანაც.

1959 წლის ბოლოსათვის მინდვრის და ფერმისპირა საკვები თესვბრუნვები მიღებული და დამტკიცებული იყო საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1626 კოლმეურნეობაში, სინამდვილეში კი, თესვბრუნვა, გარდა ზემოთ დასახელებულისა, სხვა არც ერთ კოლმეურნეობაში არ ათვისებულა, ხოლო ამ მიმართულებით დაწყებული სამუშაოები შეწყვეტილ იქნა. ამჟამად კი, ცნობილი მიზეზების გამო, ზემოხსენებულ კოლმეურნეობებშიც არ არის თესვბრუნვები.

1962 წლის აგვისტოს 21-ს, საქართველოს სსრ ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიღებულ იქნა ახალი დადგენილება, „საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათოხნიანი თესვბრუნვების შემოღებისა და დანერგვის შესახებ“. ნიადაგის, კლიმატისა და ეკონომიკური პირობებით განსხვავებული სხვადასხვა მიკროზონისათვის რესპუბლიკის ბარის რაიონებში ასეთი თესვბრუნვის 29 სანიმუშო სქემა იყო შემოთავაზებული; ხოლო მთაგორიანი ხუთი ზონისათვის, ეროზიის საწინააღმდეგო თესვბრუნვების 17 სანიმუშო სქემა. ეს დიდად მისასალმებელი ღონისძიებაა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დღემდე თესვბრუნვა კოლმეურნეობათა აბსოლუტურად დიდ უმრავლესობას არც შეუმუშავებია და, მით უმეტეს, არც დაუნერგავს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილებამ საფუძველი ჩაუყარა და ბიძგი მისცა ჩვენს ქვეყანაში რადიკალური ღონისძიებების გახორციელებას სოფლის მეურნეობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მისი მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. ეს ღონისძიებები მეცხოველეობის შემდგომ მძლავრ განვითარებასა და საკვების მყარი ბაზის შექმნასაც ისახავს მიზნად. ამ მიზნის შედეგიანად გახორციელებისათვის აუცილებელი მუშაობა იმ საწყისი დებულებიდან უნდა ამოდიოდეს და იმისკენ იყოს მიმართული, რომ ყოველ კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძლიერება ადგილობრივ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებთან შეფარდებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა სისტემას ემყარებოდეს. მეცნიერულად დასაბუთებული ასეთი სისტემის შემუშავება და და-



ნერგვა, ამჟამად, გადაუდებელ ამოცანად არის აღიარებული და ის მიწათ-
მოქმედებისა და მეცხოველეობის მაღალი კულტურის დანერგვის, მატერიალური
ნისძიებათა შორის, რაციონალური თესვბრუნვების შემოღებასაც გულისხ-
მობს.

გ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავში-
რო აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი პ. ლობანოვი, აკადემიის სესიის
სხდომაზე 1965 წლის 10 თებერვალს, შეეხო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერე-
ბის ამოცანებს და აღნიშნა: „მნიშვნელოვნად უნდა გაღრმავდეს გამოკვლე-
ვები თესვბრუნვებში როგორც აგროტექნიკურ, ისე ორგანიზაციულ-ეკონომი-
კურ პლანზე. მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს ყველა სპეციალისტის როლი
ამ საქმეში“; ასეთსავე სიბრტყეში იდგა თესვბრუნვებთან დაკავშირებული სა-
კითხები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონის ამაღლების საკითხზე სსრკ
სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრკ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერე-
ბათა აკადემიის მიერ ა/წ მარტის 30 და აპრილის პირველს მოწვეულ საკავში-
რო თათბირზე, ქალ. მოსკოვში.

კარგად არის ცნობილი, რომ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში
არსებულმა სუბიექტივიზმმა დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის მდიდარ ბუ-
ნებრივ საკვებ სავარგულებს და საკვები ბალახების თესვა-მოყვანას. გადაიხნა
დიდძალი პროდუქტიული სათიბი და საძოვარი, თითქმის შეწყდა ძვირფასი
საკვები ბალახების თესვა-მოყვანა მათი კულტურის უძველეს რაიონებშიც.
ამიტომ ადვილად გასაგებია, რომ ამ ზიანის აღმოსაფხვრელად შემუშავებულ
ახალი ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს ბუნებრივი სათიბებისა და სა-
ძოვრების, აგრეთვე დიდად მოსავლიანი ძვირფასი საკვები ბალახების თესვა-
მოყვანის აღდგენას და ამ საქმის გაუმჯობესებას. თესვბრუნვის ტიპები და
მათი ნათესების სტრუქტურა კონკრეტული მეურნეობის სპეციალიზაციის,
გეგმური დავალებების, პირუტყვის კვებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის
შესაბამისად შედგენილი საკვებთა ბალანსის მიხედვით უნდა განისაზღვროს
ხოლმე, ნიადაგის, კლიმატის და ეკონომიკური ადგილობრივი პირობების თა-
ვისებურებათა შესაბამისად, თანაც ნათესების განაწილება მიწის ფერმის-
პირა და სხვა სახის თესვბრუნვებს შორის მთლიანად უნდა ექვემდებარებო-
დეს ადგილობრივ პირობებსა და მოთხოვნებს. ხოლო უკეთეს ასე უნდა იყოს,
მაშინ, მით უფრო აუცილებელია შესატყვისი ღონისძიებების შემუშავება-და-
საბუთება არა განყენებულად და ზოგადად, არამედ ყოველი ცალკე ყვერბი-
სათვის მთელი მეცხოველეობის წილ წინასწარ მოფიქრებული რაციონალური
ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის მიხედვით, რასაც
შიცდენილია წინამდებარე კრებული.




ა. ჯაფარიძე

**საკვების მყარი ბაზის კეთილმოწყობის საკითხისათვის,
ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის
შესაბამისად, ზუზდიდის რაიონის კოლმეურნეობათა
მაგალითით**

ბუნებრივია, რომ წინამდებარე ნაშრომში განსახილველი საკითხის მთავარ წინაარსთან დაკავშირებული მსჯელობისა და თვით ამ საკითხის სწორად გადაჭრისათვის, აუცილებელი უნდა ყოფილიყო წინასწარი გარკვეული ორიენტაცია იმ ცნებების წილ, რომელთა რაობა განსაზღვრავს აქ მსჯელობას დაქვემდებარებული ერთობლივი საკითხის ბუნებას, ეს არის: ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი და სასოფლო-სამეურნეო პირუტყვისათვის საკვების მყარი ბაზა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოური მთელი ხალხის აქტიური მონაწილეობით, დიდი ღონისძიებები გაახორციელა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობრივი წარმოების მკვეთრად აღმავლობისათვის; თვალსაჩინოდ გადიდა მარცვლეულის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების რეწვა (წარმოება). მიუხედავად ამისა, სკკპ-ის ცენტრალურ კომიტეტს პროდუქტების რეწვის დღევანდელი ფარგალი უკმარისად მიაჩნია, რადგან ის ჯერ კიდევ მაინც ვერ შეესაბამება მეურნეობის წარმოების სოციალისტური სისტემის უდიდეს შესაძლებლობებს და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ზომარით მოსახლეობის მზრდად მოთხოვნებს. ასლახანს თქმული შეეხება, უწინარეს ყოვლისა, მეცხოველეობის პროდუქტებს და, ამიტომ, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტთა სიუხვის შექმნისათვის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა შორის უპირველესი მნიშვნელობისაა სწორედ ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მეცხოველეობის პროდუქტის რეწვის ფარგლის გადიდებისაკენ.

სახელდობრ რა ადგილი მიეკუთვნება ამ ღონისძიებათა შორის და სახელდობრ როგორი მნიშვნელობა აქვს ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსს—ეს საკითხი, ვფიქრობთ, საკმარისი ამომწურავობით არის გაშუქებული წინამდებარე „შრომათა კრებულში“, ამის თაობაზე ლაპარაკი ჩვენ არ მოგვიწევს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ—როგორც პროფ. დ. ავლანც განმარტავს—ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსად გააზრებული თეორიული დებულებებისა და ადვილად გასახორცილებელი




ლონისძიებების პრაქტიკულ გამოსახულებას შესატყვისი ყვერბის პირეტ-
ყვისათვის შემუშავებული კვების გეგმა და საკვებთა ბალანსის
მოადგენს; უნდა გვახსოვდეს ამასთანავე, რომ კვების გეგმის მეშვე-
ნით დადგენილი მოთხოვნები საკვებისა—თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვე-
ვაში, უდიდეს ნაწილად—იმ საკვები საშუალებებით უნდა დაკმაყოფილდეს,
რასაც წვისისამებრ მოწყობილი საკვების მყარი ბაზა უზრუნველყოფს, რითაც
მიღწეული უნდა იქნეს საკვებთა ბალანსის სასურველი მდგომარეობა და, მა-
შასადამე, სათანადო მეცხოველეობის წარმოების მტკიცე საფუძველი.

სასოფლო-სამეურნეო პირუტყვისათვის საკვების მყარი ბაზა, როგორც
ცნობილია, საქართველოს დასავლეთი ნაწილის დაბლობ ზონებში და, კერ-
ძოდ, ზუგდიდის რაიონში, მეტად მოუწყვრივებელი, არამტკიცე და საჭი-
როებასთან შეფარდებით, უკმარისია. ამ რაიონში, ერთობლივ კოლხეთის დაბ-
ლობის მსგავსად, სუბტროპიკული და ძვირფასი ტექნიკური კულტურების გად-
ვილების შემდეგ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საკვების ბაზის გამტკიცება-
გაფართოებას მინდვრის კულტურებისათვის დარჩენილი ფართობების შეუმცი-
რებლად. ამ ამოცანის შინაარსობრივი მნიშვნელობა და, საკმაოდ მრავალ
შემთხვევაში, მისი მოწყვრივების სიძნელე გვიკარნახებს, ზედმიწევნით ფრთხი-
ლად მივუდგეთ ხოლმე სასოფლო-სამეურნეო პირუტყვისათვის აუცილებე-
ლი საკვების მყარი ბაზის ორგანიზაციას, რამაც თავისი გამოსახულება უნდა
შპოვოს როგორც თვით ცნების ზუსტი და ამომწურავი მეცნიერული განსაზ-
ღვრებით, ისე ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე სათანადო პრაქტიკული
ლონისძიებების გახორციელებით, დიფერენცირებულად, სასოფლო-სამეურნეო
საწარმოთა მიხედვით.

პროფ. დ. აგლაძე, სახელმძღვანელოში „მეცხოველეობის საფუძველები“,
სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის საკვების მყარი ბაზის ცნებისათვის
გეთავაზობს განსაზღვრებას, რომლის მიხედვით ის შეცნობილი უნდა იქნეს
როგორც ერთობლიობა იმ საკვებ საშუალებათა, რომლებიც ესაჭიროება
სასოფლო-სამეურნეო ცხოველს თავისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების
დასაკმაყოფილებლად; ამ განსაზღვრებაში სიტყვა-ერთობლიობით ხაზგასმუ-
ლია შესატყვისი საკვები საშუალებების ასორტიმენტის შეძლებისამებრ დიდი
მრავალფეროვნება, რის აუცილებლობაც ადვილი გასაგები იქნება, უკეთუ
გავითვალისწინებთ წინამდებარე კრებულში დოც. რ. კვიციანიას ნაშრომით
გადმოცემულ მიმოხილვას სალიტერატურო წყაროებისა, სასოფლო-სამეურ-
ნეო პირუტყვის კვების ნორმირებასთან დაკავშირებით. ამ წერილში, ჩვენი
მსჯელობიდან გამომდინარე დასკვნებისას, შეძლებისამებრ სრულად არის გათ-
ვალისწინებული ეს მონაცემები.


მსჯელობას დაქვემდებარებული ცნების აგლაძისეულ განსაზღვრებაში,
დამახასიათებელ სხვა მომენტთა შორის, ყურადღებას იპყრობს ხაზგასმა აგ-
რეთვე იმ გარემოებისათვის, რომ—განსაზღვრების ავტორის მიხედვით—საკ-
ვების მყარი ბაზა ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს შესატყვის უბანში (ყვერბ-
ში) მიწათმოქმედების (მემცენარეობის) დამკვიდრებულ (ან დასამკვიდრებელ)
სისტემას. ამ გარემოების გამო უნდა გავგეთვალისწინებინა, რომ ზუგდიდის



რაიონში, სადაც მინდვრის კულტურათა შორის სიმინდის ნათესები 90%-ს აღემატება, შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო შესატყვისი ფართობების ნიშნულად შემცირება და ამით საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის აუცილებელი საკვების მყარი ბაზის გაფართოება-გამტკიცება. ეს მით უმეტეს, რომ ამ რაიონში სათიბ-საძოვრებად მხოლოდ ისეთ ნაკვეთებს გამოიყენებენ ხოლმე, სადაც ხვნა-თესვა შეუძლებელია, უკეთუ წინასწარ არ გახორციელდა მათი სათანადო მეღიორაცია.


ანგარიშგასაწევი იყო ისიც, რომ ერთობლივ კოლხეთში და, კერძოდ, ზუგდიდის რაიონშიც არსებული ჩვეულების გამო (შემოდგომით მოსავლის აღებიდან, მომავალი წლის გაზაფხულზე თესვასა და ნათესების აღმოცენებამდე, შესატყვისი ფართობების გამოყენება პირუტყვისათვის საძოვრად) შეუძლებელი არის ხოლმე როგორც მრავალწლოვანი, ისე ერთწლოვანი ბალახების დათესვა, შემოდგომა-ზამთარსა და ადრე გაზაფხულის პერიოდების გამოყენებით. ამით არის გამოწვეული, რომ მეტად იშვიათია ერთ-თუ მრავალწლოვანი ბალახების ნათესები, თუ არ ჩავთვლით ეზოებში დათესილ კოინდარს და, შემოღობილ ნაკვეთებზე, იონჯას ან სამყურას. ძნელად მისახვედრებელი არ უნდა იყოს, რომ მეცხოველეობისათვის საკვებმომოწოდების (და საკვებწარმოების) რეზერვების გამოსავლინებლად, ყურადღებას მიიპყრობდა, პირველ რიგად, წლის იმ პერიოდების გამოყენების აუცილებლობა, როდესაც თავისუფლად არის დატოვებული მთავარი კულტურების ნათესთა ფართობები, მაგალითად, შემოდგომა-ზამთრის პერიოდები და აგრეთვე სასურველობა პარკოსანი ბალახების შეთესვით სიმინდის რიგთაშორისების შემჭიდროების ან კიდევ სასილაჯე მასის ორი მოსავლის აღებისა და სხვ. სავსებით წესზომიერია, რომ ამ გზით—თუ სხვა რამ ყაიდაზე—ნათესი ფართობების სტრუქტურის გაუმჯობესება და მოსავლიანობის გაძლიერება, ერთობლივ მოსავლის გასაძლიერებლად, გადაუდებელ ამოცანათა პირველ რიგებში იქნეს წამოწეული და ეს, ძალაუნებურად განსაზღვრავს ნაკლებმოსავლიანი კულტურების შეცვლას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცნიერების მიღწევათა და წარმოების ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით.

ახლანას თქმული იმისკენ იყო მიმართული, რათა ზოგადად შემოეხაზნა წინამდებარე ნაშრომში ჩვენი მიზანსწრაფვის ამსახველი სახელმძღვანელო დებულებების საერთო შინაარსი, რომელიც საბჭოთა კავშირის კონუნისტური პარტიისა და საბჭოური მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა წინაშე დაყენებული ამოცანიდან გამოდის და გულისხმობს მიწათმოქმედების ისეთი სისტემის შემუშავებას, რაც ნიადაგის ნოყოფიერებას გააძლიერებს და ყოველი ჰექტარისაგან პროდუქციის მაქსიმუმის მიღებას უზრუნველყოფს. ვფიქრობთ, რაიმე კამათს არ გამოიწვევს, თუ ვიტყვით, რომ ამ ამოცანის სრულად და შედეგიანად გახორციელება მოითხოვს, ჩვენს მაგალითზე თუ შეგჩერდებით, ზუგდიდის რაიონის თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიწების ჯეროვან შესწავლას და ამის საფუძველზე პროგრესული აგროტექნიკური ღონისძიებების კომპლექსის შემუშავებას.




ჩვენს ქვეყანაში უკვე დაწყებულია ასეთი შინაარსის მუშაობა (აგროქიმიკული კარტოგრაფების შედგენა) საქმაოდ ფართო მასშტაბით და ნაყოფიერად რამ, ამის პარალელურად და ამთავითვე სავსებით შესაძლებელია ფართოდ მივმართოთ ერთი და იმავე ნაკვეთიდან ორი მოსავლის აღებას, შუალედური ნათესების ფართოდ გამოყენების გზით, რადგან საამისო საფუთველს გვადლევს რაიონისათვის ჩვეული ბუნებრივი ვარემო და, მართალია, არცთუ ვრცელი, მაგრამ მაინც არსებული პრაქტიკული გამოცდილება. დასავიწყარი არ არის, რომ ორი მოსავლის აღების ეფექტიანი შედეგი დიდად არის დამოკიდებული იმისაგან, თუ რამდენად ნოყიერია ნიადაგი, რომელმაც პირველი მოსავლის შემდეგ მომდევნო კულტურისას სათანადო მცენარეთა ჯეროვანი კვების პირობები უნდა უზრუნველყოს. მაგრამ აქ ვარაუდში ჩასავდება, რომ ყოველ სათანადო შემთხვევაში თვალსაჩინო დახმარება შეუძლია გავვიწიოს მინერალურმა სასუქებმა, რომელთა რეწვა ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე ფართოვდება და რომელთა გამოყენების ზედმიწევნით ზუსტი რეგულაცია, პერიოდიდან პერიოდამდე, შეუძლია აგროქიმიური კარტოგრაფების მონაცემთა გონივრულ გამოყენებას.

ზემოთქმულთან საკმარისად ნიახლოვებული მსგავსებით შეიძლება ითქვას, რომ საკვების მყარი ბაზის შექმნაში სახელმძღვანელო საერთო ღონისძიებების დანიშნულება და ნიშნენლობა უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის კვების გეგმისა და საკვებთა ბალანსის წინასწარ შემუშავებას ყოველი ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოსათვის. ცხადია, აგროქიმიური კარტოგრაფების შემუშავება საქმიანობის სრულიად სხვა სფეროა, კვების გეგმისა და საკვებთა ბალანსისა კი—სრულიად სხვა; მაგრამ, წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანდასახულების წიაღში, ისინი თავს მოიპოვიან როგორც ერთი საკითხის ორი მხარე და ეს საკითხია სახანაგ-სათესი ფართობის სრული დატვირთვით გამოყენება, შრომისა და სახსრების უმციურესი დანახარჯებით პროდუქციის მაქსიმუმის მიღება. უკეთეს მხედველობაში გვექნება ზუგდიდის რაიონის პირობებში შუალედი კულტურების თესვისათვის შემოდგომის პერიოდის გამოყენება პარკოსანი მცენარეების მეშვეობით—მაშინ, გულდასმით და ზუსტად შემუშავებული კვების გეგმა სწორედ იმ ორიენტაციის მიმცემი იქნება, თუ ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში როდის არის სასურველი შესატყვისი მცენარის თესვა-მოყვანა სწვანე მასად, გასაძოვებლად. წვნიან საკვებად, სილაჟად თუ სიდერატად და სხვ. ვინაიდან ზუგდიდის რაიონში ეწერზე მოსავალი, საერთოდ, უფრო მცირეა, ვიდრე ალუვიურ ნიადაგზე, ხოლო მინერალური სასუქებისა და წესისამებრი აგროკომპლექსის ფონზე შუალედი კულტურების მოსავალი 2-3-ჯერ მეტი შეიძლება იყოს, ამიტომ ეწერ ნიადაგებზე ამ ღონისძიების გაუთვალისწინებლობა და გამოუყენებლობა დიდი შეცდომა იქნებოდა. მეორეს მხრივ კი ასეთივე შეცდომა იქნებოდა გადიდებული მოსავლის მიზანდასახულებობა და შეფექტო გამოყენება, რის გამო სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის კვების გეგმამ ამ ერთობლივ საქმიანობაში მისთვის განკუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს ხოლმე.



აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ კვების გეგმის ცნებას ის განსაზღვრება, რომელიც შემოუთავაზებია პროფ. დ. აგლაძეს და რომელიც ახლანდეს გადმოცემული დაბუღების მთავარი არსის ამოხსნაში დაგვეხმარება, „კვების გეგმა წარმოადგენს მეურნეობრივ-ორგანიზაციული გამოანგარიშებების ზოტექნიკურად დასაბუთებულ სისტემას, რომელიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო ცხოველების საკვებ საშუალებათა მიმართ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მეცხოველეობის განვითარებისათვის სახელმწიფოს დავალებათა შესრულება, მიღწეული იქნას ცხოველთა დიდი პროდუქტიულობა ოპტიმალური მწარმოებლობის გაძლიერება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში“. წინამდებარე კრებულის ერთ-ერთი შრომით გაუქმებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მარტოდენ შესატყვისი საკვების რაოდენობისაგან როდია დამოკიდებული, არამედ მეტად მნიშვნელოვანია აკრთვე საკვებთა საერთო ასორტიმენტი და ცალკეული საკვები საშუალების როგორც ქიმიური შედგენილობა (ცილების სტრუქტურა, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალური ნივთიერებები და სხვ.), ისე მათი მონელებადობა. ასეთი საკვები საშუალებების წარმოქმნაში უპირატესი მნიშვნელობისაა ის, რასაც ჩვეულებრივ—აგროტექნიკურ კომპლექსად მოიხსენიებენ ხოლმე; მეურნეობრივად სწორი და შედეგიანი გამორგებისათვის კი—ის, რასაც ჩვეულებრივად სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშად შეიცნობენ და მისი მოვლა-კვება-ექსპლოატაციის სისტემას სათანადო ცხოველთა პროდუქტიულობის შესაბამისად განსაზღვრავენ ხოლმე. მაშასადამე, მეცხოველეობისათვის აუცილებელი საკვების მყარი ბაზის დაგეგმვა და პრაქტიკულად კეთილმოწყობა გვერდს ვერ აუქცევს ვერც შესატყვისი კულტურების აგროტექნიკას (მოსავლიანობისა და მოსავლის გადიდებისათვის) და ვერც პირუტყვის კვების გეგმას (მოპოვებული საკვების გონივრული და მიზანდასახული გამოყენებისათვის), რომლებიც ურთიერთს მჭიდროდ დაუკავშირდებიან ხოლმე ყოველი სასოფლო-სამეურნეო სწარმოს პირუტყვის საკვებთა ბალანსის შემუშავების პროცესში და, ამდენად, პრაქტიკულად ასახავენ იმავე სასოფლო-სამეურნეო სწარმოს-მეცხოველეობის განვითარებისათვის წინასწარ შემუშავებულ გააზრებებს, ზოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის სახელწოდებით რომ არის ცხობილი.

ამ ნაშრომში სათანადო გააზრებათა საერთო ფონის ერთ ნაწილად გამოყენებულია ზოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი და მისი შესაბამისი კვების გეგმა, რომლებიც შეუმუშავებია შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრას (ასპირანტი ი. ქანთარია) ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობათა მეცხოველეობისათვის; ხოლო იმავე გააზრებათა საერთო ფონის კიდევ ერთი ნაწილი განსაზღვრა ზუგდიდის ადმინისტრაციული რაიონისათვის ჩვეულმა თავისებურებებმა: კლიმატურმა პირობებმა, მინდვრის კულტურათა სიმცირომ, სიმინდის მონოკულტურამ და სხვ. დასავიწყარი არ არის, რომ ამის მომდევნოდ გადმოცემული და განმარტებული თესვბრუნვა არ ამოწურავს საკვების მყარი ბაზის ცნებას იმ განსაზღვრებით, როგორც პროფ.




დ. აგლაძეს შემოთავაზებია, რადგან აქ ლაპარაკია მხოლოდ საკვებთა ფერმისპირა თესვებრუნვის ირგვლივ, იმ დროს, როდესაც საკვების მყარი ბაზა მოიცავს კიდევ რამდენიმე სხვა შემადგენელ ნაწილს (ბუნებრივი საკვებები, ვარგულეები, ერთობლივ მემცენარეობის ანარჩენები, ცენტრალიზებული მონარაგების საკვები საშუალებები). როგორც საკვებთა ფერმისპირა თესვებრუნვა (ე. ი. საკვების მყარი ბაზის ის შემადგენელი ნაწილი, რასაც პროფ. დ. აგლაძე „საგანგებოდ ორგანიზებულ საკვებმომოვება“ — ს უწოდებს), ჩვენი ეს რეკომენდაცია ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებისათვის იმით გამოირჩევა, რომ შეძლებისამებრ სრულია მიწის დატვირთვა და გამოყენება, თვალსაჩინოდ არის გაუმჯობესებული ნათესი ფართობების სტრუქტურა დიდად-მოსავლიანი კულტურების ჩართვით, რაც ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველებებისათვის საკვები მცენარეების მოსავლის გადიდებისაკენ არის გამიზნული.

ჩვენი აზრით, ზუგდიდის რაიონის ყველა კოლმეურნეობისათვის მისაღები უნდა იყოს აქვე მოთავსებული სანიმუშო სქემა საკვებთა ფერმისპირა თესვებრუნვისა, რომლის მთავარ ამოცანას—როგორც უკვე ითქვა—სრულიად არ წარმოადგენს შესატყვისი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს პირუტყვისათვის აუცილებელი საკვების მყარი ბაზის მაგიერობა, არამედ მხოლოდ იმ ნაწილის გასახიერება, რასაც „საგანგებოდ ორგანიზებული საკვებმომოვება“ ვუწოდებთ და რაც მოწოდებულია დააკმაყოფილოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, უწინარეს ყოვლისა, მწვანე (ნორჩი ბალახი) და წვნიანი (ტუბერები, ძირხეხენები, სილაჟი) საკვების საყუათო ნივთიერებების წილ.

საკვებთა ფერმისპირა, რვამინდვრიანი, თესვებრუნვა

(სქემა-პროექტი ზუგდიდის რაიონისათვის) —


- I სიმინდი, სოიაშეთესილი (სასილაჟედ), აღებისთანავე—მრავალწლოვანი პარკოსანი ბალახების ნარევი (იონჯა, სამყურა, კურდღლისფრჩხილა)
- II მრავალწლოვანი პარკოსანი ბალახების ნარევი—გამოყენების პირველი წელიწადი (სათიბად)
- III მრავალწლოვანი პარკოსანი ბალახების ნარევი—გამოყენების მეორე წელიწადი (სათიბად)
- IV მრავალწლოვანი პარკოსანი ბალახების ნარევი—გამოყენების მესამე წელიწადი (საძოვრად)
- V მრავალწლოვანი პარკოსანი ბალახების ნარევი—გამოყენების მეოთხე წელიწადი (სათიბად)
(შემოდგომაზე რატვის დათესვა, მწვანე საკვებად მომავალ გაზაფხულზე)
- VI საკვები ჯარხალი (წვნიან საკვებად), აღებისთანავე—ჰეავშერეული ბარდა (მწვანე საკვებად გაზაფხულზე)
- VII სიმინდი, სოიაშეთესილი (სასილაჟედ), აღებისთანავე—საკვები კომბოსტო (წვნიან საკვებად)
- VIII სიმინდი, სოიაშეთესილი (სასილაჟედ), აღებისთანავე—განმეორებითი სიმინდი, სოიაშეთესილი (სასილაჟედ).



თესვბრუნვის გარეშე—IX მიწავაშლა (ტუბერი—წვნიან საკვებად და მწვანე მასა—სილაჟად).

რამდენიმე შენიშვნა როგორც ზოგადი ხასიათისა, ისე ამა თუ იმ მწიგნობარისათვის კერძო მნიშვნელობისა—უნდა აღინიშნოს აგრეთვე ამ კონკრეტული თესვბრუნვის სქემასთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია, უწინარეს ყოვლისა, რომ საქართველოს დასავლეთი ნაწილის რაიონებში და, კერძოდ, ზუგდიდის რაიონში, სასოფლო-სამეურნეო პირუტყვისათვის უხეში საკვების მომარაგების საქმე, მისი ფაქტობრივი მდგომარეობით, ჯერ კიდევ სუსტსა და მოუწყვრებელ უბნად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ამ მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი ყოფილიყოს მარცვლეული კულტურებისათვის განკუთვნილი ფართობებისა და მოსავლის შეუმცირებლად. ამ შანაარსით დასახული ამოცანის გადაჭრის თვალსაჩინო საშუალებას წარმოადგენს ნათესი ბალახების ფართობების შექმნა, რაც წინამდებარე ნაშრომში მსჯელობის საგანი არ არის; უკეთუ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩამოვადგეთ სიტყვა უხეში საკვებისა და ნათესი ბალახების თაობაზე, ეს იმიტომ მოხდა, რომ ზუგდიდის კოლმეურნეობებისათვის ერთგვარად ტიპობრივი თესვბრუნვის დახიზნულებით შემოთავაზებულ ამ სქემაში გათვალისწინებულია ოთხი მინდორი ნათესი ბალახებისა, რომლებიც—უწინარეს ყოვლისა—მწვანე საკვებად არის ნაფარაუდები, მაგრამ—კონკრეტული ვითარებებისაგან დამოკიდებით—შესაძლოა, მთლიანად ან ნაწილობრივ, აგრეთვე უხეში საკვების (თივის) რეწვისათვის იქნას გამოყენებული. მსგავსადვე, მიუხედავად იმისა, რომ—ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის თანახმად—ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებში ცროხეულისათვის გათვალისწინებულია ბაგური (დაბმული ან დაუბმელი) შენახვის სისტემა—ზემოხსენებული სქემა, ნათესი ბალახების ოთხი მინდვრიდან, ორს საძოვრად ითვალისწინებს, რადგან—იმავე კონკრეტული ვითარებისაგან დამოკიდებით—გამოყენების ასეთი ყაიდაც არის მოსალოდნელი, შიგადაშიგ სათივედ თიბვასთან ერთად.

მაგრამ, როგორც უნდა იყოს ნათესი ბალახების მინდორთა გამოყენება ცალკეულ შემთხვევაში, მათი აგრეტექნიკისათვის საერთო სახელმძღვანელო დებულებად მაინც ის უნდა იყოს მიღებული, რომ ზუგდიდის რაიონში, ნიადაგის სიჭრელის გამო, შეცდომა იქნებოდა მრავალწლოვანი ბალახის მხოლოდ ერთი რომელიმე სახეობის თესვა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ჩვენში არსებული, მონაცემებით და წარმოების მოწინავეთა გამოცდილებით ცნობილია, რომ საქართველოს დასავლეთი ნაწილის დაბლობის ალუვიურსა და კარბონატულ ნიადაგებზე, მოსავლიანობით, ყველას სჭარბობს ლურჯი იონჯა, ხოლო ნარევიად თესვისას მისი საუკეთესი კომპონენტია კოინდარი; ეწერზე, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებზე, კარგად განვითარდება ხოლმე და თივის საკმაოდ კარგ მოსავალსაც გვაძლევს (8—10 ტონა) კურდღლისფრხილა, საძოვრის კოინდართან შერევით; დამაკმაყოფილებელი შედეგით ხსიათდება სამყურაც. ამით არის გამოწყვეული, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ თესვბრუნვის სქემაში მრავალწლოვანი პარკოსნების მინდვრებისათვის არჩევანის მიზნით დასახელებულია სამივე ეს მცენარე. ზუგდიდის რაიონის კოლმე-




ურნეობებისათვის ტიპობრივად გავარაუდებულ საკვებთა ფერმისპირა თესვ-
ბრუნვის ზემოთ გადმოცემულ სქემაში, მრავალწლოვანი ბალახის ნაკვეთი
გულისხმევია ლურჯი იონჯის და საძოვრის კოინდრის ნარევი.

დასავიწყარი არ არის, რომ მრავალწლოვანი პარკოსანი ბალახების
თესვა, თესვბრუნვასა და თესვბრუნვის გარეშე, არ უნდა შემოიფარგლოს
ხოლმე 1—2 წლის გამოყენების ვადით, რადგან ეს გაუმართლებელია მეურ-
ნეობრივი მოსახრებებითაც და ეკონომიური თვალსაზრისითაც. მრავალწლო-
ვანი პარკოსანი ბალახი ერთსა და იმავე ნაკვეთზე იმდენხანს უნდა დავტო-
ვოთ, ვიდრე მისი მოსავლიანობა და მოსავალი შემცირებას არ დაიწყებს;
ხოლო, ამ შინაარსით, ვადის შეძლებისამებრ გასახანგრძლივებლად აუცილე-
ბელია ვარაუდის გაწევა იმისათვის, თუ რამდენად ღრმა და ნოყიერია ნია-
დაგი, როგორია გამოყენებული აგროტექნიკა და, სახელდობრ, რას მოითხოვს
მეურნეობრივი მოსახრებები ამ კულტურისაგან. ჩვენს მიერ შემუშავებული
თესვბრუნვის სტრუქტურით ჩანს, რომ იონჯა უნდა დაითესოს ხოლმე სასი-
ლაჟედ განკუთვნილი სიმინდის მოსავლის აღებისთანავე ხალასად, ჰექტარზე
15 - 20 კგ-ის რაოდენობით.

უკვე აღინიშნა, რომ მიუხედავად ბუნებრივი გარემოს პირობათა თვალ-
საჩინო მრავალფეროვნების და სიმდიდრისა, ზუგდიდის რაიონის მემინდვრე-
ობა მეტად ღარიბი და ერთფეროვანია, რაც იმით მქალაქდება, რომ—მაგა-
ლითად—მარცვლეულის რეწვა (წარმოება) მთლიანად სიმინდის კულტურას
ეყრდნობა. ამ გარემოებამ ერთგვარი გამოსახულება აპოვა ჩვენს მიერ შემო-
თავაზებულ ამ თესვბრუნვაშიც; უნდა შევნიშნოთ კი, რომ ჩვენი ორიენტა-
ცია საკვებთა ფერმისპირა თესვბრუნვაში სიმინდით ნათესი მინდვრების შე-
დარებით სიმრავლისაკენ (სამი წინდორი, ერთი ან ორი მოსავლით) სრულიად
სხვა მოსახრებით არის ნაკარნახევი, სახელდობრ: გარდა იმისა, რომ დამკ-
ვიდრებული ტრადიციების თანახმად, კოლხეთსა და კერიოდ, ზუგდიდის ად-
მინისტრაციულ რაიონში სიმინდი, ოდითვე, წარმოადგენდა როგორც სასურ-
სათო. ისე საკვებ პროდუქტა—და ეს ტრადიცია საკმაოდ ბევრი მოსახრების
გამო ხელსაქმევი არ არის—ის იმიტომაც უნდა გამოვიყენოთ ფართოდ, რომ
წლის ყოველ ნაწილში გამოგვადგება ამა თუ იმ სახის საკვებად (უხეში, კონ-
ცენტრირებული, წენიანი და მწვანე საკვები) როგორც ახალმოზარდის, ისე
ზრდასრული ცხოველებისათვის (მეწველი ფურები, მუშაპირუტყვი) ბაგუ-
რი-დაბნული თუ ბაგური-დაუბნეელი შენახვისას. ნათქვამს ისიც უნდა დაემა-
ტოს, რომ მეორე მოსავლის სიმინდი, როგორც სასილაჟე მასალა, რენეჟავას
სიუხვის გამო, დიეტური თვისებებით ხასიათდება.


შესაძლოა ეჭვმიტანილი იქნას ჩვენს მიერ გავარაუდებული მოსავლიან-
ობა და მოსავალი, რომელია მაჩვენებლები აქ არ მოგვიხსენებია, მაგრამ
რომლებიც საფუძვლად დაედო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტი-
ტუტის მკვლევარების კათედრის მიერ გაანგარიშებულ საკვებთა ბალანსებს.
ვფიქრობთ, ასეთი ეჭვები დასაბუთებული ვერ აღმოჩნდება, თუ კი გავითვა-
ლისწინებთ, რომ სიმინდის მოსავლის გადიდება (ჩვეულებრივ საშუალოსთან
შედარებით) გამოწვეული იქნება, ერთის ძხრივ, თესვბრუნვაში მისი ჩართ-
ვით, წინამორბედის სწორად შერჩევით და ჯეროვანი აგროტექნიკის კომპ-



ლექსის გამოყენებით, ხოლო მეორეს მხრივ, იმ პრაქტიკული გერგილი აუცილებლად დაცვით, რომელიც ნაგულისხმევი გვაქვს სიმინდის მოსავლის მისაღებად და დღევანდელი წინსვლისთვის. დადგინდა, სახელდობრ, რომ სიმინდის მოსავლის ჰექტარზე უნდა ნაწილი, ქიმიური შედგენილობით და ყუათიანობით, არ ჩამოუვარდება ზედა ნაწილს; ამიტომ, მექანიზაციის დღევანდელ შესაძლებლობათა პირობებში ლეროს ქვედა ნაწილის გამოყენებლობა საერთოდაც და მით უმეტეს მომდევნო კულტურების ნაკვეთის გასანთავისუფლებლად ნარჩენებისაგან, ყოვლად დაუშვებელია. მაშასადამე, სიმინდი—ჩვეულებრივზე მეტად—უნდა მოიჭრას ხოლმე მიწის ზედაპირზე.

კოლხეთში, კერძოდ კი, ზუგდიდის ადმინისტრაციულ რაიონში გეგმითაა გრძელი პერიოდის არსებობა (270 დღე) გეოკარანახებს ამ ფაქტზე ყურადღების შეჩერებას, რათა მოწინავე მეცნიერების მიღწევათა დანერგვით შევსლოთ მისი ჯეროვანი გამოყენება. საკვებთა ფერმისპირა თესვებრუნვაში, რომლის ტიპობრივ სქემას ვთავაზობთ ზუგდიდის კოლმეურნეობებს წინამდებარე ნაშრომით, ამ დებულებამ იმ მხრივ ჰპოვა გამოსახულება, რომ გაზაფხულზე სასილაჟედ დათესილი სოიაშერეული სიმინდის მოსავლის აღებიდან, ვიდრე ადრე შემოდგომაზე პირველ რთვილამდე, პერიოდი 205 დღეს აღემატება, რაც სავსებითაა საკმარისია კულტურათა მთელი წყების მოსავლის მისაღებად. კერძოდ კი—სასილაჟედ განკუთვნილი სოიაშეთესილი სიმინდის მოსავლანად. ნათქვამით აშკარაა, თუ რა მნიშვნელობა უნდა მიეკუთვნოს საკვების ბაზის გამტკიცებისათვის სასილაჟე სიმინდის მეორე მოსავლის მიღების პრაქტიკას და, მაშასადამე, ამ ღონისძიებას ჩვენს მიერ შემოთავაზებული თესვებრუნვის პროექტის შეფასებაში. უკეთეს მხედველობაში გვექნება მეძროხეობაში დასამკვიდრებელი პროდუქტიულობა (მეძრძეულობა), რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრას გაუმიზნავს სათანადო ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსით, მაშინ ჩვენი გააზრების ამ ნაწილის დასაბუთება სხვა რამ არგუმენტაციას აღარ უნდა საჭიროებდეს.


ამავე დროს, თუ ყოველივე შემოთქმული ამართლებს შემოთავაზებული თესვებრუნვის სტრუქტურაში სიმინდის ნათესთა წედარებით დიდ ხვედრითს წონას, რადგან ეს საკვები სახამებლის, შაქრისა და ნაწილობრივ, ცხიმის დიდი შემცველობით გამოირჩევა (თუნდაც აღარაფერი ვთქვათ, მეურნეობრივი თვალსაზრისით, მის სხვა უპირატესობათა თაობაზე) არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოგვრჩენიყო მხედველობიდან მისი—როგორც საკვების—ის უარყოფითი მხარე, რომ ცილების მცირე შემცველობით ხასიათდება. აქ არ უნდა წარმოადგენდეს აუცილებლობას იმის მიმოხილვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცილას ცხოველის არსებობისა, სიცოცხლიერებისა და პროდუქტიულობისათვის; მაგრამ, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სწორედ ამ მნიშვნელობის გათვალისწინებამ გეოკარანახა თესვებრუნვაში სასილაჟედ განკუთვნილი სიმინდის ნათესებში სოიას შერევა. ნათქვამს უნდა დაერთოს ის მოსაზრებაც, რომ—როგორც ცნობილია—მარცვლოვანი და პარკოსანი მცენარეების ნარევი ადვილად დასასილაჟებელ ნედლეულს წარმოადგენს ხოლმე, თანაც—როგორც მზაპროდუქტია—საყუათო ნივთიერებებით (სოიას ადვილმოსანელებელი



ცილებით და სიმინდის ნახშირწყლებით) მდიდარი საკვებია. შესაძლებელი დაეჭვებისა და შესიტყვების თავიდან ასაცილებლად, აქვე უნდა ითქვას რომ სიმინდისა და სიიას შერევით თესვა არ წარმოადგენს ამ მცენარეების განვითარებისათვის შემაფერხებელ ილეთს, რადგან ერთი მაღლადშარდია, ხოლო მეორე—დაბლამშარდი და, მაშასადამე, ვთქვათ, სინათლისა და ჰაერის რეჟიმით სარგებლობის მხრივ ერთიმეორის კონკურენტად ვერ გამოვლენ, ხოლო პირველისაგან მეორის დაჩრდილვის შესაძლებლობა, ცნობილ გარემოებათა გამო, გამოთიშულია.

ერთობლივ კოლხეთსა და, კერძოდ, ზუგდიდის რაიონში, პირუტყვისათვის საკვების მყარი ბაზის შესაქმნელად, მეტად მნიშვნელოვანი რეზერვია შემოდგომა-ზამთრისა და ადრე გაზაფხულის პერიოდის გამოყენება, ცილითა და ვიტამინებით მდიდარი ერთწლოვანი პარკოსანი ბალახების მოსავლის მიღება. ეს შესაძლებლობა—სამწუხაროდ—ან სრულიად არა ანდა ფრიად უკმარისად არის გამოყენებული. მოსავლის აღების შემდეგ, სახნავი ნაკვეთები, შემოდგომა-ზამთრისა და ადრე გაზაფხულის პერიოდის მთელ მანძილზე—როგორც უკვე აღინიშნა—პირუტყვის საიოგრად იყო—და არის ხოლმე—განკუთვნილი. ამ პერიოდში, არცთუ მცირე რაოდენობის სითბო და მზის სხივი დარჩება ხოლმე გამოუყენებელი სოფლის მეურნეობაში; ამავე დროს, არსებობს შესაძლებლობა, რათა მათი ჯგეროვანი აღრიცხვით დადგენილი ე. წ. „აქტიურ ტემპერატურათა ჯამი“-ს შესაბამისად შევარჩიოთ მცენარეთა ასორტიმენტი და სათანადო თესვა-მოყვანა ვაწარმოოთ, მეურნეობრივი ინტერესებიდან გამომდინარეობით.

ამით არის გამოწვეული, რომ ჩვენს მიერ შემუშავებულ თესვბრუნვაში გათვალისწინებულია, გვიან შემოდგომა-ზამთრისა და ადრე გაზაფხულის პერიოდის გამოყენებით, პარკოსანი ბალახების შუალედი ნათესები, რაც მეცხოველეობას უზრუნველყოფს ვიტამინებითა და ცილებით მდიდარი მწვანე საკვებით; სწორედ ასეთი საკვების ნაკლებობა იგრძნობა, დღეს-დღეობით, ზუგდიდის რაიონში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საკმაოდ დიდი მასის მიღების სრული შესაძლებლობა, თუ კი სწორად შევარჩიეთ თუ სად, როდის და რომელი სასოფლო-სამეურნეო მცენარე დავთესოთ. სათანადო ცდების მონაცემებით და აგრეთვე პრაქტიკით ცნობილია, რომ მსგავსს შემთხვევებში კარგ მასას წარმოქმნის ხოლმე ცერცველა, ბარდა და ცერცვი, ზამთრობით ტენის დიდი რაოდენობის პირობებში, ამ მცენარეთა ფოთლების დასაცავად დაზიანებისაგან, შედეგიანად გამოიყენება ჭვავის ან ქერის შეთესვა; მარცვლოვანთა შერევა გამართლებულია მეურნეობრივი თვალსაზრისითაც, რადგან ასეთ ნათესებს მეურნეობა საჭიროებისამებრ გამოიყენებს ხოლმე მწვანე საკვებად, გასაძოვებლად, სილაჟად ან კიდევ, უკიდურეს შემთხვევაში, უხეშ საკვებად. ჩვენი მაგალითის მსგავსად, საკვებთა ფერმისპირა თესვბრუნვის დატვირთვა შუალედი კულტურებით იმიტომაც არის წასახალისებელი ხერხი, რომ, შესატყვისი მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილი ნაწვერალი და ფესვთა სისტემის თვალსაჩინოდ დიდი მასა ჩაიხვენება და ამით ნიადაგი ორგანული ნივთიერებებით გამდიდრდება, რაც ყოველთვის გასათვალისწინ-




ნებელია მომდევნო კულტურისათვის ნიადაგის განოციერებისას მინერალური სასუქებით.

მიწის ფართობის ყოველი ერთეულისაგან შეძლებისამებრ მეტი მიწის მიღება—მცირე დანახარჯების პირობებში—და მიწის ინტენსიური გამოყენება, ყველა დროის სოფლის მეურნეთა დიდი სურვილი იყო ხოლმე და ამ მიზნით მიუმართნიათ კიდევ სხვადასხვა მრავალი ხერხისა თუ საშუალებებისათვის. საბჭოთა კავშირის ვრცელ ტერიტორიაზე არსებობს, ერთის მხრივ, რაიონები, სადაც წლის მანიილზე ერთი ნორმული მოსავლის მისაღებად იბრძვიან; ხოლო—მეორეს მხრივ—ისეთი რაიონებიც არის, სადაც ბუნებრივი გარემო ორი და სამი მოსავლის მიღების შესაძლებლობას ქმნის, ამ მიზანსაღი ალსანიშნავია საქართველო, და, კერძოდ, ზუგდიდის რაიონი, საქართველოს დასავლეთი ნაწილის ასეთ რაიონებში, სექტემბერ-ოქტომბრის მანძილზე, სავსებით საკმარისია სითბო, ტენი და, მრავალ შემთხვევაში, აგრეთვე ნიადაგის საყუათო ნივთიერებანი, რათა მეორე მოსავლისათვის კულტურების შეორჩევა არ გაგვიძნეოდეს. ამიტომ, უპატიებელ შეცდომად და ვასაკივლელ დაუდევრობად უნდა ჩავთვალოთ ხოლმე, როდესაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა რეწვის ფარგლის გასადიდებლად ამ შესაძლებლობებს არ გამოიყენებენ.

ნათესი ბალახებისათვის კუთვნილი ადგილის სწორად განსაზღვრა, სხვა კულტურათა შორის მათი შესაბამისი ხვედრითი წონის ჯგროვნად დადგენა და მთავართა შორის ჩასართავი შუალედი კულტურების გონივრული და გეგმაშეწონილი შუალედი კულტურების გამოყენება, რაც ყოველთვის შეფარდებული უნდა იყოს ხოლმე ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის პრაქტიკულად ამსახველ კვების გეგმასა და საკვებთა ბალანსთან—სწორედ ის მტკიცე დასაყრდენი იქნება, რომელმაც უნდა შეგვადლებინოს მიწათმოქმედების (მემცენარეობის) გარდაქმნა იმ ყაიდაზე, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მიგვითითებს.


განვლილი პერიოდის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ თესვბრუნვების დანერგვის პრაქტიკაში მუდამ წარმოადგენდა დაბრკოლებას—საერთოდ და, კერძოდ, საკვები ბალახების—მეთესლეობის საქმის მოუფგარებლობა; ეს დაბრკოლება არც ამჟამად არის გადალახული. ამიტომ თესვბრუნვით ვათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა თესლისაათვის ზრუნვა შესატყვისი კოლმეურნეობის ზრუნვის თავაუცილებელი საგანი უნდა იყოს.

დასასრულს, ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას ტომინამბურის (მიწავაშლას) ირგვლივ, რომელიც ჩვენ მიერ, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობათათვის ტიპობრივის დანიშნულებით, მემუშავებულ საკვებთა ფერმისპირა თესვბრუნვაში სქემის მინდორთა გარეშეა გამოტანილი. მიწავაშლა გარემოპირობებისადმი შემგუებლობის დიდი უნარით გამოირჩევა და ზუგდიდის ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე ნიადაგისა თუ კლიმატის პირობებში კარგად იზრდება, ვითარდება და საგრძნობლად კარგი მოსავლიანობითაც ხასიათდება; ხელსაყრელია მისი მოყვანა სხვა კულტურისათვის გამოუყენებელ ნაკვეთებზე. ის ორ, შეტად მნიშვნელოვან, პროდუქტს გვაძლევს: მიწისხედა



მწვანე მასას, რომელიც სასილაჟედ გამოიყენება და ტუბერს, რომელიც კარგად ზამთრობს მიწაში და, ამიტომ, შესაძლოა საჭიროებისამებრ ნეკროფილი წილ ამოვიდოთ ხოლმე. გარდა ძროხეულისათვის წვნიან საკვებად შენახვის ბისა ბაგური (დაბმულ ან დაუბმელი) შენახვის პერიოდში, ღორისათვის — მიწაში დატოვებული ტოპინამბური — კარგ საძოვარსაც წარმოადგენს ხოლმე. წინამდებარე ნაშრომისათვის ამ კრებულში განკუთვნილი ზომის გამო და აგრეთვე ზოგიერთი ტექნიკური გარემოების შედეგად, იძულებული ვართ მოვერიდოთ ზემოთ განმარტებული, თესვბრუნვის სქემის გრაფიკულ ილუსტრაციას.

არ შეეჩერდით აგრეთვე იმის მიმოხილვაზე, თუ — ვთქვათ, ერთჰექტარია-ნი მინდვრების შემცველი ასეთი თესვბრუნვა რამდენად უზრუნველყოფს, ვთქვათ, ერთ სტრუქტურულ ფუძეს აუცილებელი საკვებით (რაოდენობისა და ყუათიანობის მხრივ), რადგან ეს საკითხები საკვებთა ბალანსის საკითხებია და აქ მონათხრობისაგან განსხვავებული ასპექტით განიხილება. ამ შინაარსის ჩვენი მონაცემები ჯეროვნად აქვს გამოყენებული შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრას თავის მუშაობაში ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის დარგობრივი და წარმოებითი სპეციალიზაციის პროექტის დასაზუსტებლად.



ა. ნარკომავშილი

**ზოგობითი საკითხი ზოგობენიკურ-საოგბანიზაციო
ღონისძიებათა კომპლექსთან დაკავშირებით,
სკკ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის
მარტის პლენუმის დადგენილებათა ფონზე**

ზოგობენიკურ-საოგბანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი—ოგობრც მას განმარტავენ—წარმოადგენს თეორიულ მოსაზრებათა და პრაქტიკულად ადვილგასახორციელებელი ხერხების ერთგვარ სისტემას, რომელიც თანამედროვე ზოგობენიკის მონაცემებს ეყრდნობა და მიზნად აქვს დასახული მეცხოველეობის ამა თუ იმ დარგის მეურნეობრივად სწორი მოწყობის ღონისძიებათა დასახვა, შესატყვისი ტერიტორიული ერთეულის სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან სათანადო შეხამებით, თანაც სავარგულთა ყოველ ერთეულზე პროდუქციის მაქსიმუმის მოპოვება, შრომისა და სახსრების დანახარჯთა მინიმუმით.

ამ ცნების ასეთგვარი განსაზღვრება მართებულსა და სწორ ორიენტაციას სთავაზობს სოფლის მეურნეობის ყოველ მუშაკს—მეცნიერსა თუ პრაქტიკოსს—და სრულიად ბუნებრივად მიმართავს მათს შემოქმედებით საქმიანობას ჭეშმარიტი ნიშანსვეტით—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში მითითებული გზით. პროგრამა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნისმის მშენებლობაში მეცნიერების გამოყენება საზოგადოების მწარმოებლური ძალების მძლავრი განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება; მეცნიერებაზე დაყრდნობით, მოწინავეთა გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლოა მივადწიოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეწვის (წარმოების) ისეთ ღონეს, რაც აუცილებელია კომუნისმის სრული გამარჯვებისათვის.


მეცნიერების განვითარება და სახალხო მეურნეობაში მისი მიღწევების დანერგვა ყოველთვის იყო, არის და იქნება ჩვენი პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი. ამის დადასტურებაა ამახ. ლ. ბრეჟნევის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმზე და პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკთა მოვალეობაა, გააფართოვონ თეორიული კვლევა, აამაღლონ მისი ღონე და შე-



დევიანობა, ყოველი ღონისძიებით დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და მეურნეობებს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე პრაქტიკის გამოყენებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის“.

სოფლის მეურნეობა საზოგადოებრივი წარმოების მეტად რთული და მრავალფეროვანი დარგია; ისე, როგორც მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაშიც ეკონომიკური მრავალი კანონი მოქმედებს და ამათ გარდა—მრეწველობისაგან განსხვავებით—აგრეთვე საბუნებისმეტყველო კანონები, რომლებიც ფართოდ არიან ჩართული მატერიალური წარმოების ამ სფეროში როგორც სპეციფიკური, ისე საერთო და საყოველთაო ანუ უნივერსალური კანონების სახედ. აქ ადამიანს საქმე აქვს მიწასთან, მცენარესთან, ცხოველთან არა მხოლოდ როგორც წარმოების საშუალებასთან, არამედ აგრეთვე როგორც მისი შრომის პროდუქტთანაც, თითოეულს თავისი განვითარების კანონზომიერება, ბიოლოგიური თავისებურება რომ ახასიათებს და შემდგომი არსებობა-განვითარებისათვის ზუსტად გარკვეულ პირობებს რომ მოითხოვს. ამიტომ არის, რომ ფრიად გულისხმიერსა და მოფიქრებულ დამოკიდებულებას საჭიროებს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოწოდებული ღონისძიების გახორციელება. სოფლის მეურნეობის წარმოება მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემაზე დავაფუძნოთო—იმას ნიშნავს, რომ აწარმოო სოფლის მეურნეობა ბუნებისა და საზოგადოების კანონთა შინაარსის შესაბამისად, შეიცნო და გამოიყენო ისინი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეწვისათვის მაქსიმუმით და შრომისა თუ სახსრების დანახარჯთა მინიმუმით. აქ ყოველად დაუშვებელია დოგმატიზმი, სუბიექტივიზმი და მზამზარეული რეცეპტების გამოწერა; პირიქით კი, აუცილებელია ყოველი რაიონის, ყოველი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს (კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის) ყოველი მიკრორაიონის და, ხშირად, ცალკეული მცენარის კულტურისა თუ პირუტყვის სახეობისათვის შესაბამისი კონკრეტული პირობების შესწავლა-გათვალისწინება, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების დადგენა-შემუშავება, რათა თავი არ იჩინოს საქმიანადმი შაბლონურმა მიდგომამ და კამპანიურობამ, არიფანაობამ, რაც დამღუპველია სოფლის მეურნეობისათვის.

ზოოტექნიკურ-საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსის ცნებისა და შინაარსის გაშუქებისას საზგასმულია, რომ ეს კომპლექსი უნდა შემუშავდეს ხოლმე ყოველი ყვერბი-სათვის ცალკე, თანაც ტერიტორიულად შემოთავაზებულია ქართული ენის ლექსიკის სიტყვა—კერა-ს ეს სინონიმი იმ გადატანითი მნიშვნელობით, რომ ეს არის ადგილი (ე. ი. გარკვეული ტერიტორიული ერთეული), სადაც რაიმე მოვლენა აღიძვრება, ვითარდება, ვრცელდება, თავს იყრის; ასეთ მოვლენებად ნაგულისხმევია მეცხოველეობის წარმოების და მისი პროდუქციის რეწვის ერთობლივი ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც ყოველი კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის (ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მიწითსარგებლობის სახდერები, რაიონის, ოლქის და სხვ. ტერიტორია) ფარგლებში მეტად თუ ნაკლებად თავისებური და განსხვავებული არის ხოლმე მრავალი ფაქტორის ზემოქმედებისაგან და-



მოკიდებით. სოფლის მეურნეობის წიაღისეული ამ ფაქტორებიდან, მეცხოველეობის არსებობისა და განვითარებისათვის უწინარესი მნიშვნელობისაა მიწათმოქმედება, რომლის განვითარებულობის დონე განსაზღვრავს, პირველ რიგად, სასოფლო-სამეურნეო ცხოველის—როგორც ცოცხალი ორგანიზმის—საარსებო გარემოს სათანადო რაობას. ჩვენს დროში, ერთობლივ სოფლის მეურნეობის მსგავსად, მიწათმოქმედებაც მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

ხოლო ეს უკანასკნელი შეცნობილ უნდა იქნას, როგორც აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსაყვანი ყველა მცენარის გონივრულსა და ფართო კულტურას, შესატყვისი ყვერბის ფარგლებში არსებული ბუნებრივ-ეკონომიკური კონკრეტული პირობების შესაბამისად, ნიადაგის ნაყოფიერების გამუდმებული გაძლიერების, მოსავლიანობის გაუმჯობესებისა და მოსავლის ვადიდების მეშვეობით. ასეთგვარად გააზრებულმა და დანერგილმა მიწათმოქმედების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ამავ ყვერბის მეცხოველეობა მისთვის აუცილებელი საკვების მყარი ბაზით, სადაც სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა კულტურის გარკვეული ანარჩენების გარდა, თვალსაჩინო ადგილი უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ბუნებრივ საკვებ სავარგულებს (სათიბი, საძოვარი, საბალახო), რომელთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის სისტემატური ზრუნვა გონივრული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობისათვის საკვების მყარი ბაზის შექმნა-გამტკიცების ერთ-ერთი გარდუვალი ელემენტი უნდა იყოს. სწორედ ეს არის საიმედო გზა იმის მისაღწევად, რაც პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის მოწოდებული ლოზუნგებით არის შინაარსობრივად გათვალისწინებული და, საბოლოო ჯამად, იმისკენ მოგვიწოდებს, რათა მიღწეულ იქნას შესატყვისი პროდუქციის მაქსიმუმი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ყოველ ერთეულზე, შრომისა და სახსართა დანახარჯების მინიმუმით.

წინამდებარე „შრომათა კრებული“-ს ერთ-ერთ ნაშრომში (იხ. დოკ. რ. კვიციანიას შრომა) მიმოხილულია ზოოტექნიკაში წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები და მეცნიერ მუშაკთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა რაციონალურ (ნორმირებულ) კვებასთან დაკავშირებით, საიდანაც საკმაოდ ბევრი ისეთი სახელმძღვანელო დასკვნა უნდა გაკეთდეს, რომელთა უგულებელყოფა შეუძლებელია მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავებისას, უკეთეს გონივრულად აწყობილი მიწათმოქმედება გონივრულადვე წარმოებულ იმეცხოველეობისათვის საკვების მყარ ბაზაა უნდა ქმნიდეს. ამ ნაშრომში მსჯელობის მთავარი ასპექტია სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ნორმირებული (რაციონალური) კვების ჯეროვნად მოწესრიგებისათვის გასათვალისწინებელი ფიზიოლოგიური და ქიმიური შინაარსის ის მხარეები, რომლებიც სათანადო ვარაუდში ჩასაგდება ყოველთვის, როდესაც—ერთობლივ მიწათმოქმედების რკალში—პირუტყვისათვის საკვების მყარი ბაზის უზრუნველყოფად მინდვრისა და საკვებთა ფერმისპირა თესვბრუნვების სქემების შემუშავებას შევუდგებით. ამავ კრებულში მოთავსებულია ნაშრომი (იხ. დოკ. ა. ჯაფარიძის შრომა), რომელიც იმის ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ, თუ რაგვა-



რი კონტექსტით უნდა გავახორციელოთ ხოლმე სრულიად გარკვეული სახელი ათის ყვერბის პირობებში ერთობლივ მიწათმოქმედების ის ფუნქციონირებასა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის საკვების მყარი ბაზის შექმნით არის ნაგულისხმევი. ამ ადგილას, ფიქრობთ, სრულიად ზედმეტი იქნებოდა მითითებული ნაშრომების შემდგომი კომენტირება როგორც მათი მეცნიერული ხარისხის, ისე პრაქტიკული ღირებულების თვალსაზრისით; ეს, ჩვენი აზრით, კომენტირების გარეშეც სავსებით აშკარაა.

მაგრამ, ვინაიდან ყოველივე ეს მხოლოდ ცალკეული მაგალითია, თანაც კერძო (ანუ სპეციფიკური) კანონების იმ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელიც ასახავს ხოლმე კონკრეტული სპეციფიკური მოვლენების ურთიერთკავშირს, ჩვენთვის კი—წინამდებარე ნაშრომის შინაარსობრივ ფარგლებში—მნიშვნელოვანია უწინარეს ყოვლისა, მოვლენათა უფრო დიდი ჯგუფისათვის დამახასიათებელი საერთო კანონზომიერებანი, ამიტომ აუცილებელი იქნება მოვიშველიოთ ისტორიზმი, ე. ი. პრინციპი საგნებისა და მოვლენების შეცნობისა, მათი განვითარების პროცესში, მათი დაფარგების განმსაზღვრელ კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია გავისხენოთ, რომ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სისტემებმა ჩვენში, ისე როგორც ყველა ქვეყანაში, იმ შინაარსის ისეთი გარკვეული ცვლილებები განიცადა, რომელთა რაობას მათთვის შერქმეული სახელწოდებები ასახავს: „სანასვენო“, „სანაჩხატო“, „სანეულო“, „ნაყოფნონაცვლეობითი“ სისტემები, „ნათესბალახიანი თესვბრუნვა“ და სხვ. ასევე მეცხოველეობაში: საძოვრული, ქოჩადმავლურობით დაწყებული და დღევანდლობამდე მოღწეული მომთაბარული, საძოვრული სტაციონარული; ბაგური, მისი სახენაირობებით: ბაგურ-საძოვრული, ბაგურ-ბანაკური, ბაგურ-დაბმული, ბაგურ-დაუბმელი საძოვრულ-ბანაკური და კიდევ სხვა სახენაირობანი. ცნობილია, რომ მიწათმოქმედებას, ისტორიულად, საფუძველი ჩაეყარა მდინარისპირა ვაკე ქალებში და, მეურნეობის იმჟამინდელი ექსტენსიური ხასიათის გამო მიწის ნაყოფიერების შემცირების შემთხვევებში, ადამიანები მახლობელი ტყის გაჩხვას და მიწის ახალი ნაკვეთების ათვისებას დაიწყებდნენ ხოლმე; ტყის გაჩხვასთან ერთად, მიწათმოქმედი ადამიანი, ასეთგვარად, ბარიდან თანდათანობით მიიწევდა მალლობებისაკენ, ვიდრე მიაღწევდა ალბურ ზონას, სადაც უკვე მიწათმოქმედება ხელსაყრელი აღარ იყო და იქ დაიწყებოდა ისევ ბარისაკენ მოტრიალება.

დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს იმის შემჩნევა და გააზრება, რომ—განსაკუთრებით—საქართველოს სსრ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში, მისი ბუნებრივი გარემოს ნრავალფეროვანების და ისტორიულ-ეკონომიკურ-კულტურული ყოფიერების გრძელ მანძილზე მეტად სხვაობრივ ვითარებათა გამო, სოფლის მეურნეობაში, სადღეისოდ საგრძნობლად რთული ისეთი გარემოებები აღინიშნება, რომელთა შორის გარკვეული ნაწილი წარსულის გადმონაშთია და თანამედროვეობისათვის შეუფერებელი, ხოლო უფრო მეტი ნაწილი—ამჟამინდელიობით განსაზღვრული სიახლის ჩანასახია და შემდ-



უმომავლოდ განვითარებას მოითხოვს. ამ ადგილას საკითხი მიწათმოქმედების შენახვა და, მაგალითისათვის თუ კონკრეტულობისათვის, აუცილებელია მხედველობის დასრულება, რომ ხსენებულ გადმონაშთთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს მხოლოდ ის მიწები, რომლებზეც უნდა იქნას მიწის მფლობელობის უფლება. უწინ მდიდარი ტყეების უმოწყალო გაჩეხვა, რამაც ხელი შეუწყო ქართული თუ წყლისეული ეროვნის მოვლენებს, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თვალსაჩინოდ დიდი ფართობი რომ დაიქვემდებარა და, ნაწილობრივ, დღესაც იქვემდებარებს. ეროვნის მოვლენა აქ იმიტომ წამოგწიეთ წინა პლანზე, რომ — მსგავსი შინაარსის რამდენიმე სხვა საკითხთან ერთად — ის უშუალო მნიშვნელობისაა მიწის სრულად და გონივრულად გამოყენებისათვის, ხოლო — როგორც ცნობილია და თვით სახელწოდებაც მიგვითითებს — მიწათმოქმედება განსაკუთრებით არის დაკავშირებული და დამოკიდებული მიწისაგან, წარმოების ამ მთავარი საშუალებისაგან. ეს კი იმაზე ზიგვითითებს, რომ აუცილებელია შემუშავდეს მიწათმოქმედების (და აგრეთვე — როგორც ცოტა ქვემოთ ვნახავთ — მეცხოველეობის) ისეთი სისტემა, სადაც გათვალისწინებული იქნება ნიადაგი, რელიეფი, ბუნებრივ-ეკონომიკური, მეურნეობრივ-ორგანიზაციული და სხვა პირობები. ამდაგვარ გათვალისწინებას თავისი ელემენტების რთული და ძრავალმხრივი კომპლექსი გააჩნია (ნიადაგის დამუშავება, განოყიერება, მორწყვა, მექანიზაციის დონე, ქარსაცავი ნარგავბანი. მინდვრად და ფერმისპირა თესვბრუნვები და სხვ.), რომლის მეცნიერული დასაბუთება, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, უპირატესად, სპეციფიკურ ანუ კერძო კანონებს ემყარება, მაგრამ ვერც საერთო კანონებს აუქცევს გვერდს და, გაზოგადება-დასკვნების სისწორისათვის, შემეცნების საყოველთაო კანონებითაც უნდა სარგებლობდეს, რადგან — წინააღმდეგ შემთხვევაში — ამოღ და უშედეგო იქნება ჩვენი მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილებათა გახორციელებისათვის.

ცნობილია, რომ ადამიანმა მიწის დამუშავება დაიწყო სრულიად მარტივი იარაღებით, რომლებიც დასაწყისში ან მთლიანად ხისა იყო ანდა ბოლოზე ქვის ბუნიკი ჰქონდა. ამდაგვარი ე. წ. „თოხითი მიწათმოქმედების“ ნაშთები დედამიწის მრავალ ადგილას გვხვდება და მისთვის დამახასიათებელი ის ყოფილა, რომ ყოველგვარი სამუშაო ადამიანის კუნთების ძალით შესრულდებოდა ხოლმე. ჯერ ისევ მონადირის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის, ერთგვარად დამატებითი საქმიანობის მნიშვნელობის მქონებელი ეს „თოხითი მიწათმოქმედება“ ესაწყისება ნეოლითის (ქვის ახალი ხანა) პერიოდს და პირველყოფილ თემურ წყობილებას; გაცილებით უფრო გვიან აღმოცენდა კლასობრივი საზოგადოების ე. წ. ყანობრული (საყანობირო) მიწათმოქმედება, რომელიც ლითონის იარაღისა და უკვე გაშინაურებული ცხოველების მუშაპირუტყვად გამოყენების ხანასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რადგან ასეთი მიწათმოქმედება ცოცხალ გამწვევ ძალას მოითხოვდა. საყანობირო (ყანობირული) მიწათმოქმედება საზოგადოებრივი წარმოების მთავარ სახეს წარმოადგენდა როგორც მონათმფლობელურ, ისე ფეოდალურ საზოგადოებაში.



ცნობილია, რომ მიუხედავად საყანობირო (ყანობირო) მიწათმოქმედების ფართოდ გავრცელებისა, იმჟამად, ძლიერ ნელა ვითარდებოდა წითლოქმედო ხელსაწყო-იარაღები; მონათმფლობელური მიწათმოქმედებისა და გაბატონებული კავი—რომელიც მიწის დასამუშავებლად ხისგან გამოთლილი იარაღი იყო და მხოლოდ ცალკეული ნაწილები (სახნისი) ჰქონდა ლითონისაგან გაკეთებული—ფეოდალურ მიწათმოქმედებაშიც გვხვდება რკინის გუთანთან ერთად, თუმცა ამ უკანასკნელმა ჯერ ისევ მონათმფლობელობისა და იწყო აქა-იქ ფეხის მოკიდება (ჩინეთი, რომი, ძველი საბერძნეთი). გუთანთან შედარებით, კიდევ უფრო ნელი ტემპით ხასიათდება სამიწათმოქმედო სხვა ხელსაწყო-იარაღების ევოლუცია მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმამდე განვლილი დროის მანძილზე.

ცნობილია, ისიც, რომ მონათმფლობელური საზოგადოების მიწათმოქმედება ნასვენის-გამოყენებით ხასიათდებოდა, თანაც ნასვენი ორგვარიყოფილა: სტების პირობებში თვითონ ნასვენი (ნახატი, ქრცხალი) და ტყიან უბნებში—ახო. ფეოდალური წყობილებისას გავრცელდა მიწათმოქმედების სისტემა, სადაც ნასვენი ანეულმა შეცვალა, რადგან უკვე უქმარისი იყო სახნავად ვარგისი მიწა. ეს შენაცვლება ეკონომიკურმა პირობებმაც განსაზღვრა და მიწათმოქმედებაში მოპოვებულმა გამოცდილებამაც; ანეულის ჩართვა მიწათმოქმედებაში („სანეულო სისტემა“), როგორც შედეგი „სანასვენო სისტემის“ ხანგრძლივობის თანდათანობითი შემცირებისა, წარმოადგენდა პირველ ცდას ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისა ხელოვნური გზით მით უფრო, რომ ანეულს გულმოდგინედ დაამუშავებდნენ ხოლმე და, სანახიროდ გამოყენების გზით, ნაკელითაც ანოყიერებდნენ.

გასახსენებელი და გასათვალისწინებელია, რომ მიწათმოქმედების შემდგომი განვითარების საფუძველი თანდათანობით მტკიცდებოდა ქალაქებისა და ვაჭრობის გადიდება-გაფართოების კვალდაკვალ, რაც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების, მანუფაქტურის გაჩენის, ხელოსნობათა დიფერენციაციის შედეგი იყო. სამიწათმოქმედო კულტურის თვალსაჩინო ტექნიკურ პროგრესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კაპიტალიზმმა, თავისი განვითარების დასაწყის პერიოდში, იმ მხრივ, რომ სულ უფრო და უფრო მეტად ჩაირთავდა ხოლმე მიწათმოქმედებას საქონლისა და ფულის მიმოქცევაში. აქამდე არსებულმა ანეულმა (სანეულო სისტემამ), უპირატესად პურეული მარცვლოვანების თესვით, ადგილი დაუთმო სხვადასხვა ტექნიკური მცენარის (შაქრის ჭარხალი, კარტოფილი და სხვ.), აგრეთვე საკვები მცენარეების თესვას და ასე წარმოიქმნა მეცხრამეტე საუკუნისათვის ევროპასა და რუსეთშიც მიწათმოქმედების ნაყოფმონაცვლეობითი სისტემა, რომელიც, სანეულო სისტემასთან შედარებით, აშკარად პროგრესული იყო. ნათქვამით ჩანს, რომ მწარმოებლური ძალების განვითარება უძველეს დროთაგან ჩვენამდე, სქემატურად ისე უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ვადასვლები ქვის ტლანქი იარაღიდან მშვილდისა და ისრისაკენ, ხოლო, ამასთან დაკავშირებით, მონადირის ცხოვრების ყაიდიდან ცხოველთა გაშინაურებისა და პირველყოფილი მეცხოველეობისაკენ, ქვის იარაღი-

საგან ლითონის იარაღისაკენ და, ამის შესაბამისად, აგრეთვე მცენარეთა მოყვანისა და მიწათმოქმედებისაკენ¹.

თუმცა ყველა ეს ამბავი დიდი ხანია საყოველთაოდ ცნობილი მათი შესწავლა მაინც იმიტომ იყო საჭირო, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების უმდიდრესი პრაქტიკის თეორიული გაზოგადება აუცილებლად მოითხოვს ისტორიულსა და ლოგიკურის სწორ შეხამებას. ღრმა ანალიზის უწინარესი პირობაა ისტორიულ ურთიერთკავშირთა გათვალისწინება, ყოველი მოვლენის განხილვა მის წარმოქმნასა და განვითარებასთან დაკავშირებით. ვლ. ლენინი გვასწავლიდა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა საკითხებში ყველაზე მნიშვნელოვანია, . . . არ დაევიწყოთ ისტორიული უმთავრესი კავშირი, ყოველ საკითხს მივუდგეთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიქმნა ისტორიის ესა თუ ის მოვლენა, როგორი მთავარი ეტაპები გაიარა ამ მოვლენამ თავისი განვითარებისას და სწორედ ამ განვითარების თვალსაზრისით განვსაჯოთ, თუ რას წარმოადგენს ის სადღეისოდ“.²

სამწუხაროდ, ამ მითითებას ხშირად ივიწყებენ ხოლმე სოფლის მეურნეობის საკითხების განსჯა-მოწესრიგებისას, რაც განსაკუთრებით საქართველოს პირობებშია ყოვლად დაუშვებელი, ზოგიერთი საერთო და აგრეთვე კერძო გარემოების გამო.

საერთო და ზოგადი ის არის, რომ მიწათმოქმედების ნაყოფმონაცვლეობითი სისტემა, ზემოთ მოხსენებულ მის პროგრესულობასთან ერთად, ნიადაგის ნაყოფიერების საკითხისადმი მიდგომის ნაწილში, შეზღუდულობისა და მეტაფიზიკის ტვიფარს ატარებდა; ის დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა მწვერვალს წარმოადგენდა და, შემდგომში, როდესაც აშკარა შეიქმნა ახალი სისტემის შემუშავების აუცილებლობა, კაპიტალიზმში უკვე ლაპობის პერიოდში ჩადგა და ყოველივე ახალს, ამ შინაარსით, არსებითი მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ასახავდა მხოლოდ აგროტექნიკურ ამოცანათა დაქვემდებარებას ზაზრის პირობებისათვის. ერთობლივ საქართველომდე კაპიტალიზმმა, როგორც ვიცით, გვიან მოაღწია და, მრავალ შემთხვევაში, თითქმის არ მიწვდომია მის ცალკეულ უბანს; მეორე მხრივ კი, ასევე დიდი დაგვიანებით და მხოლოდ კანტი-კუნტად იკიდებდა ფეხს საქართველოს, როგორც რუსეთის იმპერიის პერიფერიის; სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მეცხრაშედეგ საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსი მეცნიერების (ვ. დოკუჩაევი, პ. კოსტიჩევი, კ. ტიმირიაზევი) მიერ შემუშავებული აგროტექნიკური ღონისძიებების ახალი სისტემა, რომლის მეცნიერულ საფუძველთა შემუშავება მხოლოდ საბჭოთა პერიოდში დამთავრდა.

ამ საერთო მოვლენებს უნდა დავმატოვო, საქართველოს ბუნებრივი პირობებისათვის ჩვეულ მრავალ თავისებურებათა შორის, ვერტიკალური ზონალობით გამოწვეული ის გარემოება, რომ მთელი მისი ტერიტორიის 26,7%

¹ ნახე ლენინის საკითხები.


² ნახე ვ. ი. ლენინის თხზ. ტ. 29, გვ. 436, მე-4 გამოცემა (რუსულად)



ზღვის დონიდან 500 მეტრამდე მდებარეობს, 21,7—500-დან 1000 მეტრამდე, 31,0—1000-დან 1500 მეტრამდე, 19,1—1500-დან 2000 მეტრამდე, ამაზე უფრო მაღლა—1,5%/. ამას ზედ ერთვის ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს მიწის მთელ ბალანსში, დაახლოებით, 45,9% უჭირავს, ხოლო აქედან სახნავია 14,8%, ნასვენი—0,6, სათიბი—22, საძოვარი—საბალახო 21, 4 და მრავალწლოვანი ნარგავები—3,9%.

ამ მონაცემებით ილუსტრირებული მდგომარეობა მით უფრო მეტად უნდა ამახვილებდეს ჩვენს ყურადღებას არსებული მიწის ფონდის გონივრული და ინტენსიური გამოყენების საკითხის ირგვლივ, რასაც ორი მხარე აქვს: ამათგან ერთი მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწათმოქმედების სისტემებთან (როაქელთა ჯგეროვანი გააზრება და ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიულსა და ეკონომიკურ-მეურნეობრივ პირობებთან შესაბამისა როგორც ერთობლივ რესპუბლიკის ფარგლებში, ისე მისი ცალკეული რაიონისა თუ ისეთი ტერიტორიული ერთეულების მიჯნებში, რასაც პროფ. დ. აგლაძე ყვერბი-ს სახელწოდებით მოიხსენიებს) სწორედ იმ მეცნიერების საქმეა, ჩვენი პარტია და მთავრობა რომ მოგვიწოდებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსახურებაში უნდა იქნას ჩაყენებული. ამავე საკითხის მეორე მხარეა სათანადო აღმინისტრაციულ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომელთაც უნდა აღმოეთხვრა, მიწის ფონდისადმი ისეთი დამოკიდებულება, დღესაც რომ გვხვდება ჩვენს პრაქტიკაში არაიშვიათ შემთხვევებად. ამ ორივე მიმართულების ღონისძიებათაგან საკმაოდ ზეგრი ისეთი ხასიათისაა, რომელთა შესახებ მეტად ცნელია მტკიცე საზღვრის დადება, თუ სად იწყება ერთი და სად მეორე (ბრძოლა ეროზიის წინააღმდეგ, ქარსაცავი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება, დაჭაობებული და დამლაშებული ფართობების გამოკეთება, სარწყავი და სადრენაჟო არხების მშენებლობა და სხვ.).

ღონისძიებათა მეორე წყების შემუშავების საფუძველი უფრო მკაფიოდ გამოსახული იმ იერის მქონებელია, რომლის დასაბუთებაც თანამედროვე მეცნიერული აგრონომია გვაწვდის, შესატყვისი საბუნებისმეტყველო დისციპლინების (კლიმატოლოგია, ნიადაგთმცოდნეობა, ბოტანიკა და სხვ.) მონაცემთა ფართო გამოყენებით, თანაც ისტორიისა და ეთნოგრაფიის მიერ შემონახული იმ ცნობების ჩართვით, რაც სათანადო ყვერბი-ს მოსახლეობის წარსულში არსებულ—ახლა უკვე სახეშეცვლილ ან, იქნებ, ჩვენს დრომდე უცვლელად მოღწეულ—გამოცდილებას ასახავს და რომლის გააზრებული გაზიარება-ათვისება არც ამჟამინდელი სათვის იქნებოდა უსარგებლო. ღონისძიებათა ამ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, საქართველოში მესხეთის ძველ სოფლის მეურნეთა პრაქტიკის ჩვევები მთის კალთების დატერასებისა და ხეხილის გაშენებისა, რაც—ჩვენი ფიქრით—ახლა იმ მხრივ მოითხოვს გაფართოებას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთიანეთის მიწათმოქმედებაში („სამთო მიწათმოქმედება“) ჯეროვნად მოწყობილ ტერასებზე გაშენდეს ხეხილის ბაღები, ვენახები, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციები, თხილის ნარგაობანი და სხვა, მრავალწლოვანი, სასოფლო-სამეურნეო მცენარეები; არ არის გამოთიშული არც იმის შესაძლებლობა, რომ ალაგ-ალაგ და, არსებული ყველა



პირობის გათვალისწინებით, ტერასის ფართობი ერთწლოვანთა კულტურა-
მაც დაიკავოს. ამავე შინაარსისაა ნათესების რაციონალური სტრუქტურის
შემუშავების საკითხი, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული, საერთოდ, თესვ-
ბრუნვების და, კერძოდ, მინდვრად თუ საკვებთა ფერმისპირად თესვბრუნ-
ვის საკითხებთან.


უკეთეს მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა იმის-
კენ უნდა იყოს მიმართული, რომ მიწის ჯეროვანი გამოყენებით უზრუნველ-
ყოს პროდუქციის რეწვის ფარგლის განუხრელი გაფართოება, დანახარჯთა
შემცირებათ და, თანაც, მიწის ნაყოფიერების გაძლიერება, მაშინ დაგმობილ
უნდა იქნას ტენდენცია ყველგან და აუცილებლად ერთნაირი წესით თუ ყა-
ილით მუშაობისა და, მით უმეტეს, ადმინისტრირებისა. სამწუხაროდ, ამ
ბოლო წლებში ხშირი იყო ამ შინაარსის ისეთი შემთხვევები, როდესაც კოლ-
მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ადმინისტრირების წესით თავს
ასვენდნენ მათი შემოქმედებითი ინიციატივის შემბორკველ ღონისძიებებს,
რაც ხელს უშლიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეწვის ფარგლის
გადიდებას და იწვევდა შრომისა და მატერიალური საშუალებების უყარათო
ხარჯვას. ამით იყო გამოწვეული, რომ უკანასკნელ წლებში, სრულიად და-
უსაბუთებლად და ხელაღებთ, დიდ ფართობზე ითესებოდა ისეთი სასოფ-
ლო-სამეურნეო მცენარეები, რომლებიც მოსავალს კი არ ადიდებდა, არამედ—
პირიქით, ამცირებდა და ეჭვქვეშ აყენებდა დიდი დროის პრაქტიკით დადასტუ-
რებულ ვარგისობას რომელიღაც მეორე სასოფლო-სამეურნეო მცენარისა მო-
ცემულ პირობებში. ამის მაგალითად ჩვენში, შეიძლება დავასახელოთ ბარ-
დას თესვის რეკომენდაცია და დანერგვისათვის გაწეული ჯაფა, მაშინ, რო-
დესაც ჩვენში ტრადიცია და შედეგები აქვს ცულისპირას, ცერცველას, სო-
იას, იონჯას, სამყურას და სხვ. ასევე გაუმართლებელი იყო სიმინდის თესვა
დიდ ფართობებზე წითელწყაროს, თეთრიწყაროს, წალკის და რამდენიმე
სხვა რაიონში, სადაც თავთავიანთა კულტურა ოდითვე ფუნქციონირებულ და
სარფიანია. ასეთგვარი მიდრეკილების დროს სავსებით ბუნებრივი უნდა
ყოფილიყო მინდვრად ნათესხალასიანი თესვბრუნვების ხელაღებით უარყოფა
და აგრეთვე საკვებთა ფერმისპირად თესვბრუნვების ფაქტობრივი გაუქმება,
სამაგიეროდ, შემთხვევათა უმეტეს ნაწილად, ამკარად სუბიექტივისტური
მხარდაჭერით გამავრებული ისეთი ღონისძიებების დანერგვა, რომელთა მა-
გალითის დანიშნულებით, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება ტორფენშომბალა
ქოთნებისა და პიდროპონიკის პროპაგანდის აღნიშვნა.

ახლა ყველასთვის ცხადია, რომ შესატყვის საკითხებში და ამ საკითხთა
მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების ბუნებაში ღრმად ჩაუხედაობის შედეგი
იყო წელთა მანძილზე, არასარწმუნო დასაბუთების საფუძველზე, ბრძოლა
აგროტექნიკურ ღონისძიებათა ისეთი კომპლექსის წინააღმდეგ, რასაც თესვ-
ბრუნვა წარმოადგენს და აგრეთვე ისიც, რომ ამ ბრძოლის გამართლების
არგუმენტთა შორის, არაიშვიათად და არამცირე ნაწილად, იმგვარი ფაქ-
ტების გაზოგადებას გამოიყენებდნენ, სადაც ზოგიერთი კოლმეურნეობის და
საბჭოთა მეურნეობის ცუდი ხელმძღვანელობის გამო სახნავი ფართობების
თვალსაჩინო ნაწილი დაუთესავი დაოჩებოდა და მანკის დასათარავად ეს

ფართობი თესვბრუნვის მინდვრად იყო ხოლმე გასაღებული ვითომდა ასე უნდა ყოფილიყო. გაცდენილი მინდორი, ცხადია, კარგს არაფერს უშობს და თესვბრუნვის განსჯას ეკონომიკური სარფიანობის თვალსაზრისით მინდვრის გაცდენის ჭეშმარიტ მიზეზთა ცხადყოფის გარეშე, მხოლოდ ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით წარმართული ანალიზი, ცხადია, იმას გამოიწვევდა, რასაც (არაობიექტური კრიტიკის) მოგიხვებოდა თონეში ჩავდებული ფიჩხის კონა (ანალიზი ფაქტის კონსტატაციით, გამომწვევ მიზეზთა ცოდნის გარეშე). ასეთგვარი კრიტიკის ცოტადაა თავი ვერ აარიდა ზოგიერთმა მეცნიერმა მუშაკმა და ამოვარდნილი ამ კრიტიკის ქარცეცხლი მოედო აგრეთვე ნასვენებისა და ანეულების აგროტექნიკას.

